პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეხუთე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე-8 სართული

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76. მდივნის 10—58

წლის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 450.000 მ. განცხადება 10 კ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 3 მ.

№ 100 შაბათი 5 მაისი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 20,000 მან. № 10

დღიური

გაზეთის დღევანდელი № შეიცავს 6 გვერდს.

მოსალოდნელია ლოზანას კონფერენციის ჩაშლა.

სირიის საზღვრებზე ოსმალეთის ჯარების კონცენტრაციის გამო საფრანგეთმა ტულონში თავი მოუყარა სამხედრო ესკადრას.

ოსმალეთის მუშათა და გლეხთა პარტიის დეკლარაცია.

საფრანგეთის მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა უარყოს გერმანიის ნოტა და განაგრძოს უფრო ენერგიული ბრძოლა.

პირველ მაისობა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში და საბჭოთა რესპუბლიკებში.

პრესის დღისათვის



გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ პრესას და მის მუშაკთ! გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

მასიური აგიტატორი და ორგანიზატორი

მატერიალური ძალა შეიძლება დაინგრეს მხოლოთ მატერიალური ძალით; მაგრამ **იდეიაც იქცევა მატერიალურ ძალათ, თუ ის დაიპყრობს მასებს**—ასეთია ერთ-ერთი დებულება ჩვენი მსოფლმხედველობის. ამნაირათ დაპყრობა მასების ჩვენი იდეებით—აი უდიდესი ამოცანა პარტიის. სწორეთ ეს მოვახერხეთ ჩვენ დიდი ოქტომბრის წინა დღეებში, სწორეთ ამან მოგვაპოვებია ისტორიაში ჯერ უნახავი გამარჯვება მქონებელი კლასების ციხესიმაგრეებზე, მათ მატერიალურ ძალაზე. მშრომელმა ხალხმა დასცა ბურჟუაზიული სახელმწიფო, მან ჩაიგდო ხელში ქვეყნის მიწა-წყალი. „რევოლიუციის მეორე დღე“ აღინიშნა დამარცხებულების—რომლებიც არ იყვნენ სულ გასრესილი—შემოტევით. მათ ზურგს უმაგრებდა საერთაშორისო იმპერიალიზმი. ეს შემოტევაც წარმატებით მოვიგერიეთ: შინაური კონტრ რევოლიუცია მოვსპეთ, გარეული კი ცხვირპირ გასწორებული და გასისხლიანებული უკუ ვაქციეთ. დაიწყო ახალი ხანა ხანა ახალი ცხოვრების მშენებლობის, აღსავსე უფრო მეტი სიძნელითა და სირთულით, ვინემ პერიოდი ძველი ნგრევის. და ჩვენს წინაშე კვლავ დგას იგივე საკითხი მასების „დაპყრობის“ შესახებ ამ შედარებით უფრო გართულებულ პირობებში საპასუხისმგებლო სისტემატიური მუშაობის.

როგორი მასიური არ უნდა იყოს პარტია თავისი შემადგენლობითა და ძლიერი ორგანიზაციულად, ის ვერ შეუდგება კეთებას ისეთი დიდი საქმის, როგორიცაა ახალი სოციალ.-პოლიტიკური ცხოვრების საფუძვლების შეყრა, თუ მისი გავლენა არ ვრცელდება უფრო შორს, არ გადადის იმ ფართო ფენებზე, რომლებსაც ეს საქმე შეეხება უშუალოთ. მუშათა განთავისუფლება მხოლოდ მუშებისვე ხელით შეიძლება. ამიტომ იქ სათანადო შეგნების შეტანა და მათი ორგანიზაცია—აი აუცილებელი პირობა არსებულის გარდასაქმნელად. უძლიერესი იარაღი ამ გავლენის გასავრცელებლად არის სწორეთ პრესა. ის არის ამნაირათ მასიური აგიტატორი და ორგანიზატორი.

ძნელია ერთი ერთმანეთის დაშორება პრესის ამ ორმაგი ფუნქციის, მაგრამ შედარებით იმ დროსთან, როდესაც ახალი რეჟიმი იარაღით ხელში იცავდა თავის არსებობას და რევოლიუციის მონაპოვარს შიგნი ამდგარი და გარედან შემოსეული მტრისაგან, დღეს უფრო გარკვევით იჭრება ჩვენს წინ სწორეთ ორგანიზატორული როლი ჩვენი პრესის. ამიერიდან ის ვერ დაკმაყოფილდება მხოლოთ პოლიტიკური აგიტაციით, გარკვეული ლოზუნგების მარტო პოპულიარიზაციით. მისი და მის მუშაკთა ადგილია ყველგან, სადაც სწარმოებს გარდამქნელი მუშაობა მშრომელთა ხელისუფლებისა და ხელმძღვანელი პარტიის.

მიწის რეფორმა, სისოფლო მეურნეობისა და მრეწველობის აღდგენა, აღებ-მიცემობა, კოოპერაცია, სახელმწიფო აპარატი, სწავლა-განათლება—აქტივობის ყველა ამ დარგში უნდა იყოს შეჭრილი ის, უნდა შეჰქონდეს იქ თავისი სიტყვა და საქმე.

განსაკუთრებით დიდია ჩვენი პრესის როლი სახელმწიფოებრივი აპარატის გაჯანსაღებისა და განვითარების საქმეში როგორც ცენტრში, ისე სულ სპეციალურათ ადგილობრივ. სახელმწიფოებრივი აპარატია ის გარეგნული გამოხატულება ახალი რეჟიმის შინაარსის, რომელიც მუდამ თვალწინ უდგას ხალხის ფართო მასებს. როგორც ცენტრალურ ხელისუფლებაზე, ისე მის მუშაობაზე მას ეძლევა უშუალო, ხელით შეხებით წარმოდგენა იმის და მიხედვით, თუ რას და როგორ აკეთებს ადგილობრივი ადმინისტრატიული თუ სამეურნეო ორგანოები ამ ხელისუფლების. ამიტომ მათი ნორმალური მუშაობა, ხალხის ყველა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება—ეს არის საზომი ფართო მასების ასეთი თუ ისეთი დამოკიდებულებისა ახალ რეჟიმთან. რასაკვირველია ამ დაწესებულებების მუშაობის თვალყურის მდევნელია სახელმწიფოს სათანადო ორგანოები, მაგრამ ამ ორგანოების ერთი აქტიურ და უაღრესათ მნიშვნელოვან დამხმარეთ არის მოწოდებული სწორეთ პრესა. მის მიერ გაბმული კავშირებით ადგილობრივ, მისი თანამშრომლებისა და კორესპონდენტების საშუალებით პრესა თვალი და ყური უნდა შეიქნეს მთავრობისა და მისი სათანადო საკონტროლო ორგანოების. და სრულიათ კანონიერათ აქვს მას მინიჭებული ეს ადგილი ჩვენი სახელმწიფოებრივი მუშაობის სფეროში. ხაზგასმით ჰპოვა ეს შეხედულებამ გამოხატულება ახლახან დამთავრებული პარტიული ყრილობის რეზოლიუციაში სახელმწიფო კონტროლის შესახებ.

მაგრამ ამ თავის ამოცანის სიმაღლეზე ჩვენი პრესა დადგება, ვიმეორებ, მხოლოთ იმდენათ, რამდენადაც მას ცოცხალი კავშირი ექნება ყველგან და ყველა დაწესებულებებში, რამდენადაც თავისი მუშა კორესპონდენტების, ყველა თანამშრომლების საშუალებით ის შესძლებს თავისი ფართო მხედველობის რკალში მოაქციოს ყველა დარგები ეკონომიურ-პოლიტიკური მშენებლობის. ეს, რასაკვირველია, ადვილი საქმე არ არის, ეს კითხვა „დაკვერითი“ წესით არ გადიჭრება. ის შეიძლება იყოს შედეგი მხოლოთ სისტემატიური, დაუღალავი მუშაობის, მით უმეტეს, რომ სწორეთ ის ფენები ჩვენი ხალხის, რომელზეც უნდა იყოს დაყრდნობილი მუშური პრესა, რომლის ელემენტები უნდა შეადგენდეს კადრებს მისი აქტიური მუშაკებისას, სწორეთ ახლა, მუშურ-გლეხური რეჟიმის პირობებში, არიან პირველად გამოსული თვითმოქმედების გზაზე ვინ არ იცის, რომ მუშა კორესპონდენტი, მუშა თანამშრომელი და მწერალი—ეს მხოლოდ ჩვენი დროისა და ჩვენი რეჟიმის ნაყოფია, მხოლოდ ეს რეჟიმი ჰქმნის ამის შესაძლებლობასა და ნორმალურ პირობებს.

მაგრამ როგორ კარგადაც არ უნდა იყოს დაყენებული საქმე ამ ხასიათის კავშირისა ჩვენი პრესის ადგილობრივ დაწესებულებებთან და მუშაობის ყველა დარგებთან—მარტო ამით არ გადაიჭრება კითხვა. გაზეთების გავრცელების საქმე, მკითხველისათვის დროზე მათი მიწოდება შეადგენს ერთ-ერთ ფრიად მტკივნეულ ადგილს ჩვენი პრესის მდგომარეობისას და შეუძლებელია ეს საკითხი მოგვარდეს მარტო გაზეთების ადგილობრივი სპეციალური აგენტების საშუალებით, თუ ამას არ დაერთო რეალური კონტროლი და მზრუნველობა პარტიული ორგანიზაციების, რომლებსაც ძალიან ხშირათ, სამწუხაროთ, ეპარებათ ეს მოვალეობა თავიანთი პარტმოვალეობის სფეროდან. ამ მხრივაც ჯერ კიდევ ბევრი დაბრკოლებაა დასაძლევი თვით ჩვენ ამხანაგებს შორის და ცხადია მიღებული უნდა იქნეს ენერგიული ზომები ამ საქმის ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლათ.

ეს კიდევ ცოტაა. მარტო განაწილებისა და კონტროლით არ შემოიფარგლება ადგილობრივი ორგანიზაციების მოვალეობა პრესისათვის დახმარების საქმეში. საჭიროა, გარდა ამისა არ იქნეს გაშვებული არც ერთი მოხერხებული შემთხვევა ადგილობრივი კამპანიების ან შემთხვევითი მიტინგების დროს, რომ არ იქნეს გაშუქებული პრესის მნიშვნელობა და არ იქნეს გაწეული აგიტაცია გაზეთებზე ხელის მოწერის სასარგებლოთ. ჩვენი ლოზუნგი არის ამ საკითხში ერთი გაზეთი ათ მცხოვრებზე და ამნაირათ გაზეთების ტირაჟის გადიდება. ჩვენ ცენტრში ყოველ ღონეს ვიხმართ გაზეთების გასაუმჯობესებლათ როგორც მისი მეურნეობის, ისე შინაარსის მხრივ. ადგილობრივი ორგანიზაციების მოვალეობა იქნება ყველა მათგან დამოკიდებული საშუალებით ხელი შეუწყონ მისი გავრცელებისა და მასზე ხელის მოწერის საქმეს.

მხოლოთ ასეთი საერთო ძალით და შეთანხმებული თანამშრომლობით ჩვენ გადავაქცევთ პრესას იმათ, რათაც ის უნდა იყოს ჩვენ სახელმწიფოში: ბასრ და თავზარდამცემ იარაღათ ყველა მტრებისათვის, უძლიერეს ფაქტორათ კომუნისტური ცხოვრების მშენებლობისათვის.

ახლოველ ხანისათვის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის საგამომცემლო საქმეში ძირითად ტენდენციად უნდა გახდეს მსხვილი საგამომცემლო გაერთიანებათა შექმნა, რომელშიც შევა ქაღალდისა და პოლიგრაფიული მრეწველობის ნაწილი.

მუშათა პრესის დღისათვის

(1923 წ. 5 მაისი).

ჩვენი (მუშათა) პრესის თითქმის 25 წლის არსებობის სრული მიმოხილვა, სამწუხაროთ, ჩემთვის პირდაპირ შეუძლებელია. ის, რაც შემიძლია მოვახერხო მეტად შეზღუდულ თავისუფალ საათებში—ეს იქნება მხოლოდ მუშათა პრესის განვითარების ზოგიერთი ეტაპების აღნიშვნა სრულიად რუსეთის მასშტაბით საერთოდ და ამიერ-კავკასიის—და აგრეთვე საქართველოს მასშტაბით კერძოთ და ასეთ მიმოხილვას გავაკეთებ იმდენად, რამდენადაც მე თვითონ მქონდა მჭიდრო კავშირი მასთან ე. ი. მუშათა პრესასთან.

⁂

რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ძლიერ და კონსპირატიულ ეკატერინოსლავის კომიტეტის მოწყობის დროს 1899 წლის ზაფხულზე და შემოდგომაზე, ჩვენში დაუყოვნებლივ წამოიჭრა საკითხი მუშათა პრესის შესახებ. მისი გადაწყვეტა დამოკიდებული იყო „ტეხნიკასა“ და სტამბაზე. რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის პირველი ყრილობისათვის და მის შემდეგ ჩვენ **უნდა დაგვეკმაყოფილებია ძალიან გაზრდილი მოთხოვნილება** არა მარტო შედარებით მცირე რიცხოვან ჩვენთან ორგანიზაციულად დაკავშირებულ ავანგარდის, —არამედ მასისაც, რომელიც ავანგარდს მიჰყვება და შეეჩვია თავის კლასიურ ინტერესების გამოხატულება დაენახა ზოგჯერ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს პროკლამაციებსა და ფურცლებში, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში მეტად მცირე რაოდენობით იბეჭდებოდა და ისიც მიმიოგრაფებზე და ჰექტოგრაფებზე.

„ტეხნიკის“ შექმნას ჩვენ მოვანდომეთ თითქმის 1899 წლის მთელი ზაფხული და ნახევარი შემოდგომა. რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ეკატერინოსლავის კომიტეტთან არსებულ ჩვენ გამოცემას უწოდეთ „იუჟნი რაბოჩი“, რომელი სახელწოდებაც ბევრ რამეს გვავალებდა და იყო თითქოს საკმაოთ კადნიერი იყო აზრი გვეწოდებია: „სვაბოდა ი ტრუდ“-ი, რომელიც გვავალებდა ჩვენ მხოლოდ პრინციპიალური მხრივ, ე. ი. მივიღებთ რა წინამორბედ-რევოლიუციონერებისაგან („ნაროდოვოლცების“) მათ მემკვიდრეობას—პოლიტიკური ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ,—განვავითარებდით მას „კომუნისტურ მანიფესტის“ რევოლიუციონურ მარქსიზმის მიხედვითდა უკუვაგდებდით ყოველგვარ „ეკონომიზმებს“, „სტრუვიზმებს“ და სხვა ამგვარ „კარგ“ რამეებს, რომელიც წინ უსწრაბდა თანამედროვე მოლალატე, ყვითელ მენშევიზმს.

მაგრამ იწყებოდა აშკარა მასიური ბრძოლის ხანა. და საჭირო იყო, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის იმ დროის ყველაზე ძლიერ ორგანიზაციას, როგორიც იყო ეკატერინოსლავის ორგანიზაცია 1899-900 წლ. გამოეჩინა თამამობა და ეწოდებია თავის გამოცემისათვის ცოტად თუ ბევრად კადნიერი სახელწოდება „იუჟნი რაბოჩი“ (დიდი რაიონია, მაგრამ იგი არ შეადგენს რუსეთს მთლიანად). წერილებით შევეკითხეთ ზოგიერთებს რუსეთში და საზღვარ გარეთ, სურთ თუ არა თანამშრომლობა. პლეხანოვმა უარი განაცხადა, დაასაბუთა რა, რომ ის ვერ მოახერხებს შორიდან ჩასწვდეს მასების განწყობილებას და ითანამშრომლოს ისეთ აქტიურად მომქმედ და ძლიერ ორგანიზაციის პერიოდულ ორგანოში, როგორიც არის ეკატერინოსლავის ორგანიზაცია სამხრეთ რუსეთში.

1899 წლის დასასრულში და 1900 წლის დასაწყისში ჩვენ მოვახერხეთ „იუჟნი რაბოჩის“ № 1-ის გამოცემა, მგონი, 16 გვერდზე და 2000 ეგზემპლიარად. ნომერში აღნუსხული იყო ჯამი მუშათა მოძრაობის მთელ რუსეთში და განსაკუთრებულად სამხრეთში... და გათვალისწინებული იყო ჩვენი პროგრამა და ტაქტიკა.

მეორე ნომერი 1900 წლის 1 მაისისათვის მთელი სტამბით (კრემენჩუგში) ხელში ჩაუვარდათ ნიკოლოზ II ჟანდარმებს და „ოხრანიკებს“. მაგრამ ჩვენ აღვადგინეთ იგი უფრო ახალი წერილებით შევსებული და გამოვეცით 2.500—3.000 ეგზემპლიარად.

მთავარ ორგანოსთან ერთად ჩვენ ვსცემდით მრავალ პროკლამაციებს, ფურცლებს და ბროშურებს 1900 წლის პირველ ნახევარში განსაკუთრებით 1 მაისისათვის. განსაკუთრებით საინტერესოა შემდეგი: ჩვენ შევქმენით საშუალო ტიპი პროკლამაციასა არა დიდ ორგანოს შორის—„Листок Южнаго рабочаго“, მასში იბეჭდებოდა ის მასალა, რომელიც არ გამოდგებოდა ორგანოსათვის, ხოლო პროკლამაციაში არ ეტეოდა. ეს იყო ტიპი, თუ გნებავთ, პატარა ყოველდღიური გაზეთის, თუმცა, ჩვენ ყოველდღე და ზოგჯერ ყოველკვირეულადაც არ ვსცემდით. ვინაიდან საორგანიზაციო, საპროპაგანდო და საგიტაციო ხასიათის „პრაქტიკული მუშაობა“ უამრავი იყო, ხოლო ნამდვილი მუშაკები ცოტა. თუმცა მუშაკების დენა გაძლიერდა. მაგრამ ჩვენ ვემსახურებოდით მთელ სამხრეთ რუსეთს. ტყუილად კი არ გვაბრალებდენ ჩვენ „რევოლიუციონურ პროპაგანდას, აგიტაციას და პარტიის ორგანიზაციას სამხრეთ რუსეთის 8 გუბერნიაში, როგორც ეს ნათქვამი იყო „ჟანდარმერიის ბრალდებაში“.

გადავიდეთ ეხლა სამხრეთ რუსეთიდან კავკასიაში, ამიერ-კავკასიაში და ჩვენ საქართველოში კერძოდ.

სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციების კავკასიის (შემდეგ ამიერ-კავკასიის) კავშირის მოწყობის შემდეგ, 1903 წლის გაზაფხულზე, რუსეთის სოც.-დემოკრ. მუშათა პარტიის II-ე ყრილობის წინ, ხელ-ახლა დაისვა პირველ რიგში საკითხი, საერთო საკავშირო ორგანოს შესახებ. ჩვენ მოუსწრარით ქართულ ორგანოს „ბრძოლას“ № 4-ს და სომხურ „პროლეტარიატის“ № 1-ს. ჩვენ დაუკავშირეთ ერთმანეთს ეს ორივე ორგანო და მივიღეთ ახალი საკავშირო გამოცემა სამ ენაზე—რუსულად, ქართულად და სომხურად—„პროლეტარიატის ბრძოლა“ და ამ ორგანოსთან ერთად, ჩვენ ვსცემდით მასზე ხშირად „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელს“ აგრეთვე სამივე ენაზე. მეოთხე მუსლიმანურ ენაზე ვერაფრით ვერ ვახერხებდით, მიუხედავათ ყველა ჩვენი მეცადინეობისა.

„პროლეტარიატის ბრძოლის“ ისევ როგორც მთელი ჩვენი „კავშირის“ მიმართულება—იყო აშკარად „ძველი ისკრის“ ე. ი. ბოლშევიკური, კომუნისტური.

ამასთან ერთად „ორგანო და განსაკუთრებით ფურცელი“ სავსებით გამოხატავდა მუშათა მოძრაობას—ადგილობრივ, რუსეთის და საერთაშორისო მაშსტაბით, რა თქმა უნდა იმ უმნიშვნელო ხელმძღვანელ ძალთა და მცირეოდენ მატერიალურ საშუალებათა ფარგლებში, რომელიც ჩვენ მოგვეპოვებოდა 1903—4—5 წლებში 1898—1901 წლ. პირველ მებრძოლთა ფუყოლობის გამო, რომელნიც ჩამოგვაშორეს მეფის ჟანდარმებმა, განსაკუთრებით 1901 წლის 22 აპრილს (მაისის დღესასწაულის) შემდეგ.

ორგანოს და „ფურცლის“ ნომრებში თქვენ ნახავთ გამოხატულებას, თუმცა უფრო მკრთალად ვიდრე ეს სინამდვილეში იყო მთელი მაშინდელი პრაქტიკული, რევოლიუციონური მუშაობის მაგ. მეფის ლაქიას ივანოვის (ამიერ-კავკასიის რკინ. გზის უფროსის) რკინისგზელთა ბატალიონთან ბრძოლის და რუსეთ-იაპონიის ომის წინააღმდეგ ბრძოლისას. იქვე თქვენ შეხვდებით პრინციპიალურ წერილებს როგორც მაგ. „ინსტრუქცია აგიტატორების და პროპაგანდისტებისათვის“ ომის წინააღმდეგ, წერილები პარტიის და კლასის შესახებ—ამსტერდამის 1904 წლის კონგრესის (2 ინტერნაციონალის) რეზოლიუციები მინისტერიალიზმის, მილიტარიზმის, შოვინიზმის და სხვათა წინააღმდეგ.

⁂

რამდენიმე სიტყვა ლეგალურ მუშათა პრესის შესახებ. მან არ შეიძლება მივაკუთნოთ ქართული „კვალი“ არც წერეთლის (გიორგი წერეთელი იყო დამაარსებელი დემოკრატიულ ორგანოს „კვალის“) და არც ჟორდანიას პერიოდის.

რამდენადაც „კვალი“ 1898 წლის იანვრიდან გადმოვიდა „ჩვენს“ მესამე დასელების“ ხელში (წარსული საუკუნის 90 იან წლების მარქსისტთა, და მარქსისტულად განათლებულთა ჯგუფის ლეგალური სახელწოდებაა) მაგრამ გამოდიოდა (კავკასიის სოც. დემოკრატ. მუშათა ორგანიზაციების I ყრილობის მოწვევამდე) საორგანიზაციო კონტროლის გარეშე, ერთ პიროვნული, ხან ბატ. ჟორდანიას, ხან ბატონ თოფურიძის და ბოლოს ირაკლი წერეთლის ხელმძღვანელობით. ეს გამოცემა არ შეიძლება მივაკუთვნოთ თავისი მიმართულებით, „მუშათათა პრესას“ თუმცა იქ რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში გვხვდებოდა ბევრი კარგი ორიგინალური და თარგმნილი წერილები.

მუშათა პრესას უნდა მივაკუთვნოთ მხოლოდ ქართული გამოცემა „ბრძოლა“ და შემდეგ „პროლეტარიატის ბრძოლა“ საერთო საკავშირო გამოცემა, სამივე ენაზე. სწორეთ მან მოჰკლა „კვალი“ და არა ნიკოლოზ მე-2-ის 4 მინისტრმა, რომელთაც ხელი მოაწერეს მის დახურვას და ამით კი „წამებულის“ შარავანდედით შემოსეს არსებითად სუსტი გამოცემა—საქართველოს საზიზღარი მენშევიკების შემდეგი ნაყოფის წინამორბედი ყვავილი.

⁂

შემდეგი 1905—6-7 წლების ლეგალიზმის და უფრო კი ნახევრად ლეგალიზმის რევოლიუციონურ პერიოდში ჩვენ გვქონდა რამდენიმე გამოცემა, რომელნიც უსათუოთ უნდა მივაკუთვნოთ მუშათა პრესას.

მართალია, ამ წლებში, თითქმის ყოველკვირაში და ყოველ დღე გვიხურავდენ რედაქციებს მეფის ჟანდარმები.

მაშინდელ ე. წ. ლეგალურ გამოცემათაგან, მე ყველაზე კარგად მახსოვს ერთი, სადაც მე ვიყავი არჩეული, ასე ვსთქვათ, ორივე მხარის მიერ (პროფესიონალურ კავშირებიდან, რომელთაც ორგანო ეკუთვნოდა და ჩვენი ბოლშევიკური ბიუროდან) პასუხისმგებელ—შეფად —რედაქტორად. თუმცა მე შევადგინე პასუხისმგებელი (არაოფიციალური) სარედაქციო კოლეგია ამხ. კობა ჯუღაშვილის, მიშა დავიდოვის და სხვებისაგან. ეს ორგანო გამოდიოდა მხოლოდ ქართულ ენაზე „ახალი დრო-

შაბათს, 5 მაისს საღამოს 6 საათზე საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის შენობაში შესდგება

საქართველოს კომპარტიის ტფილისის

კომიტეტის პლენუმი

სავალდებულოა ტფილისის კომიტეტის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება.

ტფილისის კომიტეტის მდივანი: მიხ. კახიანი.

საქართველოს კომპარტიის თფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება

შაბათს, 5 მაისს,

„მუშათა პრესის დღეს“

მართავს ყველა სარაიონო კლუბებში

მიტინგებს

ამ დღის აღსანიშნავად.

1 რაიონი: ნაძალადევის თეატრი საღ. 6 საათი (მომხსენ. ამხ. კახიან);

2 რაიონი: მუშათა ცენტრ. კლუბი საღ. 7 ს. (მომხსენ. ამხ. ვირაპი);

3 რაიონი: ავლაბრის რაიონის კლუბი საღ. 7 საათზე |მომხსენ. ამხ. ხანოიანი.|

4. რაიონი: პროფ.-კავშ. საბჭოს კლუბი საღ. 7 საათზე |მომხსენებელი ამხ. თაკოევი|

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის საგიტ-საპროპაგანდო განყოფილება.

ქ. თბილისის ყველა გაზეთების (რუსულის, ქართულის, სომხურის და თათრულის) მუშათა კორესპონდენტები და წარმომადგენლები მოწვეულნი არიან

საზეიმო სხდომაზე

5 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე, გაზ. „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის ბინაზე.

დღის წესრიგი:

1. ამხ. მიასნიკოვის მოხსენება მუშათა პრესის მნიშვნელობის შესახებ.
2. საორგანიზაციო საკითხები.

რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის საგიტ-საპროპაგ. განყოფილება.
ბეჭდვითი საქმის მუშაკთა ბიურო.

პრესის დღისათვის

საზეიმო სხდომა.

5 მაისს პრესის დღეს საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კლუბში შესდგება

ქალაქ თბილისის ბეჭდვითი საქმის მუშაკთა სექციის წევრთა

საზეიმო სხდომა

მუშა-კორესპონდენტების, საქართველოს პროფკავშირის ცენტრალურ გამგეობის წევრების, ფაბრიკა-ქარხნების ადგილკომების და მუშათა ფაკულტეტების მსმენელთა თანადასწრებით.

სხდომის დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე

საქ. პროფკავშირთა საბჭო.
განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმი.
ბეჭდვითი საქმის მუშაკთა სექციის ბიურო.
საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტი

ორშაბათს, 7 მაისს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია ტფილისის მუშათა გლეხთა და წითელ-არმიელთა საბჭოს პლენუმის სხდომა.

დღის წესრიგი

1. პრეზიდიუმის მოხსენება აღმასკომის მოქმედების და მომავალ მუშაობის გეგმის შესახებ.
2. 1923 წ. შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის დამტკიცების შესახებ.
3. „კომხაგ“-ის მოხსენება მუშაობის მსვლელობის შესახებ.
4. მიმდინარე კითხვები.

ვინაიდან განსახილველია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები, ამიტომ სხდომაზე დასწრება ყველა საბჭოს წევრთათვის სავალდებულოა.

იმ წევრთა შესახებ, რომელნიც არ გამოცხადდებიან სხდომაზე საბჭოს ცალკე ექნება მსჯელობა.

1—1 **პრეზიდიუმი.**

ზას“ სახელწოდებით. ორგანო იყო ყოველკვირეული და მუშური, რადგან თანამშრომელთა და მით უმეტეს კორესპონდენტების უმრავლესობა იყვნენ სწორედ მუშები.

გამოცემა იყო, მართლადაც, ძალიან პოპულიარული და გამოდიოდა 8 თვის განმავლობაში მეფის ჟანდარმებმა დახურეს ორგანო და რედაქცია უდიდესი ბიბლიოთეკით, სადაც ინახებოდა მარქსისტული ლიტერატურის უკანასკნელი გამოცემანი—4 ტომიანი, „გერმანიის სოც.-დემოკრატიის ისტორია“ მერინგის, ყველა მაშინდელი გამოცემანი რუსულ ენაზე—მარქსის და ენგელსის თხზულებანი. ეს იყო გაზაფხულზე—1907 წლის თებერვალ-მარტის დღეებში—II სახელმწიფო სათათბიროს ხანაში, რუსეთის სოც.-დემ მუშათა პარტიის ლონდონის V ყრილობის წინ.

მე იძულებული ვარ აქ შევსწყვიტო.

იმედია მაპატიებს მკითხველი. მე შევეცდები მომავალში, როდესაც შევასრულებ ეს მიმოხილვა, როდესაც მექნება უფრო მეტი თავისუფალი დრო.

მე ვფიქრობ, სანამ ჩვენ, ასე ვსთქვათ, „ძველი გვარდია“ ცოცხალი ვართ და პრაქტიკულად ჯერ კიდევ საჭირონი ვართ, ვიმუშავებთ რა განუწყვეტლივ დღე და ღამე, კვირეები და თვეები დაუსვენებლად, ძალებურად, თუმცა არა იატაკ ქვეშ, კიდევ მოვასწრობთ ყოველ წლიურად შევავსოთ ის, რის თქმაც დღეს ვერ მოვასწარით.

ხოლო ეხლა, როგორც ძველად, საქმეები, და არა მოგონებანი მიძახიან და მომითხოვენ.

კიდევ ორი სიტყვა.

ვულოცავ ჩვენ პროლეტარულ პრესას „მუშათა პრესის“ დღეს (5 მაისს).

გაუმარჯოს მას, მუშათა, კომუნისტური პრესს, დეე, მოაწყოს მან ერთიანი ფრონტი ქალაქის და სოფლის ყველა მშრომელთან ერთად!

დეე, ამოსწყვას მან რევოლიუციონურ-მარქსისტული აზრის გახურებული შანთით საზიზღარი მენშევიზმის და მისი ბანდიტური სულისკვეთების ყველა იარები საქართველოს, ამიერ კავკასიის და სრულიად რუსეთის მასშტაბით!

დეე, დაამარცხოს მან იდეოლოგიურ ფრონტზე რელიგიის მსახურთა, ძველი და ახალი „სმენავეხოველებისა“ და ყოველგვარ წვრილ-ბურჟუაზიული სიბინძურის ყველა გამოსვლები, რომელნიც აბნელებენ გონებას!

დეე, გახდეს იგი მართლაც ისეთ ორგანოთ, რომელიც რაზმავს პროლეტარულ აზროვნებას, ხელმძღვანელობას უწევს პროლეტარულ პრაქტიკას საბჭოთა სახელმწიფოს აღმშენებლობაში თანამედროვე მსოფლიოს კომუნიზმის ნამდვილ საფუძველზე გარდასაქმნელად.

გაუმარჯოს ჩვენ ამიერ-კავკასიის მუშათა პრესას, ყველა ენებზე, რომელიც არის ყოველთვის კომუნიზმთან და ყოველთვის კომუნისტური!

დეე, გაანათოს და გაათბოს მან ძმობის, სიყვარულის, თანასწორობის და თავისუფლების სხივებით მტაცებელ იმპერიალიზმთან უკვე რევოლიუციონურად მებრძოლი აღმოსავლეთის და მთელი მსოფლიოს დაჩაგრული ერები!

მხურვალე სალამი საბჭ. სოც. რესპუბლიკების დიდ კავშირის პროლეტარულ პრესას და კერძოთ საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის მუშათა პრესას.

ვულოცავ პრესის დღეს.

1923 წ. 5 მაისს).

საგრძნობია პოლიგრაფიული და ქაღალდის მრეწველობის ცდა თავიანთი კეთილდღეობა ააგონ პრესის ხარჯზე, უკანასკნელისათვის ზიანის მიყენებით. ასეთი დაშვება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

მოგონება ახლო წარსულიდან

საქართველოში ბოლშევიკები საერთოთ სუსტნი ვიყავით და ეს დავეტყო თებერვლის რევოლიუციის შემდეგაც. ძლივს მოვახერხეთ რუსული გაზეთ „კავკასსკი რაბოჩის“ გამოცემა. ამხ. სერგო ქავთარაძე წილურსმულივით იჯდა პაწაწკინტელა სარედაქციო „ბუდკაში“ (ქვაშვეთის ქუჩაზე) და თავაუღებლათ მუშაობდა: სწერდა გესლით სავსე მოწინავეებს, ასწორებდა ათასობით მოსულ სალდათების კორესპონდენციებს და ხშირათ კორექტურასაც თითონ აკეთებდა. ერთხანათ გაზეთის ხელმოწერის კვიტანციებსაც თითონ სწერდა. მართალია, გარედან ვეშველებოდით (თედორე კალანდაძე, ნაზარეტიანი, მიშა ოკუჯავა და მე), მაგრამ იმ პირობებში მუშაობას მარტო სერიოჟას ჯანმრთელობა აიტანდა. ოთახი ისე პატარა იყო, რომ თაგვი კუდს ვერ მოიქნევდა, და შიგ კი გამოულეველი იყო ოცი, ხან ოცდა ათი კაცი. თამბაქოს ბოლი, ყურთა სმენის წამღები საერთო ჟრიამული, ყოველგვარი პარტიული კითხვების აქ წამოყენება და გადაწყვეტა, გაზეთის თითო ცალობით გაყიდვა,—და ასეთ პირობებში სერიოჟა მაინც გულდასმით სწერდა ისეთ მოწინავეებს, რომ მოწინააღმდეგეთ ცეცხლს უკიდებდა.

მალე საჭირო შეიქნა ქართული გაზეთის გამოცემა. ეს საქმე დაგვავალეს მე და სილია თოდრიას. ფულზე მწყრალათ ვიყავით. რა უნდა გვექნა? ერთმა გარემოებამ შეგვიწყო ხელი. კოოპერატიულმა კავშირმა, სადაც მე ვმსახურობდი, გადაწყვიტა ყოველკვირეული ჟურნალის გამოცემა და ეს საქმეც მე მომანდვეს. მე ავიყვანე სამსახურში სილია და ჩავრიცხე კავშირის შტატში. მან მოითხოვა თანაშემწეთ ერთი შეგირდი და გვაყიდვინა ქართული შრიფტი. ამ ორ კაცს უნდა აეწყო ერთი კვირის განმავლობაში ჟურნალის ნომერი. მოვილაპარაკეთ მე და სილიამ და წავაყენე გამგეობაში მისი მოთხოვნილება, რომ მთელი დასაბეჭდი მასალა მას ჩაბარებოდა არა უგვიანეს ორშაბათის დღისა. შევპირდით და მთელი სიმძიმეც ამის შესრულებისა მე დამაწვა კისრათ. ხშირათ, როცა მასალა შემომელეოდა, ბოლშევიკურ წერილებს ვუშვებდი ამ კოოპერატიულ ჟურნალში. მახსოვს, აქ დავბეჭდეთ ისიდორე თალაქვაძის მიერ ნათარგმნი კოლონტაის ბროშიურა: „რა უნდათ სოციალ-დემოკრატებს“.

როგორც კი კალაპოტში ჩადგა ჟურნალის გამოცემა, სილიამ მთელი კომბინაცია მოაწყო, რამაც შეგვაძლებინა გაზეთ „ბრძოლის“ გამოცემა. მან მოიწვია ლადო დუმბაძე და მოიშველია ჟურნალის აწყობაზე. ამას დასჭირდა ნახევარი კვირა, მეორე ნახევარი კი თავისუფალი დარჩა, რომელიც მათ ერთათ გამოიყენეს „ბრძოლის“ აწყობათ. ამნაირათ, ჟურნალის გვერდით ჩვენი „ბრძოლაც“ გამოვიდა. ცოტა სული მოვითქვით და მერე „ბრძოლა“ ყოველ დღიურ გაზეთათ გადავაკეთეთ. მართალია ეს საქმე ძალიან გვიჭირდა, გაზეთს ბევრი ტეხნიკური ნაკლი ჰქონდა, მენშევიკებსაც არ გამოეპარა ჩვენი ხელმოკლეობა და გაჭირვება და კიდეც დაგვცინეს: „ბოლშევიკები „ბრძოლას“ ალოდვილებენო“, მარა ჩვენ მაინც განვაგრძობდით დაწყებულ საქმეს.

პასუხისმგებელ რედაქტორათ მე ვითვლებოდი. მუდმივი თანამშრომლები ძალიან ნაკლებად მყავდა, თითქმის მთელი ნომრის გავსება მე მიხდებოდა, მაგრამ არა მგონია, რომელიმე რედაქტორს ყოლოდეს ისეთი ერთგული ასოთ-ამწყობები, როგორიც მაშინ მე მყავდნენ. ესენი იყვნენ: სილია თოდრია, ლადო დუმბაძე და ვანო ბოლქვაძე. სანამ გაზეთი არ დაიბეჭდებოდა, ფეხს არ მოიცვლიდნენ. სილიამ ბოლოს თანამშრომლობაც დაიწყო, თვითვე აწყობდა თავის მიერ შეთხზულ იუმორისტულ წერილებს. ვანო მეტრანპაჟობდა და ძალიან „სტროგათაც“ ეკიდა თავის საქმეს. მის მოთხოვნას ხმა-ამოუღებლივ ვასრულებდით ყველანი.

ერთხანათ ლადო გამოგვეცალა ხელიდან. პეტერბურგში წავიდა პარტიული დავალებით. ოქტომბრის რევოლიუციამ მას იქ მოუსწრო, ჩამოვიდა და ჩამოგვიტანა ახალი გამამხნევებელი ამბები. მახსოვს, როგორ შემოვეხვიეთ ამ პირველ ცოცხალ კაცს, პეტერბურგიდან მოსულს. მისი ნაამბობი მისივე ხელმოწერით იმ დღესვე დაიბეჭდა ვრცლათ ჩვენს გაზეთში, ამწყობიც თითონ იყო ამ წერილისა. საღამოზე უთვალავი ხალხი მოგვაწყდა, რადგან გაზეთის გამყიდველებმა კიჟინა დასცეს—„ბრძოლაში“ პეტერბურგის ამბებიაო.

საქმე თანდათან კარგათ მიდიოდა. სხვა ასოთ-ამწყობები შემოვიმატეთ, სილია კი თვით ასოთ-ამწყობთა დადგენილებით „გავახაზეინეთ“, ე. ი. კანტორის გამგეთ გავხადეთ. ერთხელ დაშნაკცაკანების სალდათებმა დაგვარბიეს, შრიფტი დაგვინგრიეს, მაგრამ არ შევეპუეთ. გაზეთი თანდათან მატულობდა მკითხველთა რიცხვს, და ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ ალექსანდრეს ბაღში მიტინგის დახვრეტის წინ სრულიათ მოუსპეს მენშევიკებმა მას სიცოცხლე.

„ბრძოლა“ დაეცა, მარა არა იდეიურ ბრძოლაში დამარცხებული, არამედ ჯალათის ხელით. დეე „ბრძოლის“ დღევანდელმა მემკვიდრეებმა ზეიმით იდღესასწაულონ ბრძოლის გამარჯვებით დაგვირგვინება.

მ ტოროშელიძე

საჭიროა გაზეთებისათვის დაუყოვნებლივ ყველაზე უკეთესად მოწყობილი სტამბების გადაცემა.

ჩვენი პრესა და მისი ნაკლულევანებანი

არა ერთხელ გვითქვამს, თუ როგორი მნიშვნელობა აქვს მუშათა პრესას იმ დიად ბრძოლაში შრომასა და კაპიტალს შორის, რომელიც საბჭოთა რესპუბლიკებში უკანასკნელის მარცხითაა ჯერ-ჯერობით დასრულებული.

არა ერთხელ აღგვინიშნავს, თუ რა მოვალეობა აწევს ამ პრესას ასეთ პირობებში და რას უნდა ემსახურებოდეს ის. მაგრამ მიუხედავათ ამისა, ის ჯერ კიდევ არაა მიღწეული სასურველ შედეგებამდე. ამიტომ დღეს კიდევ უნდა აღვნიშნოთ, კიდევ უნდა განვიმეოროთ ჩვენი პრესის ნაკლულევანებანი და მით ხელი შევუწყოთ მის გამაგრება-განმტკიცებასა და სასურველ დონეზე დაყენებას.

რას წარმოადგენს ჩვენი დღევანდელი პრესა, როგორც აქ ცენტრში ისე პროვინციაშიც?

დავიწყოთ ტეხნიკური მხარეებიდან. უწინარეს ყოვლისა ქართველ მკითხველს (ლაპარაკი გვაქვს ქართულ მუშურ პრესაზე) თვალში ეცემა ის აუარებელი კორექტურული შეცდომები, რომლებიც ძალიან ხშირათ სრულიადაც სცვლის წერილისა თუ რაიმე ცნობის აზრს. ხანდისხან ასეთი შეცდომები ისე ძნელი აუხსნელი რჩება, რომ არა თუ უბრალო მუშა ანუ გლეხი მკითხველი ვერაფერს ვერ გაიგებს, არამედ გამოცდილ, ასე ვთქვათ, „სპეც“—მკითხველსაც კი გაუჭირდება მისი გამოცნობა.

აი პირველი ნაკლულევანება, რომლითაც დაავადმყოფებულია, არა თუ მარტო პროვინციალური პრესა, არამედ კიდევ უფრო მეტად ცენტრალურიც. დროა ასეთ არანორმალობას ბოლო მოეღოს და შედარებით მაინც განიკურნოს ის ამ ავადმყოფობისაგან.

რასაკვირველია, არ შეიძლება იმის თქმა, რომ გაზეთების ხელმძღვანელები ამას ყურადღებას არ აქცევდენ, მაგრამ საჭიროა უაღრესათ რადიკალური ზომების მიღება, რათა ის თავიდან აცილებულ იქნეს. საჭიროა, თუ არ მოგვეპოვება საკმარისად გამოცდილი კორექტორები, თვით კურსების დაარსებაც კი მათი კადრების შესაქმნელად.

მეორე ტეხნიკური ნაკლულევანება შეეხება თარგმანს. ბევრი მასალები განსაკუთრებით ინფორმაციიდან რედაქციებს მოდის რუსულ ენაზე, რომლებიც შემდეგ ითარგმნება ქართულათ. ეს თარგმანი ხშირათ ისეთი ცუდია, რომ ვერც კი მიხვდები რაშია საქმე. ან-და როგორ ქართულ ენაზე დაწერილი: უძველესზე, თუ თანამედროვეზე. ერთი სიტყვით ქართული ენა ძალზე დამახინჯებული ხდება და მკითხველს პირდაპირ ენა ეჩლიქება. ასე რომ ესეც დაუყოვნებლივ გამოსწორებულ უნდა იქნეს. ჯერ ერთი საჭიროა გამოცდილ მთარგმნელების ყოლა და მეორეთ ერთი სტილის მხრივ შემსწორებელი სხვა საქმიდან განთავისუფლებული სპეციალური რედაქტორი. ამ მხრივ ენერგიული ზომები უნდა იქნეს მიღებული. გაზეთის ენა უნდა იყოს მარტივი და ლიტერატურული.

მესამე ნაკლულევანებათ, რომელიც შეეხება უმთავრესათ და უპირველესათ ყოვლისა ცენტრალურ ორგანოებს, უნდა ჩავთვალოთ ის, რომ ზოგიერთი ცნობები ნაგვიანებათ თავსდება ქართულ გაზეთებში. დღიური გაზეთი უმეტეს ნაწილათ იმიტომ საღდება, რომ შიგ ახალ ახალი ცნობებია მოთავსებული დეპეშებისა და რადიოების სახით. ხშირია შემთხვევა, რომ, მაგალითად, დღეს ქართულ გაზეთში იბეჭდება უკანასკნელ ცნობათ ისეთი რამეები, რაც გუშინ უკვე რუსულ გაზეთებში იყო მოთავსებული. ეს კი, რასაკვირველია კარგათ ვერ იმოქმედებს გაზეთის ტირაჟის გაზრდაზე, ახალ-ახალი მკითხველების დაპყრობაზე. რასაკვირველია, ეს შედეგია ტეხნიკური დაბრკოლებისა, რომელიც აუცილებლათ გადალახულ უნდა იქნეს ჯერ ერთი საჭიროა, რომ ყავდეს საკმარისი რიცხვი მთარგმნელებისა, რომლებიც დაუყოვნებლივ გადათარგმნიან ახალ ცნობებს, და მეორეთ ის, რომ ერთგვარი კონტაქტი არსებობდეს რუსულ და ქართულ გაზეთებს შორის ამ მხრივაც, ე. ი. უზიარებდენ ერთი მეორეს ისეთ ცნობებს, რომლებიც მეორეს არ მოეპოვება

ეს ტეხნიკური მხარე.

იდეიურისა და შინაარსის მხრივ კი ეტყობა საკმაო გაუმჯობესობა. თუმცა ნაკლულევანება მაინც რჩება რამდენიმეთ. მაგალითად დღეს ტარდება კამპანია ანტი-რელიგიოზური, რომელიც შეეხება ერთ და ორ კვირასა თუ თვეს კი არა, არამედ არსებითად მთელ წლებს. ჩვენმა პრესამ, რამდენიმეთ მაინც აქეთკენაც უნდა მოატრიალოს თავისი ყურადღება და სათანადო ადგილი დაუთმოს მას. დღემდის კი ჩვენი ცენტრალური პრესა (პროვინციალურზე, ხომ ლაპარაკიც ზედმეტია) ამას ნაკლებ ყურადღებას აქცევდა, თუ არ მივიღებთ სახეში პარტიული ორგანოების თეზისებსა და კორესპონდენციებსა და ინფორმაციულ ცნობებს კამპანიის ჩატარების შესახებ. რელიგიოზური საკითხი დიდი საკითხია, რომელსაც ესაჭიროება საფუძვლიანათ დამუშავება გაზეთების ფურცლებზე და არა მარტო უბრალო პროპაგანდა.

მეორეთ, ჩვენი პრესა (უმთავრესათ პროვინციალური) დიდ ყურადღებას აქცევს და ხშირათ სწერს საერთაშორისო ამბებზე განსაკუთრებით კი რურის ოკუპაციაზე, და სულ ცოტას ადგილობრივ ჩვენს ცხოვრებას. ეს კი იმ დროს, როდესაც პრესა სარკე უნდა იყოს ჩვენი სინამდვილისა და გზის მაჩვენებელი და კონტროლიორი ჩვენს აღმშენებლობითი მუშაობაში.

აი ის უმთავრესი ნაკლულევანებანი, რომლებიც გვსურდა აღგვენიშნა ჩვენ „პრესის დღეს“, და რომლებიც აუცილებლათ გამოსწორებულ უნდა იქნეს და ამ გვარათ დაყენებული თავის სიმაღლეზე.

ა. კომუნარი.

პრესის დღისათვის

მუშის სიმღერა.

(პრესის დღისათვის).

ცეცხლის სიტყვები გვაფრთოვანებს და გვაფოლადებს
მთელი ქვეყანა ცეცხლის ხმებით თითქოს ერთობა,
ჩვენც გაზეთებით ვლაპარაკობთ და მძაფრი სიტყვით
გვსურს გავაშუქოთ ხალხისათვის ძმობა, ერთობა.

ჩვენ გაზეთი ვართ და ჩვენ გვიყვარს ჩვენი მკითხველი
ვაშა იმ მშრომელს ჩემს გვერდებს თუ გადაიკითხავს
შიგ ნახავს იგი, რაც კი უნდა, რასაც რომ ელის
და მჭმუნვარებას, მწუხარებას გულში ჩაიკლავს.

გაზეთებია ჩვენი მტკიცე თოფ-ზარბაზნები
მკვეთრი და ბასრი, უშიშარი ყველგან მფრინავი,
სიტყვები კიდევ შიგ ჩამჯდარი ოქროს ვაზნები
მებრძოლთ მალამო, ხოლო მტერთა გულგამგმირავი.

ახსოვდეს ყველას, ჩვენ შავ გმირებს არ ვერიდებით
ჩვენ წერილებით მათ უკურნებელ საწამლავს ვასმევთ.
ჩვენ ვიხსენიებთ სიყვარულით, ქება-დიდებით
ვინც ხალხისათვის სამსხვერპლოზე თავის თავს დასდებს.

უპირველესად ჩვენ ვუმღერით ბრძოლას და შრომას,
შრომასთან ერთად გვსურს ზეიმი და შვება ლხენა,
გვიყვარს გაზეთი და იგიც ხომ არის მათ შორის
ის არის ჩვენი სწავლა, ცოდნა და აღმაფრენა.

მაშვრალო ხალხო! შენ ბურჟუას არ ებრალები,
ჩვენ ახლა გვინდა ერთხმად სიტყვა მათზე ასეთი,
იყავი ფრთხილად, გაახილე დროზე თვალები
ყოველ დღიურად გადიკითხე ჩვენი გაზეთი!

ანბანი.

მუშა კორესპონდენტებს

გიძღვნით სალამს შრომის შვილებს
მიყვარს თქვენი ქოხ-უბნები,
შრომის ოფლში გამოზრდილებს
მუშურ სალამს ვეუბნები.

შრომით სუნთქავს მუშკორების
შრომის გრძნობით სავსე გული,
შრომა არის ჩვენი ქვეყნის
გამარჯვების თაიგული.

შეგნებით და ფაქიზ გრძნობით
ქვეყნად შრომა გავამეფოთ,
შრომის ქვეყნის შრომის ხალხი
მარქსის დროშას შეუერთოთ.

მოგილოცავთ შრომის შვილებს
მიყვარს თქვენი ქოხ-უბნები
შრომის ოფლში გამოზრდილებს
ჩემ ძმურს სალამს ვეუბნები.

გ. ჩარხიშვილი.

პრესის დღესასწაული

დღეს პრესის ზეიმს მიტომ შევხარი, მისთვის ვადიდებ მის სახელს დიადს,
რომ ყოფნით მტკბარი, თავისუფალი, მომავალს უძღვნის წითელ განთიადს...
წარსული სახე პრესის დიდების, იყო დევნილი, იყო ტანჯული;
და მტრები მისა, ვინც სულს უხშობდა, სისხლის მორევში არის ჩაკლული.
დღეს ცეცხლის სიტყვა ჩვენი რიგების, ცეცხლური გრძნობა წითელ გმირების,
მშრომელი ხალხის სადიდებელათ, გამომხატველი მუშური ნების,
ჩვენთან არიან ყოველი ნდომით, მათ უნდა გვითხრან სიტყვა ახალი,—
სიტყვა ამშლელი დიდ სურვილების, სიტყვა გულწრფელი, მარად მართალი.—
დღეს პრესის სიტყვა ხელთა გვაქვს მარად. რაზმი დამცველი მდელოს მშვენია;
წითელ გმირების სამშობლოს დიდსა—ვერვინ წაგვართმევს, დღეს ის ჩვენია!..

სიო ხიდისთაველი

დღეს პრესა

დღეს პრესის დღეა. პრესის ზეიმსა ეხმატკბილება სიტყვა ახალი;
მის ხაზებიდან უნდა მოკვესმას, სიტყვა მუშური, სიტყვა მართალი.—
მე მახსოვს ჩვენი წარსული სახე, სახე დევნილი, სახე ტანჯული:
და მის გარშემო ყოველი ნდომა, სულ-შეხუთავი მიზან ჩაკლული;
მაგრამ ჩვენს რწმენას დღეს თავისუფალს, უცხოთ ამშვენებს წითელი ფერი,
მის გმირულ სახეს, წითლათ დახაზულს ვერ-რას დააკლებს ულმობი მტერი.
ის ძველ მსოფლიოს უქადის წარღვნას, გაუთხრის საფლავს მთელ პარაზიტებს,
წითელ გმირების სამშობლო დიდი, შიშის ზარსა სცემს მშრომელ ხალხის მტრებს...

და შორს არ არის ის დღე ძლევისა, სიყვარულისა ტკბილ სამფლობელო,
რისაც მოწამე მალე გახდება მშრომელი ხალხი და საქართველო!..

მუშა კ—ძე

ვარდის თვე.

მიყვარს, მიყვარს მე მაისი, მიყვარს, მიყვარს ისე, ისე,
რომ არ ვიცი, რით შევამკო მის სიტურფე, სიკისკისე.
მაშინ მშვენის დიდ-პატარას სიცქრიალე, სიმაღლეზე,
სინარნარე, სიკეკლუცე, სინაზე და სილამაზე.
განა მარტო ვარდის თვეა, განა მარტო ყვავილების,
სანეტარო, საოცნებო მომავალი ყმაწვილების!
მოხუცებულს უახლდება ღონე, ძალა, სიხალისე,
მეც ამიტომ შევიყვარე, მეც ამიტომ შევითვისე.
მან წარმოშვა თებერვალი, მან წარმოშვა დიდი მარტი,
დაამხო და დაანგრია ჯალათ-მეფის ძველი ტახტი!
მან წარმოშვა ოქტომბერი ძლიერი და ღონიერი,
დიდებული, მშვენიერი, მრისხანე და ლმობიერი!
თვეებ შორის სახალისო საამაყო მაისია,
აწმყო სვედის უკუმყრელი უკვდავების გაისია..
დღეს ქუჩებში ჩამოვირბენ ფრთებ შესხმული სიხარულით
და წითელი ვარდით ყველას მივულოცავ სიყვარულით!

გიგო ხეჩუაშვილი

სალამი ჩვენს პრესას!

მე დღეს მინდა მივესალმო
ჩვენს საკუთარს პრესას,
ის არ არის მტრის კლანჭებში
არ განიცდის კვნესას!

რაც ჩვენ ტანჯვით გავატარეთ
ბნელს მიწის ქვეშ პრესა,
იმდენი ჩვენს მაძაგებელთ
არ მოაკლდათ კვნესა.

ზიზღი იმათ, ვინც პრესაში
ჭორი, მტრობა სთესა!..

ვინც გასვარა თვისი ხაზმით
მუშა-გლეხის პრესა!.

და ვინც ცრემლი სადღეისოთ
ცივს ქვეყნებში სთესა,
მას სალამი, გამარჯვება!.
შოვინისტებს კვნესა!..

რამდენიც რამ ჭორის გუდა
მათმა პრესამ სთესა,
იმდენი მათ ლოიდ-ჯორჯებს,
პუანკარეს კვნესა!..

მუშა ვასილ როინიშვილი.

გაუმარჯოს ჩვენ პრესას!

პრესა ცეცხლზედ ძლიერია,
წყლის ტალღებზე ღონიერი,
ბიუროკრატისთვის მეხი-გრგვინვა,
კეთილისთვის—ლმობიერი.
პრესა ჭკუის გამხსნელია,
გონიერი, გრძნობიერი,
სილამაზის მოტრფიალე,
სწრაფი, წყნარი, ზომიერი.

დღეს თავის თანამშრომლებს
საზეიმოდ იწვევს პრესა,
ის გაარჩევს თეთრსა და შავს,
სიმტყუნეს და სიმართლესა,
ღამეს დღესავით გააშუქებს,
ბნელში მოჰფენს სინათლესა,
ცოცხალს სიკვდილს გადაუწყვეტს,
მკვდარს მოუძღვნის სიცოცხლესა.

მუშა გიგო ხეჩუაშვილი.

რა კლავს ჩვენს პრესას

ჩვენი პრესის სამეურნეო მდგომარეობა განსაცდელშია. როგორ დიდ მოთხოვნილებასაც არ უნდა შეადგენდეს გაზეთი მკითხველისათვის—მისი ბაზარი ვერასოდეს ვერ გაფართოვდება, თუ ის არ შეიქნა ხელმისაწვდომი ჯიბე გაფხეკილ მასიური მკითხველისათვის. სწორეთ მასიურ მკითხველზე ვლაპარაკობთ ჩვენ. ცხადია აქედან, რომ ფიქრი გვმართებს და ენერგიული ზომები გვაქვს მისაღები, რათა პრესის მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდეს. რასაკვირველია, ფუჭი იქნებოდა ოცნება იმაზე, რომ ბეჭდვითი სიტყვის, ასე ვსთქვათ, პროდუქტები მთლათ ვიხსნათ იმ საერთო გაძვირებისაგან, რომელიც „კანონათ“ გადაიქცა ბაზარზე გამოტანილი ყველა ჯურის საქონელისათვის. მაგრამ რამდენიმეთ შემსუბუქება მდგომარეობის შესაძლებელია და აქეთკენ უნდა იყოს მიპყრობილი ჩვენი გულისყური.

პირველი მაჯლაჯუნა, რომელიც წასწოლია თავზე ჩვენი გაზეთის მეურნეობას, არის ძვირი ქაღალდი, და ძვირივე სტამბა. ცნობილია, რომ სამ მეოთხედს და ხშირათ მეტსაც ჩვენი გაზეთების ბიუჯეტისას ნთქავენ დღეს სწორეთ ეს ორგვარი ხარჯები. მათ ვერ წამოუდგება ჩვენი პრესა, თუ მიღებული არ იქნა ახლავე გადამჭრელი ზომები. ჩვენ გვეგონა ერთად ერთ სწორ გზათ ამ მიმართულებით იმ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარება, რომელთა წინადადებას იძლევა ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ყრილობა.

მან დაადგინა: განთავისუფლებულ იქნეს საზღვარ-გარეთიდან შემოსატანი ქაღალდი საბაჟო გადასახადებისაგან. ამ მხრივ ნაბიჯებიც თითქოს გადაიდგა, მაგრამ არსებითად საქმე არ დაძრულა გაყინული წერტილიდან, ყოველ შემთხვევაში ჩვენამდი არ მოუღწევია მის ეფექტს. საჭიროა ამ მხრივ ახლავე იქნეს მიღებული ზომები, რომ ერთ-ერთი დიდი დაბრკოლება ჩამოსცილდეს ჩვენი პრესის განვითარების საქმეს. იმავე ყრილობამ გამოიტანა დადგენილება გაზეთებზე სტამბის გადაცემის შესახებ, მაგრამ დღემდე არც ამ საქმეს მიეცა მსვლელობა. ხოლო პოლიგრაფიული განყოფილებები რომ მძიმე მდგომარეობას ჰქმნიან გაზეთებისთვის, ეს ყველას პირზე აკრავს დღეს. ამხ. ტროცკიმ უორაზროვნოთ განაცხადა პარტიის ყრილობაზე, რომ შეიძლება საჭირო შეიქნეს ასეთი ზომების მიღებაო. ეს ცხადია, თუ მდგომარეობა იგივე დარჩა, როგორიც იყო დღემდე—ხოლო ნიშნები გამოსწორების ჯერ არ სჩანს—ცხადია ეს უნდა მოხდეს. ხოლო ვიცით რა გამოცდილებით, რომ სხვა გზით საქმეს თავი ვერ შემოევლო, საჭიროა ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა დადგენილება რაც შეიძლება ჩქარა გატარდეს ცხოვრებაში, რადგან, როგორც იმავე ორატორმა განაცხადა, სტამბები თვით მიზანი კი არ არის, არამედ საშუალება მიზნის მისაღწევათ. სტამბა გაზეთისათვის ე. ი. აგიტაციისთვის, პროპაგანდისთვის და ორგანიზაციისთვის და არა პირიქით.

მაგრამ თქმულით არ ამოიწურება ყველა დაბრკოლებები. დეპეშათა სააგენტო უკანასკნელი არ არის, რომელსაც შეაქვს თავისი „წვლილი“ საქმის გართულებაში. შენიშნულია, რომ მისი ინფორმაცია ბევრათ ძვირი ჯდება დღეს, ვინემ ომამდე. აქაც რასაკვირველია შეიძლება ითქვას, რომ რატომ უნდა შეადგენდეს სააგენტო პრეტენზიები გამონაკლისს სხვა დარგებში შექმნილი მდგომარეობიდან. მაგრამ გაზეთის განვითარების საქმეს ის აბრკოლებს თავისი მოთხოვნებით. ამიტომ უნდა ითქვას ის, რასაც ვხედავთ სინამდვილეში. საჭიროა გაიაფება ინფორმაციისაც, როგორადაც არ უნდა მოხერხდეს ეს. იგივე ითქმის ფოსტაზე.

ასეთია მდგომარეობა. ამის გამოუსწორებლათ ჩვენი პრესა ვერ ადგება. ეს კი საჭიროა დღეს უფრო, ვინემ ოდესმე.

ჩვენ ან გადავლახავთ ამ შემპორიკა ზღუდეებს პრესის განვითარებას ან ის გაიყინება ერთ ადგილზე სხვა გზა არ არის.

ნ. კ.

საჭიროა პარტიულ და საბჭოთა პრესის საჭიროებისათვის უცხოეთიდან შემოტანილი ქაღალდის გადასახადიდან განთავისუფლება ან ამ გადასახადების დაბრუნება გამომცემლობისათვის. ეს გადასახადები საგრძნობ სარგებლობას არ მისცემენ ქაღალდის მრეწველობას, ჩვენს ძირითად მუშაობას აგიტაციასა და პროპაგანდის საქმეში კი გამოუსწორებელ ზიანს მიუტანს.

გზა მუშა-მწერალს!

ჩვენი გაზეთი მუშათა გაზეთია თავისი აზრით და დანიშნულებით.

ეს მარტო იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენი გაზეთი იცავს მუშათა კლასის ინტერესებს, აშუქებს ყველა მოვლენებს პროლეტარულ-კლასობრივი თვალსაზრისით და უჩვენებს მას შრომის განთავისუფლების, შრომის სუფევის დამყარების და განმტკიცების უმოკლეს გზებს და საშუალებებს.

მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა საქმეა, და ჩვენს ამოცანას შეადგენს, რომ პრესას სავსებით დაეუფლოს პროლეტარიატი, რომ მუშა მწერლები გახდნენ პრესის ნამდვილი და ფაქტიური ხელმძღვანელნი და თანამშრომელნი.

ეს ადვილი არ არის და დღეს-დღეობით საოცნებო რამეს შეადგენს.

ჩვენი მუშათა კლასი დაჩაგრებული იყო როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად. მუშა მთელ სიცოცხლეს ლუკმა პურის შოვნაში ატარებდა, ამასთან მას არ ჰქონდა გონებრივი განვითარების საშუალება. ძველი რეჟიმი იმასაც ცდილობდა, რომ მუშებისათვის შეეკრა გზები კულტურულ გათვითცნობიერებისაკენ და ისინი ემყოფებინა უმეცრებასა და სიბნელეში. მხოლოდ ამ სიბნელეში შეეძლო მას თავისი ბატონობის გამაგრება.

ამიტომაცაა, რომ ჩვენი მუშათა კლასის ფართე მასსა დღეს გონებრივად ჩამორჩენილია, მის საგრძნობ ნაწილს არამც თუ არ შეუძლია წერით გამოხატოს თავისი აზრები და [illegible], არამედ დაწერილის წაკითხვა და გაგებაც მეტად ეძნელება.

საბჭოთა ხელისუფლება უდიდეს ყურადღებას აქცევს ამ გარემოებას. ის ცდილობს მუშების არა მარტო ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებას, არამედ მათი გონებრივი განვითარებას, მათი პოლიტიკურ და ტეხნიკურ უცოდინარობის მოსპობას.

ასეთ მუშაობას, სხვათა შორის, შედეგად უნდა მოყვეს მუშების აქტიური ჩაბმა პრესაში, მათი გამოსვლა მწერლების, ლიტერატორების, ჟურნალისტების როლში.

ამ მიმართულებით რუსეთში საკმაოდ დიდი შედეგებია მიღწეული. იქ გაზეთების ფურცლების საგრძნობი ნაწილი ავსებულია მუშათა წერილებით. მათი შენიშვნები და წერილები ეხებიან ცხოვრების სხვა და სხვა მხარეს და მათ ექცევათ განსაკუთრებული ყურადღება.

აქაც, ჩვენშიაც, სჩანს ამ მხრივ წინწაწევის, წარმატების უტყუარი ნიშნები.

კერძოდ, რაც შეეხება ჩვენს გაზეთს, მასში მუშათა კორესპონდენციებს და წერილებს საპატიო ადგილი აქვთ დათმობილი. ხანგრძლივი მუშაობით ჩვენ მოვახერხეთ მუშა-კორესპონდენტების მნიშვნელოვანი კადრის შექმნა და შემოკრება გაზეთის გარშემო. მათ მუდმივი და უშუალო დამოკიდებულება აქვთ ჩვენს გაზეთთან. ისინი სწერენ მუშების მდგომარეობაზე წარმოება-დაწესებულებების ავ კარგზე. ამით იქმნება ცხოველი კავშირი პრესასა და მუშათა კლასს შორის, ესევე ხელს უწყობს მუშათა ცხოვრების გაუმჯობესებას, წარმოება-დაწესებულებებში არსებულ დეფექტების აღმოფხვრას, საბჭოთა მეურნეობის აღორძინებას, სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის გაჯანსაღებას.

მაგრამ ის, რაც დღემდე არის შესრულებული პრესის გამუშურების საქმეში, ფრიად მცირეა იმასთან შედარებით, რაც აწი არის გასაკეთებელი.

მუშა-კორესპონდენტების წერითი თვისების ამაღლება, როგორც შინაარსის, ისე ტეხნიკის მხრივ; მათი გამარჯვება და მუშათა ფართე მასსის ჩაბმა საგაზეთო მუშაობაში; შექმნა მუშა-ჟურნალისტების, რომელნიც დასწერენ არა მარტო საინფორმაციო ხასიათის წერილებს, არამედ სახელმძღვანელო და ზოგადი ხასიათის წერილებსაც ცხოვრების მიერ წამოყენებულ სხვა და სხვა საკითხების შესახებ; მომზადება მუშა-ლიტერატორების, რომელთაც შეეძლებათ თანამშრომლობა ჩვენი პრესის, გაზეთის ყველა განყოფილებაში,—აი ჩვენი ამოცანა. მუშა-კორესპონდენტი, მუშა-ქრონიკიორი, მუშა-მეთაურის ავტორი, მუშა-კრიტიკოსი, მუშა-პუბლიცისტი, მუშა—სხვა და სხვა სახის მხატვრულ და პოეტურ ნაწარმოების შემქმნელი, — ასეთია ჩვენი იდეალი.

დღეს, მუშური პრესის დღეს, ვიგონებთ ჩვენს მოვალეობას, რომელიც გვაწევს პრესის გამუშურების საქმეში და ვამბობთ, რომ აქეთ უნდა იყოს მიმართული მთელი ჩვენი ცდა და მუშაობა.

ფართე გზა მუშა-მწერლებს,—ასეთ ლოზუნგს ვაყენებთ ჩვენ. და ეს ლოზუნგი უნდა განვახორციელოთ, რაც არ უნდა დაგვიჯდეს.

ახალი თანამშრომელი.

პოლიგრაფიულ წარმოების მუშაკთა სრ. საქართველოს მეორე ყრილობა

გაზეთების გავრცელება

ჩვენი პრესისათვის ერთი საჭირბოროტო საკითხი, რომლის სასურველად გადაჭრა დღემდე ვერ მოვახერხეთ, არის მისი გავრცელების საქმე.

რაც უნდა იდეალურად იყოს დაყენებული გაზეთი თავისი შინაარსით და ტექნიკით, მას მნიშვნელობა მხოლოდ იმდენად ექნება, რამდენადაც ის ხდება ფართე მასსის კუთვნილებად, რამდენადაც მას მეტი ხალხი კითხულობს. თუ კი გაზეთს ნაკლებად კითხულობენ, იქ გამოთქმული აზრები და წამოყენებული ლოზუნგები ვერ გადაიქცევენ იმ ძალად, რომელიც მშრომელ ხალხს მოძრაობაში მოიყვანს, იმ ძალად, რომელიც შუქს მოჰფენს შექმნილ ვითარებას და მასსას სავალ და სამოქმედო გზას უჩვენებს.

ამ მხრივ ჩვენში ფრიად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა, რომელიც გადაჭრილ და დაუყოვნებლივი ზომების მიღებას მოითხოვს.

ჩვენი გაზეთი არ ვრცელდება იმდენი, რამდენიც სასურველია და საჭირო.

ბევრია ამის მიზეზი.

კულტურული ჩამორჩენილობა მშრომელი მასსის, რომლის დიდი უმრავლესობა მოკლებულია საკმაო წერა-კითხვის ცოდნას.

ამ მოვლენის აღმოფხვრა, რა თქმა უნდა, ერთბაშად არ შეიძლება. ეს ხანგრძლივ და სისტემატიურ მუშაობას მოითხოვს. საბჭოთა ხელისუფლების მეცადინეობაც აქეთკენაა მიმართული.

მაგრამ წერა-კითხვის მცოდნე მუშების და გლეხების რიცხვი ბლომად მოიპოვება ჩვენში, და რომ ყველა მათ თუ არა, საგრძნობ ნაწილს მაინც რო ჰქონდეს გაზეთი გამოწერილი, ეს იქნებოდა უდიდესი მიღწევა.

ჩვენ კი ვხედავთ, რომ ეს ასე არ არის.

გაზეთებს იწერს და კითხულობს მხოლოდ უმცირესობა.

თავის თავად ცხადია, რომ აქ ერთგვარ როლს თამაშობს ხელმოკლეობა. ჩვენი მუშა და გლეხი ჯერ კიდევ არ არის ისე უზრუნველყოფილი, რომ მისთვის საძნელო არ იყოს გაზეთის თუნდა მცირე ფასის გადახდა.

მაგრამ გაზეთების გაუვრცელებლობის მთავარი მიზეზები სხვაგან უნდა ვეძიოთ. ესაა შეუგნებლობა, სულიერი უმოძრაობა და ინდიფერენტიზმი. ბევრს არ აქვს გაღვიძებული საკმაო ინტერესი და ხალისი გაზეთების კითხვის, ცხოვრების მსვლელობის და ახალი მოვლენების გაგების, მათში გარკვევის.

პარტიულ და მუშათა ორგანიზაციების მოვალეობას შეადგენს ბრძოლა ამ სულიერ ინდიფერენტიზმთან, მშრომელ მასსების დაინტერესება ადგილობრივი და საერთაშორისო ამბებით, მათთან გაცნობა, რაც ყველაზე უკეთ შეიძლება გაზეთების საშვალებით, მათი ფართე გავრცელებით ხალხში. დღემდე ჩვენი ადგილობრივი ამხანაგები სათანადო ანგარიშს არ უწევდნენ გაზეთების გავრცელების საქმეს, ეს თითქო არ მიაჩნდათ თავიანთ პირდაპირ მოვალეობად.

ამას ერთხელ და სამუდამოთ ბოლო უნდა მოეღოს. გაზეთების გავრცელება შეადგენს პარტორგანოების და ცალკე ყოველი ამხანაგის უდიდეს პარტიულ მოვალეობას. აქაც უნდა იქნას გამომუშავებული ერთგვარი გეგმა და სისტემატიურად წარმოებული შესაფერი კამპანია, როგორც ტარდება სხვა მნიშვნელოვანი კამპანიები. არა მცირე დაბრკოლებას პრესის გავრცელების საქმეში ქმნის ტრანსპორტის მოუგვარებლობა და ექსპედიციის აპარატის დეფექტები.

ბევრი იმიტომ არ იწერს გაზეთებს, რომ მას თავის დროზე არ მიიღებს, ან სულ არ მიიღებს. მაგ., მოსკოვიდან გაზეთები მოდის მეხუთე—მეექვსე დღეს მაშინ, როცა თბილისიდან გაზეთი რომელიმე პროვინციაში უფრო გვიან ჩადის.

არის შემთხვევები, როცა გაზეთი გზაზე იკარგება, მას უკანონოდ ითვისებს სხვა ვინმე.

ტრანსპორტის საქმის მოგვარებას, გამომწერისათვის გაზეთის თავის დროზე და უკლებლად ჩაბარებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ეს დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი პრესის გავრცელებას. ამ საქმეშიც აქტიური დახმარება უნდა გაგვიწიონ პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებმა.

გაზეთების ფართედ გავრცელებას აქვს არა მ.რტო პოლიტიკურ იდეიური მნიშვნელობა, რამდენადაც ეს სწევს ხალხის ფართე მასსების კლასობრივ და კულტურულ შეგნებას, არამედ ამას აქვს მატერიალური მნიშვნელობაც. ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში გაზეთს ესაჭიროება არსებობის საკუთარი საშუალება, და ეს საშუალება უნდა შემოკლდეს თვით გაზეთიდან.

ამნაირად, ჩვენს დამკვრელ ამოცანას შეადგენს გაზეთის ტირაჟის აწევა, მისი მაქსიმალური გავრცელება, მისთვის მასსიური ხასიათის მიცემა. წერა-კითხვის მცოდნე ყოველი მუშა, გლეხი, მშრომელი ინტელიგენტი უნდა სდებდეს განსაზღვრულ წვლილს მის გამოსაწერად.

გაზეთი უნდა გახდეს ხალხის აუცილებელ მოთხოვნილებად.

ადგილობრივ ორგანიზაციებს ჩვენ მოუწოდებთ გაზეთების გავრცელების საქმეს მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება და ამ მიმართულებით გასწიონ შესაფერი მუშაობა.

მეგაზეთე.

მე პირადათ მომიხდა სერიოზული შეჯახება ახმეტელაშვილთან და მენშევიკ დათიკო საგირაშვილთან, რომლებიც „პრავდის“ „რკინის ფონდისათვის“ ჩემ მიერ მოგროვილ კარგა ბლომა ფულების შესახებ მიმტკიცებდენ, რომ მე თითქოს მორალური უფლება არა მქონდა ეს ფულები პეტერბურგში გამეგზავნა „პრავდის“ რედაქციისათვის, იმ დროს, როცა აქ არსებობდა „აგრეთვე“ სოციალ-დემოკრატიული მუშათა გაზეთი „ფიქრი“, მატერიალურად მეტად გაჭირვებული- მე, რა თქმა უნდა, არ მივიღე მათი წინადადება და ფულები დანიშნულებისამებრ წავიდა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი ჩვენი გულუბრყვილო ამხანაგები მაინც შეიყვანეს მათ შეცდომაში და დასტყუეს მოგროვილი ფულები „რკინის ფონდისათვის“ თავიანთ სასარგებლოთ.

საერთოდ ამ დღის ჩვენ-მიერ კარგად ჩატარებამ თფილისის პროლეტარიატში გამოცოცხლება შეიტანა.

თფილისის ბოლშევიკების მიერ ჩატარებული „პრესის დღის“ ზეიმი არ დარჩა შეუმჩნეველი ჟანდარმერიისაგან და მეორე-მესამე დღეს მრავალი შენიშნული ამხანაგები დაიჭირეს. დაჭერილთა შორის ბევრი გადაასახლეს, ბევრი კი მეტეხის ციხეში მოამწყვდიეს.

ამის შემდეგ არ გაუვლია დიდ ხანს, რომ იფეთქა მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა.

დადგა მძაფრი რეაქცია რასაც ხელი შეუწყვეს,—თქმა არ უნდა,—ეგრედ წოდებულ „ობორონეც“ მენშევიკ ესერებმა.

დაიკეტა გაზეთი „პრავდა“, განადგურებული იქნა რევოლიუციონური ორგანიზაციები, აივსო ციხეები პოლიტიკური ტუსაღებით.

ეს მაშინ, წარსულში.

შემდეგ კი,—რუსეთის გმირულმა პროლეტარიატმა გადალახა ყოველივე ზღუდეები, დაამსხვრია მონარქიული მთავრობისა და ბურჟუაზიის მიერ შექმნილი მონობის ბორკილები, გაბატონდა პოლიტიკურად, აღადგინა, ააყვავა თავისი პრესა და ეხლა თავზარდამცემია მთელი მსოფლიოს მტაცებლებისათვის.

ს. თალაკვაძე.

საჭიროა დეპეშათა სააგენტოს ინფორმაციაზე ფასის შემცირება. ეს ფასი ომის წინა პერიოდთან შედარებით ათჯერ გაიზარდა (1080 ათასი მანეთი ოქროთი 120—150 მანეთის მაგიერ თვეში).

როგორ ვბეჭდავდით პროკლამაციებს

(მოგონება)

ეს იყო იმ დროს, როდესაც თავისუფალი პრესა მხოლოთ ოცნებას შეადგენდა ჩვენთვის.

ბათუმში პატარა არალეგალური სტამბა გვქონდა მოწყობილი ქალაქ გარედ ერთი აჭარელის სახლში.

მე და ლადო დუმბაძე ვმუშაობდით პაპამოსკიჩის პატარა სტამბაში, სადაც ხაზეინიდან მეთვალყურეთ გვყავდა ოსმალეთიდან ლტოლვილი ოანეზა.

ორშაბათიდან შაბათამდი აქ ვმუშაობდით,—შაბათ საღამოს კი მივდიოდით ჩვენს არალეგალურ სტამბაში და იმ ღამით და კვირას იქ ვბეჭდავდით პროკლამაციებს.

მაგრამ ხანდახან აუცილებლათ საჭირო იყო შუა კვირაში საჩქარო რამე ფურცელი გამოგვეშვა, რაც უნდა დაგვებეჭდა აქვე პაპამოსკიჩის სტამბაში.

ოანეზას თვალის ახვევას ვახერხებდით სხვა და სხვა ოინბაზობით, მაგრამ საჭირო იყო კიდევ ჟანდარმების და პოლიციის თვალის ახვევა, რათა ეჭვი არ აეღოთ ჩვენ სტამბაზე, არ დაეხურათ ის და არ დავეტუსაღებიეთ ჩვენ.

ამისთვის მივმართეთ შემდეგ ხერხს: ამხანაგების საშვალებით გამოგვქონდა ზოგი ასოები სხვა სტამბებიდან, რომლებიც განსხვავდებოდენ პაპამოსკიჩის სტამბის ასოებიდან. როდესაც ვაწყობდით პროკლამაციას,—ეს გარეშე ასოებიც იქვე გვქონდა მზათ პაპიროსის კოლოფებში და შიგა და შიგ ჩაურთავდით სტრიქონებში ხოლმე.

ამნაირათ სხვა და სხვა არეული ასოებით დავბეჭდავდით ფურცელს; გადარჩევის დროს კი ისევ გამოვყოფდით გარეშე ასოებს და დავუბრუნებდით უკან.

სიცილს ვერ ვიკავებდით ხოლმე, როდესაც ამის შემდეგ ჟანდარმები და პოლიციელები მოვიდოდნენ სტამბაში თავიანთი ასოთ-ამწყობების და მბეჭდავის თანხლებით და ჩვენ მიერ დაბეჭდილი პროკლამაციით. ამოაწყობინებდენ და გადააბეჭდვიებდენ მათ ამ პროკლამაციას და შემდეგ შეადარებდენ ერთმანეთს, მაგრამ არაფერის მზგავსება მათ შორის არ აღმოჩნდებოდა.

ამნაირად ხელცარიელი მიდიოდენ ისინი, დარწმუნებული იმაში, რომ პროკლამაცია არ იყო დაბეჭდილი ბათუმის არც ერთ ლეგალურ სტამბებში.

ჩვენ კი ირხეინათ განვაგრძობდით შემდეგშიდაც ამნაირათ პროკლამაციების ბეჭდვას. საქმეს მხოლოდ ოანეზა გვიჭირებდა, მაგრამ იმის მოტყუილებას უფრო ადვილათ ვახერხებდით.

ს. თოდრია

საფოსტო ტარიფი გაზეთების გადაგზავნაზე უნდა დაწესდეს ომამდი არსებულ ნორმის მიხედვით ე. ი. არა უმეტეს 10 პროც. ჟურნალზე ან გაზეთზე ხელის მოწერის ფასისა.

როგორ ჩავატარეთ პირველათ „პრესის დღე“ ჩვენში

(მოგონებიდან)

1914 წელს 22 აპრილს (ძველი სტილით) პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიულ (ბოლშევიკურ) გაზეთ „პრავდის“ ორი წლის შესრულების თავზე იზეიმეს „პრავდის“ გამოცემის დღე და იქიდანვე დაწესდა „პროლეტარული პრესის დღე“-ც. ჩვენც-თფილისელი ბოლშევიკებიც ვემზადებოდით ამ დღისთვის ჩვენმა ჯგუფმა, რომელშიც შედიოდენ: 1918 წ. ჯალათურათ მოკლული ალიოშა ჯაფარიძე, კასიანი, ლოლა წულუკიძე, ლევანა ამირეტაძე, თომა კამალოვი, შალიკო ასკურავა, არუსაკი, ლადო სულიშვილი, გიორგი ყურულიშვილი, ტერ-ასატუროვ, მე და სხვები 22 აპრილისათვის გამოვიწერეთ დიდი რიცხვი გაზეთ „პრავდისა“ გასავრცელებლად.

ეს დღე აღინიშნა მრავალ სამრეწველო ქალაქებში იმით, რომ მუშები იკრიბდენ თავს, ეცნობოდენ მუშათა რევოლიუციონურ პრესის დიად მნიშვნელობას, ეწეოდენ აგრეთვე აგიტაცია-პროპაგანდას პროლეტარულ პრესის ეგრეთ წოდებულ „რკინის ფონდის“ შესაქმნელად.

ეს იყო სწორეთ მსოფლიო იმპერიალისტური ომის წინა დღეებში.

ამ დროს თფილისში გამოდიოდა ერთად ერთი კვირეული გაზეთი „ფიქრი“ მენშევიკებისა, ლადო ახმეტელაშვილის რედაქტორობით. ჩვენ, ბოლშევიკებს საკუთარი ორგანო არ გვქონდა.

22 აპრილი შესანიშნავი მზიანი დღე იყო.

ყველა ჩვენი ამხანაგები და თანამგრძნობნი ქუჩებში ვიყავით დილიდანვე გამოფენილი და ამ დღისათვის მიღებულ „პრავდის“ მრავალ ეგზემპლიარებს ვავრცელებდით მუშათა რაიონებში და ვკრებდით თან ხელ-მოწერით ამხანაგებისა და თანამგრძნობლებისაგან „პრავდის“ „რკინის ფონდისათვის“ შემოწირულებებს; ვავრცელებდით აგრეთვე ჩვენ მიერ გამოცემულ პროკლამაციებსაც „პროლეტარულ პრესის დღის ზეიმის“ მნიშვნელობის შესახებ. ამ დღეს ჩვენ-მიერ მოგროვებულ იქნა საკმაო დიდი თანხა ფულისა „რკინის ფონდისათვის“.

აღსანიშნავია, რომ ამ „პროლეტარულ პრესის დღეში“ რომელსაც ჩვენთვის, ბოლშევიკებისათვის, თავისი განსაკუთრებული ისტორია ჰქონდა, მონაწილეობას ღებულობდნენ ადგილობრივი მენშევიკებიც, რომელთაც ცოტა ჰქონდათ საერთო სწორეთ ამ დღესთან. ისინი ისე აჩვენებდენ თავს თავიანთ გულუბრყვილო ამხანაგ-მუშებს, რომ ეგონებოდათ თითქო ეს დღე მათი მოგონილი და დაწესებული ყოფილიყო ამ განსხვავებით, რომ—თუ ჩვენ „რკინის ფონდს“ ვაგროვებდით „პრავდისათვის“, ისინი მოუწოდებდნენ თავიანთ ადგილობრივ გაზეთ „ფიქრისათვის“. მახსოვს ამ საგანზე

შეღავათიანი ტარიფი ბეჭდვითი ნაწარმოების გადაგზავნაზე და აგრეთვე ტელეგრაფის ტარიფი გაზეთებისათვის უნდა შემცირდეს და შეძლების და გვარათ დაყვანილი უნდა იქნეს ომამდე არსებული ნორმამდი.

ბეჭდვითი სიტყვა—ბასრი იარაღია

ბეჭდვითი სიტყვა არის უძლიერესი და უმახვილესი იარაღი. გაბატონებული კლასი ძლიერ მოხერხებულად და მომარჯვებულად სარგებლობს ბეჭდვითი სიტყვით თავისი მიზნების გასატარებლათ და ინტერესების დასაცავად. ბეჭდვითი სიტყვის წყალობით და საშვალებით რამოდენიმე ათეულ პიროვნებას შეუძლია რამოდენიმე ათასეული მკითხველის აზროვნება თავისებურად მიმართოს.

ჩვენ ძალიან კარგათ ვიცით რა გვარად სარგებლობდა მშრომელი ხალხის სხვა და სხვა ხარისხის და ჯურის მტრები ბეჭდვითი სიტყვას თავისი იდეოლოგის დასაცავად.

მაშასადამე პრესსა ყოფილა გაბატონებული კლასის ხელში მძლავრი და ძლიერი იარაღი მისი პოზიციის, მისი ბატონობის განსამტკიცებლად.

რატომ არის დაწესებული 5 მაისი „მუშათა პრესსის დღეთ“?

თუ მშრომელი კლასის მტრები აფასებდენ ბეჭდვითი სიტყვის მნიშვნელობას, არც მუშათა კლასი იყო მოკლებული ასეთი დაფასების უნარს.

მუშათა კლასსაც გაეგება ბეჭდვითი სიტყვის სიძლიერე, ამიტომ დაიპყრო მან ისიც.

22 აპრილს ძველი სტილით 1912 წელს რუსეთის მუშების მოწინავე წრემ პეტერში გამოუშვა პირველი ნომერი გაზეთი „Правда“.

რით არის ეს დღე ღირსშესანიშნავი? განა 1912 წ. 22 აპრილიდან რუსეთში არ გამოდიოდა მუშათა ინტერესების დამცველი გაზეთი?

ლეგალურად და პროლეტარულად კანტი-კუნტად გამოდიოდა მუშათა ინტერესების დამცველი გაზეთები, მაგრამ ამ გაზეთებს უშვებდენ მასებისგან მოწყვეტილი ჯგუფები, ხოლო 22 აპრილს გამოშვებული გაზეთი „Правда“ იყო ღვიძლი შვილი რუსეთის შეგნებული მუშების ფართო წრის.

გაზეთ „Правда“-ს „რკინის ფონდი“ შედგა და შეგროვდა თვით მუშების ნაოფლარი გროშებით.

ეს კიდევ არაფერია.

გაზეთ „Правда“-ს გვერდები აჭრელებული იყო მუშების დაკოჟრებული ხელნაწერი წერილებით.

აი, ამ დღიდან, ე. ი. 5 მაისიდან (ახალი სტილი) ჩაეყარა ურყევი საძირკველი მუშათა პრესას, და მიუხედავად საშინელი და აუწერელი რეპრესიებისა, მან იარსება ომის დაწყებამდე.

რა აზრი უნდა ჩაუდვათ „5 მაისის მუშათა პრესის დღეში“? ის, რომ თითეულმა და ყოველმა შეგნებულმა მუშამ თავის პრესას უნდა მიაქციოს გაორკეცებული ყურადღება. რაში უნდა გამოიხატოს მუშათა პრესისკენ ყურადღების მიქცევა? ზოგ მუშას ჰგონია საკმარისია გაზეთის ყიდვა და წაკითხვა. ზოგს კიდევ ჰგონია მეტი არაფერია საჭირო, თუ ერთი ან ორი წერილი დაწერა, ან კიდევ ერთი-ორი გროში შესწირა.

არა ამხანაგებო, არც ერთი ცალცალკე აღებული არაა საკმაო.

საჭიროა, ვიმეორებ, თითეულმა შეგნებულმა მუშამ წეროს თავის გაზეთში მუდმივად, აგროვოს მისი ფონდისათვის თანხა და ამასთანავე და, ყველაზე უფრო, ხელი შეუწყოს მის გავრცელებას.

რადიო-დეპეშები

რურის ოლქის ოკუპაცია

კრუპის ქარხნების დირექტორის დატუსაღება

ბერლინი 2 მაისი. ესენში ფრანგებმა დაატუსაღეს კრუპის ქარხნების დირექტორი, ესენში მომხდარ სისხლიან ამბების აცილებლად წინასწარ ზომების მიუღებლობისათვის.

ლოზანას კონფერენცია

კონფერენცია იშლება.

ბერლინი. 4 მაისი. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ საფრანგეთი იმუქრება მიატოვოს კონფერენცია იმ შემთხვევაში, თუ ოსმალეთი არ მოხსნის თავის ჯარებს სირიის საზღვრებიდან. ამ ცნობამ ლოზანაში დიდი სენსაცია გამოიწვია.

საფრანგეთის პრესის უკმაყოფილება.

პარიზი. 2 მაისი. საფრანგეთის გაზეთები უკმაყოფილებას გამოსთქვამენ იმ შეურიგებელ პოზიციის გამო, რომელიც ოსმალებს უჭირავთ ლოზანის კონფერენციაზე. ვოროვსკის გამოსვლა ძალიან აღელვებს საფრანგეთის საზოგადოებრივ აზრს. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ვოროვსკის ჩამოსვლამ ლოზანაში მოკავშირეები მეტად არია.

ძნელია.

პარიზი. 2 მაისი. საფრანგეთის გაზეთები აღნიშნავენ იმ სიძნელეთა მთელ რიგს, რომელნიც შეუძლებელს ხდიან საკითხების უმრავლესობის საექსპერტო კომისიისათვის განსახილველად გადაცემას.

გრიუ ჩესტერის კონცესიების შესახებ.

ლონდონი. 3 მაისი. ამერიკის წარმომადგენელმა ლოზანის კონფერენციაზე გრიუმ აცნობა გენერალ პელეს, რომ შეერთებული შტატები სათუოა დაუჭერენ თუ არა მხარს ჩესტერის რკინის-გზის კონცესიებს იმ ნაწილში, რომელიც ეწინააღმდეგება საფრანგეთის ინტერესებს.

გრიუმ განაცხადა, რომ შეერთებული შტატებს, უჭირავს რა „ოსმალეთში ღია კარების“ პოლიტიკის მხარე, არ დაუჭერს მხარს ამერიკის კონცენსიენერებს სხვა სახელმწიფოთა მოქალაქეების მიერ წინეთ აღებულ კონცესიების წინააღმდეგ. ჩესტერის კონცესიების დაწვრილებითი ცნობები ჯერ კიდევ არ არის ჩასული ვაშინგტონში, მაგრამ გრიუ არ ფიქრობს, რომ არ შეიძლებოდეს შეთანხმების გზების გამონახვა და სათუოა, რომ ეს კონცესიები შეურიგებელი იყოს საფრანგეთის ინტერესებისათვის, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ოსმალებმა შეიტანეს ეს კონცესიები სამსუნსიკასის რაიონში.

ახლო აღმოსავლეთში

მუშათა და გლეხთა პარტიის დეკლარაცია.

ანგორა. 30 აპრილი. გაზ. „ოგიუტ“‘მა გამოაქვეყნა სტამბოლში მუშათა და გლეხთა პარტიის დეკლარაცია. დეკლარაცია შეიცავს შემდეგ მუხლებს: საყოველთაო პირდაპირი. თანასწორი და ფარული კენჭის ყრა, კლასობრივი წარმომადგენლობა პარლამენტში, მუშების და გლეხების განთავისუფლება შემოსავლის კვალობითი გადასახადიდან. ერთიანი პროგრესიული გადასახადის შემოღება. პროფკავშირების ორგანიზაციის და გაფიცვის უფლება.

საფრანგეთი ცდილობს მეტი ისარგებლოს.

ანგორა. 3 მაისი. გაზეთი „ხაკიმიეტმილიე“, ეხება რა მოლაპარაკებას ევაკუაციიის შესახებ, სწერს: სწარმოებს მოლაპარაკება სტამბოლის ევაკუაციის შესახებ, კიდევ არ შეიძლება გამოვარკვიოთ იქნება თუ არა მიღწეული ზავი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში საფრანგეთი ცდილობს რაც შეიძლება მეტი ისარგებლოს ჩვენგან.

საფრანგეთი მიისწრაფის სპეკულიატიურ ზრახვებისკენ.

ანგორა. 3 მაისი. კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ რაუფ ბეიმ გაზ. „ხაკიმიეტ მილიე“ კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა: „ოსმალეთმა შეასრულა საფრანგეთ-ოსმალეთის შეთანხმების ყველა პირობები, მაგრამ საფრანგეთმა არ შეასრულა შეთანხმების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი.

საფრანგეთმა არა თუ არ დაეხმარა ოსმალეთს სრული დამოუკიდებლობის მოპოვებაში, არამედ, პირიქით საფრანგეთის დიპლომატიამ დაარღვია ძველი მეგობრული კავშირი და ფინანსისტების გულის მოსაგებად ცდილობს კონცესიების ხელში ჩაგდებას და ოსმალეთის ეკონომიურად დაპყრობას საფრანგეთი შედგა იმ გზაზე, რომელიც მოსპობს მშვიდობიანობას აღმოსავლეთში.

პირველი მაისობა ანგორაში.

ანგორა 3 მაისი. პირველ მაისს ანგორაში სტამბების და ფაბრიკის მუშები არ მუშაობდენ. გაიმართა მუშების მრავალრიცხოვანი მიტინგი. სიტყვებით მიტინგზე გამოვიდენ მახმუდ ესადი და რამოდენიმე ორატორები მუშებიდან. მიტინგზე აირჩიეს 5 კაცისაგან შემდგარი დელეგაცია, რომელმაც მუშების სახელით მიულოცა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობას პროლეტარული დღესასწაული. წარმომადგენლობამ მიიღო მილოცვა აგრეთვე მუსტაფა ქემალიდან, კომისართა საბჭოს თავმჯდომარისა და გარეშე საქმეთა კომისრისაგან. საღამოს საბჭოთა წარმომადგენლობაში გაიმართა ბანკეტი, რომელსაც დაესწრენ მრავალი მუშები, ჟურნალისტები, მოხელეები და სხვ. ბანკეტზე ფესნზი ნური ეფენდიმ წარმოსთქვა მისასალმებელი სიტყვა, რომელშიაც სხვათა შორის სასტიკად ილაშქრებდა ინგლისის წინააღმდეგ. შემდეგ ილაპარაკეს სხვა ორატორებმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მშრომელთა მუშების ფართო მონაწილეობა 1 მაისის დღესასწაულში მოწმობს იმას, რომ შეურყეველია ოსმალეთის მეგობრობა საბჭოთა რესპუბლიკებისადმი.

მდგომარეობა სირიაში

საფრანგეთი მზად არის.

ბერლინი. 30 აპრილი. ლოზანადან მიღებული ცნობებით, სირიის საზღვარზე ოსმალეთის დიდძალი ჯარის კონცენტრაციის შესახებ გავრცელებული ხმების გამო, საფრანგეთის მთავრობამ ტულონში თავი მოუყარა სამხედრო გემების ესკადრას, რომელიც ყოველ წუთს მზად არის შევიდეს ოსმალეთის ზღვაში.

ინგლისის ამბები

ჩესტერის კონცესიის გარშემო.

ინგლისის პროტესტი.

ლონდონი. 2 მაისი. თემთა პალატაში შეკითხვაზე ჩესტერის კონცესიების შესახებ, ოფიციალურად იყო განცხადებული, რომ ინგლისის მთავრობამ მიანდო ინგლისის უმაღლეს კომისარს ენერგიული პროტესტი განუცხადოს ოსმალეთის მთავრობას ირანის ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლოატაციის მესამე სახელმწიფოსათვის გადაცემისათვის. კომისარს მინდობილი აქვს აგრეთვე განაცხადოს, რომ ინგლისის მეფე და მისი მთავრობა არასოდეს არ იცნობენ ასეთ კონცესიას.

გერმანია და ანტანტა

ინგლისი სდუმს

პარიზი. 4 მაისი. თემთა პალატაში ბალდვინმა გერმანიის ნოტის შესახებ შეკითხვის დროს სთქვა, რომ ჯერ-ჯერობით მას არ შეუძლია რაიმე განცხადება გააკეთოს ნოტის შესახებ მის შინაარსთან დეტალურად გაცნობამდი.

საფრანგეთი არ თმობს.

ლონდონი. 4 მაისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, საფრანგეთის მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა უარყოს გერმანიის ნოტა და განაგრძოს უფრო ენერგიული ბრძოლა.

იმედი ვაუცრუვდათ.

ბერლინი. 4 მაისი. გაზეთი „[illegible]-ალ ბელუ“ სწერს, რომ გერმანიის ნოტამ იმედი გაუცრუვა ბელგიის მთავრობას.

ამერიკა თავს იჭერს.

ბერლინი. 4 მაისი. ვაშინგტონიდან მიღებული ცნობით, შეერთებული შტატების მთავრობა თავს იჭერს რაიმე პირდაპირი განცხადებისაგან გერმანიის ნოტის შესახებ. მიუხედავად ამისა ამერიკის მთავრობა გულმოდგინებით განიხილავს საკითხს გერმანიის გადახდის უნარიანობის შესახებ.

გერმანიის პრესის ოპტიმიზმი.

ბერლინი. 4 მაისი. გერმანიის პრესა მაინც ოპტიმისტურად არის განწყობილი გერმანიის ნოტის შედეგების შესახებ.

პირველი მაისის დღესასწაული ბურჟუაზიულ სახელმწიფოში

რეველში

რეველი 2 მაისი მიუხედავად პოლიციის ბრძანებისა, მუშებმა გამართეს დემონსტრაციები 1 მაისს. დემონსტრაციებში მონაწილეობა მიიღო 6 000 კაცმა დემონსტრაცია ჩატარდა ერთიანი ფრონტის და საბჭოთა რუსეთთან კავშირის ლოზუნგებით.

ვარშავში

ვარშავი 2 მაისი საპირველმაისო დემონსტრაცია ვარშავში მოაწყვეს წითელმა პროფკავშირებმა, კომუნისტებმა და ბუნდმა კომუნისტ ორატორების გამოსვლებს ხვდებოდენ მქუხარე ტაშით, მიტინგის თავმოკრების შემდეგ პოლიციამ ალყა შემოარტყა დემონსტრაციებს, მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც დაჭრილია რამოდენიმე პოლიციელი. ფაშისტები თავს დაესხნენ ბუნდოვცებს. რომლებიც მოვიდენ კომუნისტებისათვის დახმარების გასაწევად. დაჭრილთა და დაპატიმრებულთა რიცხვი ჯერ გამოურკვეველია

იტალია.

რომი. 2 მაისი. მილანში 1 მაისს მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკებანი ფაშისტებმა ამაოდ სცადეს მუშათა ბირჟას დაწვა.

იტალიის დანარჩენ ადგილებში 1 მაისი ჩატარდა მშვიდობიანად.

პრაგაში

პრაგა 2 მაისი საპირველმაისო დემონსტრაციები პრაგაში მრავალ რიცხოვანობით აღემატებოდა წასული წლების დემონსტრაციებს რკინის გზელები, რომლებიც მთავრობის ბრძანების მიუხედავად, გაფიცული იყვნენ 1 მაისს, დაითხოვეს სამსახურიდან.

ბერლინში

ბერლინი. 2 მაისს ბერლინის პრესის ცნობებით ბერლინში 1 მაისის დღესასწაულში მონაწილეობას ღებულობდა 700,000 კაცი.

ლონდონში

ლონდონი. 2 მაისი 1 მაისს მუშათა პარტიის დემონსტრაციის შემდეგ 50,000 მუშამ მოაწყო პროცესია იაპონიის საელჩოს შენობისაკენ, დემონსტრანტებმა გადასცეს საელჩოს რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვენ სახალინის განთავისუფლებას იაპონიის ჯარებისაგან.

უკეთეს რა კომენტარიებს ამ ფაქტებს, გაზეთი „მორნინგ პოსტ“-ი მიუთითებს იმაზე, რომ არ ესმის ის, თუ რად ეინტერესებათ მუშებს მათთვის უცნობი კუნძული.

მიუნხენში.

ბერლინი. 2 მაისი. პირველი მაისის დემონსტრაციებში მიუნხენში მონაწილეობას ღებულობდა 50.000 მუშა. სოციალდემოკრატები გამოვიდენ ნაციონალური დროშებით, კომუნისტები კი ცალკე წითელი დროშებით.

რურის ოლქში.

ბერლინი. 2 მაისი. მიუხედავათ ფრანგების აკრძალვისა, მუშებმა რურის ოლქში ყველგან იდღესასწაულეს 1 ლი მაისი.

პეკინში.

პეკინი. 2 მაისი. გუშინ პეკინში მუშებმა პირველად იდღესასწაულეს პირველი მაისი. მუშები და სტუდენტები გამოვიდენ დემონსტრაციაში ლოზუნგებით: რვა საათის სამუშაო დღე, ბრძოლა მილიტარიზმის წინააღმდეგ და გაფიცვების ამკრძალავ კანონების გაუქმება.

სხვადასხვა ამბები

ამერიკა

ამერიკის დამხმარე კომიტეტში.

ნიუ-იორკი. 2 მაისი. ამერიკის დამხმარე კომიტეტის გადაწყვეტილება რუსეთისათვის შემდეგი დახმარების აღმოჩენის შესახებ, დამოკიდებული იქნება რუსეთის მოსავლისაგან. გუვერი ფიქრობს, რომ დახმარების საქმე ფაქტიურათ დამთავრებულია.

საფრანგეთი.

კომუნისტების საქმე.

პარიზი. 2 მაისი. კომუნისტების და სინდიკალისტების საქმე, მათ რიცხვში გლეინისაც, რომელთაც ბრალი ედებათ სახელმწიფო შეთქმულებაში, უმაღლეს ტრიბუნალს გადაეცა.

რუმინეთი

ფაშისტები ირაზმებიან.

ვენა. 1 მაისი. რუმინეთის ფაშისტებმა დაარსეს დამოუკიდებელი ფაშისტური პარტია, რომლის წესდება უკვე დაამტკიცა რუმინეთის მთავრობამ. ფაშისტების მოწოდება ხაზს უსვამს ფაშისტური მოძრაობის ლეგალურ ხასიათს და ჰკიცხავს ყოველგვარ განზრახვებს სახელმწიფოებრივ გადატრიალებაზე. პარლამენტის წევრებიდან ბევრი უკვე მიემხრო ფაშისტურ მოძრაობას. ფაშისტური ორგანიზაციის წესდებაში აღნიშნულია, რომ ფაშისტების მიზანია ბრძოლა კომუნისტებთან, სპეკულიაციის განდევნა, ბრძოლა თანამდებობით ბოროტ მოქმ.დებასთან და სხვ.

იტალია.

ფაშისტები ჰყიდიან მუშებს.

რომი. 30 აპრილი. საამშენებლო წარმოების მუშების ფაშისტურმა პროფკავშირმა დასდო მეწარმეებთან ხელშეკრულება 9 საათის სამუშაო დღის შესახებ. მუშებმა, რომლებიც ეკუთვნიან სოციალისტურ და კათოლიკურ პროფკავშირებს, განაცხადეს, რომ ისინი არ დაემორჩილებიან ამ ხელშეკრულებას.

ჩეხო-სლოვაკია.

უხდებათ ცნობა.

პრაგა. 2 მაისი ჩეხო-სლოვაკიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანოში „პრაგერ-პრესსე“ დაბეჭდილია მოსკოვში ჩეხო-სლოვაკიის წარმომადგენელის მოადგილის შრომის წერილი. რომელშიაც ის აღნიშნავს, რომ ერთად ერთი პოლიტიკური ძალა რუსეთში ამ ჟამად არის კომუნისტური პარტია კონტრ-რევოლიუციონური ბანდები მოსპობილია, სწერს შრომი. უკანასკნელი შეთქმულებები თავის დროზე იქნენ აღმოჩენილი. შიმშილიც ასე თუ ისე გადატანილია.

ეკონომიური მდგომარეობა გაუმჯობესდა, ერთი სიტყვით, ამბობს შრომი, კომუნისტურმა პარტიამ თავის ბატონობის მეექვსე წელზე მოაწყო ისეთი აპარატი, რომელსაც შეუძლია ქვეყნის მმართველობა.

იყო დრო, როცა დიდ ენერგიას ვხარჯავდით, რომ ბეჭდვითი სიტყვის „მონოპოლია“ მოგვეპოვებინა, ოქტომბრის რევოლიუციამ ეს ნატვრა შეგვისრულა. ახლა ვალდებული ვართ ამ უფლებით უხვად და ფართოდ ვისარგებლოთ.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა ბევრჯერ უკუღმართათ გაიგო, ამის გამო საჭიროა მუშათა პრესის შორს-მხედველი და ფხიზელი თვალი და ამასთანავე მუშა მწერლის მახვილი და მკვეთრი კალამი.

ქ. ხომერიკი.

1917 წ. გაზეთი „ბრძოლა“

პირველი ნომერი გაზეთ „ბრძოლის“ გამოვიდა 1917 წლის 4 ივნის. ამ დღიდან შეუდგა გაზეთ „ბრძოლა“ იდეურ ბრძოლას მენშევიზმის წინააღმდეგ, ამ დღიდან ის ააშკარავებს მუშათა კლასის წინაშე მენშევიკების ლაქიობას, მათ მოღალატობას. პირველ ნოემბრამდე გაზეთ ბრძოლა გამოდიოდა კვირაში ერთხელ. მიუხედავათ იმისა, რომ კვირაში ერთხელ გამოდიოდა, მან მაინც მოიხვეჭა გავლენა მუშებში და გლეხებში. პირველ ნოემბრიდან მან იწყო გამოსვლა ყოველ-დღიურათ. კვირეულმა „ბრძოლამ“ დიდი გავლენა იქონია. მან საკმარისათ მოუმზადა ნიადაგი ყოველ-დღიურ „ბრძოლას“, რომლის გამოსვლის შემდეგ საკმარისათ ემჩნევა გამოფხიზლება საქართველოს მუშათა კლასს. რამდენათ ჩვენმა მუშურმა პრესამ ფრთა გაშალა, იმდენად შეკვეცა ჩვენი მოწინააღმდეგების გავლენა. მენშევიკებს თანდათან ეცლებოდა ნიადაგი. ამას მაგენი კარგათ ხედავდენ და ის იყო კიდეაც 1918 წლის თებერვლის რიცხვებში მიიტანეს იერიში ჩვენი ორგანიზაციების წინააღმდეგ შეიარაღებულ ძალებით, მიანგრ-მოანგრიეს „კავკასკი რაბოჩის“ და „ბრძოლის“ რედაქცია თფილისში.

თებერვლის შუა რიცხვებში იქნა მოწვეული ქ. ქუთაისში დასავლეთ ამ.-კავკასიის პარტიული კონფერენცია; ამ რიცხვებში ქუთაისში გამოდის ხუთ ნომრამდი გაზეთი „ჩვენი ბრძოლა“. ბოლშევიკური პარტიის გავლენა პრესის წყალობით ისე გაიზარდა, რომ მის № ში (10 მარტი 1918 წ.) ვკითხულობთ შემდეგ რეზოლიუციას:

„ჩვენ ხუთმეტი საზოგადოების წარმომადგენელ დელეგატ გლეხებმა მოვისმინეთ რა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების მოხსენებები მიმდინარე მომენტის შესახებ, ვადგენთ შემდეგს:

1) ჩვენ, როგორც რევოლიუციონერები და ჭეშმარიტი დამცველნი რევოლიუციის და სამშობლოსი გარეშე და შინაური მტრებისაგან, მოვითხოვთ დაუყოვნებლივ მოხდეს არჩევნები გლეხთა საბჭოებისა როგორც რაიონში, ისე მთელს მაზრაში.

2) დღეიდან სრულიად გაუქმებულ იქნას მენშევიკური ოთხ ფორმულით არჩეული ადმ.კომები და ყველა მისი ფუნქციები გადაეცეს გლეხთა საბჭოებს, როგორც ერთად ერთ დამცველს რევოლიუციონური ღარიბესი გლეხების და მუშებისა.

3) არავითარ შემთხვევაში ჩვენ არ ვემსახურებით იმათ, ვინც ლამობენ ამიერ-კავკასიის რუსეთთან გამოყოფას მანამ, სანამდე ამიერ-კავკასიაში არ შედგება მუშათა და გლეხთა საბჭოების მთავრობა, რომელიც იქნება სრული ნდობით აღჭურვილი ამიერ-კავკასიის მუშების და გლეხების მიერ, რომელსაც შეუძლია გამოყოფაც და შეერთებაც რუსეთთან.

4) სასტიკ პროტესტს ვუცხადებთ ამიერ-კავკასიის კომისარიატს, რომელმაც დახვრიტა მშვიდობიანი მიტინგი და დაღვარა უმანკო სისხლი მშვიდობიანი მცხოვრებლების და მუშების 10 თებერვალს ქალ. თბილისში და აგრეთვე მოვითხოვთ დაუყოვნებლივ იქნან განთავისუფლებულნი ბოლშევიკების მეთაურები როგორც ნამდვილი ჭეშმარიტი რევოლიუციონერები და სოციალისტები.

თავმჯდომარე: სვიმონი ბელქანია
მდივანი: დოროთე კვარაცხელია.

28 თებერვალი 1918 წ. დაბა წალენჯიხა“. არის მეორე რეზოლიუცია კიდევ ღირს შესანიშნავი, მაგრამ ყველას მოყვანა არ ღირს. მენშევიკები იდეურად დამარცხდენ ჩვენი მუშური პრესის წყალობით, მათ გასაქანი არ ჰქონდათ ამიტომ მიმართეს იარაღს, ძალადობას, მაგრამ ვერ აჰოგლიჯეს გულიდან ქართველ მუშებს და გლეხებს რევოლიუციონური იდეა ვერც ხიშტებით ვერც ციხე-საპყრობილეებით. ზემო აღნიშნული რეზოლიუცია ჩვენ გვიჩვენებს იმას, თუ რამდენად ძვირფასი ყოფილა მუშურგლეხური ორგანო, მუშების და გლეხების გათვითცნობიერების, პოლიტიკურად აღზრდის და გაჯანსაღებისათვის. ასეთ ნაბიჯის წინ გადადგმა ჩვენმა პარტიამ შეძლო მაშინ, როდესაც მას წინ ეღობებოდა ათასი სხვა და სხვა დაბრკოლებები. დღეს პრესა გვაქვს. საჭიროა ხელის მომწერნი. რას წარმოადგენს დღეს ის პარტიული ამხანაგი, რომელსაც შეუძლია წერა კითხვა და რომელსაც არ აინტერესებს, რომ ერთ რომელიმე გაზეთს ღებულობდეს. არავითარ შემთხვევაში ამის მზგავსი დღეის იქით არ უნდა იქნეს ჩვენში.

1917 წლის კვირეული „ბრძოლის“ გაგრძელებაა დღეს გაზეთ „კომუნისტი“, „მუშა“ და „მიწის მუშა“. ერთ ამათგანის გამოწერა სავალდებულო **უნდა იქნეს ყველა წერა-კითხვის მცოდნე პარტიული ამხანაგისათვის,** რომელმაც უნდა შეაჩვიოს უპარტიო ფართო მასაც გაზეთების გამოწერას. ეს ერთი დიდი ამოცანათაგანია პარტიული ამხანაგებისათვის. რამდენათ ქალაქის და სოფლის ფართე მშრომელი მასაში გავრცელდება ჩვენი გაზეთები, იმდენად წინ წაიწევს საბჭოთა რეჟიმი ყოველ დარგში.

1917 წლის გაზეთ „ბრძოლის“ სათანადო გავრცელებამ მუშებში და გლეხებში უდიდესი როლი ითამაშა ჩვენში, თითქმის ისეთივე, როგორც გაზეთ „პრავდამ“.

დღეს 5 მაისს, პრესის დღეს [illegible] როცა მოვიგონოთ გაზეთ „ბრძოლა“, გაუმარჯოს პროლეტარულ პრესას.

ი. ჟ.

რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-XII ყრილობა

ნაციონალური მომენტები პარტიული და სახელმწიფო მშენებლობაში

ამხ. სტალინის მოხსენება

ჩვენი კავშირის ერების გაერთიანებას ხელს უშლის ველიკორუსული შოვინიზმი, ერების ფაქტიური უთანასწორობა, ადგილობრივი ნაციონალიზმი. ამ მოვლენების აღმოფხვრა მოხერხდება, როცა საბჭოთა ხელისუფლებას საერთო-ნაციონალურ ხელისუფლებათ გადავაქცევთ, მასებისათვის გასაგებათ გავხდით კომისარიატებს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ერების საჭიროებებს დაუახლოებთ და მოვაწყობთ უმაღლეს საკავშირო ორგანოს რომელიც ყველა ერების ინტერესებს გამოხატავს.

შეიცვალა საკითხის არა პრინციპიალური დაყენება, არამედ პირობები

ოქტომბრის რევოლიუციის დღიდან მესამეჯერ ვიხილავთ ნაციონალურ საკითხს: პირველათ—მერვე ყრილობაზე, მეორეთ—მეათეზე და მესამეთ—მეთორმეტე ყრილობაზე. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ შეიცვალა პრინციპიალურად ჩვენი შეხედულებანი ამ საკითხზე? არა პრინციპიალური შეხედულება ნაციონალურ საკითხზე დარჩა იგივე, როგორც იყო ოქტომბრამდი და მის შემდეგ. მაგრამ მეათე ყრილობის შემდეგ შეიცვალა საერთაშორისო მდგომარეობა რევოლიუციის იმ დიდი რეზერვების ხვედრი წონის გადიდების მნიშვნელობით, რომლებსაც წარმოადგენენ აღმოსავლეთის ქვეყნები. მეორე მხრით, მეათე ყრილობის შემდეგ, ახალი ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით, მოხდა ზოგიერთი ცვლილებები. აი, ამ ახალ ფაქტორებს ესაჭიროება აღრიცხვა, ჯამების გაკეთება.

აღმოსავლეთის დიდი რეზერვები

როგორია ნაციონალური საკითხის საერთაშორისო მნიშვნელობა? რომ ვიფიქროთ აღმოსავლეთის დიდ რეზერვებზე, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს მსოფლიო იმპერიალიზმის ზურგს, ჩვენთვის ნათელი იქნება, რომ ჩვენ ან იმპერიალიზმის ზურგს—აღმოსავლეთის კოლონიალურ ან ნახევრათ კოლონიალურ ქვეყნებს მოძრაობაში მოვიყვანთ, გავარევოლიუციონერებთ, და მით დავაჩქარებთ იმპერიალიზმის დაცემას, ან წავიბორძიკებთ აქ და მით გავამაგრებთ იმპერიალიზმს და შევასუსტებთ ჩვენი მოძრაობის ძალას. ასე დგას საკითხი. საქმე იმაშია, რომ ჩვენს რესპუბლიკების კავშირს მთელი აღმოსავლეთი უყურებს, როგორც საცდელ მინდორს. ამ კავშირის ფარგლებში ჩვენ ან სწორეთ გადავჭრით საკითხს პრაქტიკულათ გამოსაყენებლად, დავამყარებთ ნამდვილ ძმურ დამოკიდებულებას ერებს შორის, და მაშინ მთელი აღმოსავლეთი დაინახავს, რომ საბჭოთა ფედერაციის სახით მას აქვს განთავისუფლების დროშა, მოწინავე რაზმი, რომლის კვალ და-კვალ უნდა იაროს მან და ეს იქნება მსოფლიო იმპერიალიზმის კრახის დასაწყისი; ან და აქ, ჩვენ ფედერაციის მთელი შემადგენლობით დაუშვებთ შეცდომას, დავარღვევთ დაჩაგრულ ერების ნდობას პროლეტარიატისადმი, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს წავართმევთ იმ მიმზიდველ ძალას, რომელიც მას აღმოსავლეთის თვალში აქვს, და მაშინ მოიგებს იმპერიალიზმი, და წავაგებთ ჩვენ.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა ასაზრდოებს შოვინიზმს

ამას გარდა, ნაციონალურ საკითხს ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს შინაური მდგომარეობის თვალსაზრისითაც, არა მარტო იმიტომ, რომ ყოფილი მპყრობელი ერი რიცხვით წარმოადგენს 75 მილიონს, დანარჩენი ერები კი—65 მილიონს—ეს არც ისე ცოტაა—არა მარტო იმიტომ, რომ წინეთ დაჩაგრულ ერებს უჭირავთ სამეურნეო განვითარებისათვის ყველაზე საჭირო რაიონები და სტრატეგიული თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტები, არამედ პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ ამ ორი წლის განმავლობაში ჩვენ შემოვიღეთ ე. წ. ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომლის პირობებში რუსულმა ნაციონალიზმმა დაიწყო ზრდა, გაძლიერება, იშვა „სმენავეხოვლობის“ იდეა, ცდა არის მშვიდობიანი გზით მოაწყოს ის, რაც ვერ მოახერხა დენიკინმა ე. ი. შექმნან „მთლიანი და განუყოფელი“. თუ ჩვენ ამ ახალ ძალას დავუთმეთ, თუ ის არ აღვმოფხვარით ძირშივე, ახალი ეკონომიური პოლიტიკა კი წარმოშობს მას, ჩვენ მოგველის საფრთხე კავშირის გაწყვეტისა ყოფილი მპყრობელი ერის პროლეტარიატსა და წინეთ დაჩაგრული ერების გლეხობას შორის, რაც პროლეტარიატის დიქტატურის ნახევრათ დაღუპვას მოასწავებს, მაგრამ ახალი ეკონომიური პოლიტიკა წარმოშობს არა მარტო რუსულ შოვინიზმს, არამედ ადგილობრივსაც, განსაკუთრებით იმ რესპუბლიკებში, რომელშიც რამდენიმე ერი სცხოვრობს. მე მხედველობაში მაქვს საქართველო, აზერბაიჯანი, ბუხარა და ნაწილობრივ, ცნობისათვის, თურქესტანი. ეს ადგილობრივი შოვინიზმი არ წარმოადგენს ისეთ საშიშროებას, როგორსაც ველიკორუსული შოვინიზმი, მაგრამ ის მაინც ქმნის ზოგიერთ რესპუბლიკების ნაციონალური ჯახის არენათ გადაქცევის და პატარა რესპუბლიკების შემადგენელ ერებს შორის ინტერნაციონალური ძაფების გაწყვეტის საფრთხეს, და ამ მხრივ ჩვენ მხად უნდა ვიყოთ და უნდა მივიღოთ შესაფერი ზომები.

ნაციონალური საკითხი კლასობრივი არსი

რაში მდგომარეობს ნაციონალური საკითხის კლასობრივი არსი? ნაციონალური საკითხის კლასობრივი არსი მდგომარეობს ყოფილი მპყრობელი ერის პროლეტარიატსა და წინეთ დაჩაგრული ერების გლეხობას შორის ურთიერთობის გამორკვევაში. თუ პროლეტარიატი შესძლებს გლეხობასთან ისეთი ურთიერთობის დამყარებას, რომელიც აღმოფხვრის ყველაფერი რუსულისადმი უნდობლობის ნაშთებს, რომელსაც საუკუნოების განმავლობაში ნერგავდა და ამაგრებდა მათში მეფის პოლიტიკა, თუ რუსეთის პროლეტარიატი მიაღწევს სრულ გაგებას და დაამყარებს ნამდვილ კავშირს არა მარტო რუსეთის გლეხობასთან, არამედ რუსეთის პროლეტარიატსა და ნაციონალურ გლეხობას შორის, მაშინ ამოცანა გადაჭრილი იქნება. იმისათვის, რომ საბჭოთა ხელისუფლება მშობლიური შეიქმნეს ნაციონალური გლეხობისათვისაც, საჭიროა, რომ ის გასაგები შეიქნეს მისთვის, საჭიროა, რომ დაწესებულებებში და შკოლებში სუფევდეს სამშობლო ენა, რომ იქ იყვნენ ხალხი, რომლებიც იცნობს მათ ენას და ზნე ჩვეულებებს, მხოლოდ მაშინ შეიქნება საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც უკანასკნელ ხანამდი იყო რუსული ხელისუფლება, არა მარტო რუსული არამედ ნაციონალური ხელისუფლება, მშობლიური წინათ დაჩაგრული ერების გლეხების და საშუალო წრეებისათვის.

რესპუბლიკების კავშირი

ნაციონალური საკითხი ამ ჟამად იღებს იმ ერების თანამშრომლობისა და ძმური თანაცხოვრების დამყარების განსაკუთრებულ ფორმას, რომლებიც წინათ განშორებული იყვნენ და რომლებიც ახლა დაახლოვდენ ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს ფარგლებში. ამ კავშირის საფუძველია—ნებაყოფილობა და მისი წევრების უფლებრივი თანასწორობა. ჩვენი ნაციონალური პოლიტიკის გამოსავალ წერტილს შეადგენს პუნქტი დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის უფლების შესახებ, ის, რასაც წინეთ თვითგამორკვევის უფლება ეწოდებოდა. გამოვდივართ რა ამიდან, ჩვენ გარკვევით უნდა განვაცხადოთ, რომ ერების არავითარი კავშირი, ერების არავითარი გაერთიანება ერთიან სახელმწიფოში არ იქნება მტკიცე, მიზანშეწონილი და სასურველი, თუ მას საფუძვლათ არ უდევს სრული ნებაყოფლობა, თუ ამა თუ იმ ერს თვით არ სურს გაერთიანება. მეორე საფუძველია—კავშირის შემადგენელ ერების უფლებრივი თანასწორობა. და ეს გასაგებია. მე არ ვლაპარაკობ ფაქტიურ თანასწორობაზე, მასზე შემდეგ შევჩერდები, რადგან ფაქტიური თანასწორობის დამყარება ერებს შორის, რომელთაგან ნაწილი წინ მიდის, ნაწილი კი—ჩამორჩენილია,—მეტად რთული საქმეა და მთელ რიგ წლების მუშაობას მოითხოვს. მე ვლაპარაკობ აქ უფლებრივ თანასწორობაზე. თანასწორობა აქ გამოიხატება იმაში, რომ ამ შემთხვევაში, კავშირის შემადგენელი ოთხი რესპუბლიკა: ამიერ-კავკასია, ბელორუსია და რ. ს. ფ. ს. რ., ერთნაირად სარგებლობს კავშირის ყველა საშვალებებით და ამავე დროს ერთნაირათ სთმობენ დამოუკიდებლობის ზოგიერთ უფლებებს კავშირის სასარგებლოდ. ზოგიერთები იძლევიან წმინდა-სქოლასტიურ კითხვას; რჩებიან თუ არა რესპუბლიკები დამოუკიდებელი, გაერთიანების შემდეგ? მათი დამოუკიდებლობა ისაზღვრება, რადგან ყოველი გაერთიანება ნიშნავს იმ უფლებების ნაწილობრივ შეზღუდვას, რომლებითაც სარგებლობდენ ისინი ვინც გაერთიანდენ, მაგრამ დამოუკიდებლობის ელემენტები რჩება თითეულ რესპუბლიკას, რადგან თითეულ მათგანს აქვს კავშირიდან გამოსვლის უფლება. აი, სად არის დამოუკიდებლობის ის ელემენტები, რომლებიც აქვს კავშირში შესულ თითეულ რესპუბლიკას.

ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ გაერთიანებას

მაგრამ ჩვენს პირობებში გვაქვს მთელი რიგი ერების ერთიან სახელმწიფოში გაერთიანებისათვის, როგორც ხელის შემწყობი, ისე ხელის შემშლელი ფაქტორებისა.

ხელის შემწყობი ფაქტორები თქვენ იცით: 1) ერების სამეურნეო დაახლოება, დამყარებული საბჭოთა ხელისუფლებამდი და უფრო განმტკიცებული საბჭოთა ხელისუფლების მიერ; სამეურნეო დაახლოება ჯერ კიდევ მეორდება და ერებს შორის შრომის ერთგვარი განაწილება დამყარებული ჩვენამდი და გამაგრებული ჩვენ მიერ, წარმოადგენს ძირითად ფაქტორს, რომლებიც ხელს უწყობს ერების გაერთიანებას ერთიან რესპუბლიკაში; 2) საბჭოთა ხელისუფლების ბუნება, რომელიც რესპუბლიკების მშრომელ ელემენტებს ერთ ოჯახათ აქცევს, და 3) იმპერიალისტური რკალი, რომლის პირობებში უხდება მოქმედება რესპუბლიკების კავშირს.

ველიკორუსული შოვინიზმი ხელს უშლის გაერთიანებას

მეორე მხრით, ძირითადი ძალა, რომელიც ხელს უშლის რესპუბლიკების გაერთიანებას ერთიან კავშირში,—ეს არის ველიკორუსული შოვინიზმი, რომელიც ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში იზრდება არა დღეობით, არამედ საათობით. ძირითადი საფრთხე მდგომარეობს იმაში, რომ ასეთი პოლიტიკის დროს ჩვენ სრულიად დავკარგავთ რუსეთისადმი იმ უდიდეს ნდობას, რომელიც მოვიპოვეთ წინათ დაჩაგრული ერების თვალში ოქტომბრის დღეებში, როცა რუსეთის პროლეტარებმა დაამხვეს მემამულეები, კაპიტალისტები, მოსპეს ნაციონალური ჩაგვრა, გამოიყვანეს ჯარები სპარსეთიდან, მონგოლეთიდან, გამოაცხადეს დამოუკიდებლობა სომხეთისა, აზერბაიჯანისა, საქართველოსი, თურქესტანისა და სხვებისა, და საერთოდ, ნაციონალური საკითხი სულ ახალ საფუძვლებზე დააყენეს. მაგრამ იმ ნდობას, რომელიც მაშინ მოვიპოვეთ, დავკარგავთ თუ ყველა ჩვენ არ შევიარაღდით ამ ახალი ველიკორუსული შოვინიზმის წინააღმდეგ. ნუ დავივიწყებთ, რომ თუ ჩვენ გაშლილი დროშებით მივდიოდით კერენსკის წინააღმდეგ და დავამხვეთ დროებითი მთავრობა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ზურგს უკან გვქონდა ნდობა იმ დაჩაგრული, ერებისა, რომლებიც რუსეთის პროლეტარებისაგან განთავისუფლებას მოელოდენ. ნუ დაივიწყებთ, რომ კოლჩაკის, დენიკინის, ვრანგელსა და იუდენიჩის ზურგში არ გვყოლოდა ე. წ. „ინო-როდცები“, რომლებიც შლიდენ ამ გენერლების ზურგს, ჩვენ ვერ დავამარცხებდით ვერც ერთ ამ გენერლებისაგან. აი რათ უნდა შემოვბრუნდეთ ჩვენ ამ ახალ განწყობილებასთან საბრძოლათ და სამარცხვინო ბოძზე გავაკრათ ის მოხელეები ჩვენი დაწესებულებებიდან და ის პარტიული ამხანაგები, რომლებიც ივიწყებენ ოქტომბრის მონაპოვარს, ივიწყებენ საკითხს წინეთ დაჩაგრული ერების გლეხობის ნდობის შესახებ, ყოფილი მპყრობელი ერის პროლეტარიატისადმი. ეს არის პირველი, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ხელს უშლის ერების და რესპუბლიკების გაერთიანებას ერთიან კავშირში.

უნდა მოვსპოთ ფაქტიური უთანასწორობა

მეორე ფაქტორი,—ეს არის ის ფაქტიური უთანასწორობა, რომელიც ჩვენ მემკვიდრეობათ მივიღეთ მეფის დროის პერიოდიდან.

უფლებრივი თანასწორობა, ჩვენ გამოვაცხადეთ და ცხოვრებაში ვატარებთ, მაგრამ უფლებრივი თანასწორობიდან შორსაა ფაქტიურ თანასწორობამდი. ყველა ერებს და ტომებს აქვთ იმდენივე უფლებები, რამდენიც ჩვენი ფედერაციის შემადგენელ სხვა ერებს. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ზოგიერთ ერებს სრულებით არ ყავთ პროლეტარიატი, არ გაუვლიათ და არც დაუწყიათ სამრეწველო განვითარება კულტურულად ძლიერ ჩამორჩენილი არიან სრულიად არ შესწევთ ძალა გამოიყენონ ის უფლებები, რომლებიც მათ მიანიჭა რევოლიუციამ. საჭიროა მივაღწიოთ, რომ რესპუბლიკებში მოეწყოს მრეწველობის კერა. ზოგიერთი ცდები ამ მიმართულებით უკვე გაკეთდა. საქართველომ მოსკოვიდან წაიღო ერთი ფაბრიკა, რომელიც ახლო ხანში ამუშავდება. ბუხარამაც წაიღო ერთი ფაბრიკა, თურქესტანს მიაქვს ერთი დიდი ფაბრიკა. ეჭვს გარეშეა, არის ნიშნები, რომ ეს რესპუბლიკები, ეკონომიურათ ჩამორჩენილები, რომელთაც არ ყავთ პროლეტარიატი რუსეთის პროლეტარიატის დახმარებით შესძლებენ მრეწველობის კერის მოწყობას იმ პირობით, რომ ამ კერაში იყვნენ ადგილობრივი პროლეტარების ჯგუფები, რომლებიც ითამაშებენ დამაკავშირებელ როლს რუსეთის პროლეტარიატსა და გლეხობას და ამ ერების პროლეტარიატს შორის. ამ სფეროში ჩვენ სერიოზული მუშაობა დაგვჭირდება.

ადგილობრივი შოვინიზმი ძირშივე უნდა აღმოვფხვრათ

მაგრამ არის კიდევ მესამე ფაქტორი—ეს არის ნაციონალიზმი ცალკე რესპუბლიკებში. ახალი ეკონომიური პოლიტიკა გავლენას ახდენს არა მარტო რუს მოსახლეობაზე. ახალი ეკონომიური პოლიტიკა აღვიძებს კერძო ვაჭრობას და მრეწველობას არა მარტო რუსეთის ცენტრში, არამედ ცალკე რესპუბლიკებშიც სწორეთ ეს ახალი ეკონომიური პოლიტიკა აძლევს სტიმულს, კვებს და ანვითარებს ქართულს, აზერბაიჯანულ და სხვა შოვინიზმს. რასაკვირველია, რომ არ ყოფილიყო ველიკორუსული შოვინიზმი, ადგილობრივი შოვინიზმი იარსებებდა, ასე რომ ვთქვათ, მინიმალურ, მინიატურულ სახით, რადგან ეს შოვინიზმი არის თავდაცვითი ხასიათის, თუმცა ეს არის მეტად მახინჯი ფორმა რუსული ნაციონალიზმისაგან თავდაცვისა. და რომ ეს ნაციონალიზმი იყოს მარტო თავდაცვითი ხასიათის, მაშინ შეიძლებოდა მთელი ყურადღების, ბრძოლის მთელი ძალების მოპყრობა რუსულ შოვინიზმზე.

მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ეს თავდაცვითი ნაციონალიზმი იქცევა შეტევითი ნაციონალიზმათ. ავილოთ საქართველო. იქ არის 30 პროც. მეტი არა ქართველი მოსახლეობა. მათ შორის—სომხები, აფხაზები, აჭარლები, ოსები, არის აზერბაიჯანლებიც. სათავეში დგანან ქართველები, და აი, ქართველ კომუნისტების ნაწილში იშვა და ვითარდება იდეა ამ მცირე ერებისათვის სათანადო ანგარიშის არ გაწევის შესახებ; ეს არის შოვინიზმი, შოვინიზმი მავნე, რომელსაც შეუძლია პატარა საქართველოს რესპუბლიკა გაუგებრობის არენათ გადააქციოს.

აზერბაიჯანში ძირითადი ეროვნება—აზერბაიჯანლებია, მაგრამ იქ არის სომხებიც. აზერბაიჯანის ერთ წრეშიც არის შოვინიზმი. ეს არყევს ერების იმ თანასწორობას, რომლის საფუძველზე ხდება საბჭოთა ხელისუფლების მშენებლობა. ბუხარაში სამი ეროვნებაა: უზბეკები—ძირითადი ეროვნება—და თურქმენები და ყირგიზები—ნაკლებ მნიშვნელოვანი ბუხარის შოვინიზმის თვალთახედვის ისრით. ხორეზმში—უზბეკები ძირითადი ეროვნებაა, თურქმენები—ნაკლებ მნიშვნელოვანი. იქ საქმე მიდიოდა ომამდი თურქმენებსა და უზბეკებს შორის. ადგილობრივი შოვინიზმის ეს ტენდენცია ძირშივე უნდა აღმოიფხვრას. რასაკვირველია, ველიკორუსულ შოვინიზმთან შედარებით, რომელსაც ნაციონალურ საკითხის სამი მეოთხედი უჭირავს, ადგილობრივი შოვინიზმი არ არის ისეთი მნიშვნელოვანი, მაგრამ ადგილობრივ მუშაობისათვის, ადგილობრივ ხალხისათვის, თვით ნაციონალური რესპუბლიკების მშვიდობიანი განვითარებისათვის, ამ შოვინიზმს პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. თქვენ იცით, რომ ამიერ-კავკასია შესდგება სამი რესპუბლიკისაგან, რომელთაც თავის შემადგენლობაში ყავთ ათი ეროვნება. თავიდანვე ეს იყო ჯახისა და სისხლის ღვრის არენა, შემდეგ კი მენშევიზმისა და ნაციონალისტების დროს—ომის არენა. თქვენ იცით სომეხ-ქართველთა ომი, სისხლის ღვრა 1904 წლის დასაწყისში და 1905 წლის დამლევს.

ნაციონალური მტრობის ამ პირობებში რუსები, რასაკვირველია, არაფერ შუაშია. აქ საჭიროა ორგანო, რომელიც მოაწესრიგებს ურთიერთობას ამ ერებს შორის:

ამიერ-კავკასიის ფედერაცია საჭიროა

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ საკითხი ურთიერთობის შესახებ ყოფილ მპყრობელი რუსეთის პროლეტარიატსა და ყველა დანარჩენ ერების მშრომელებს შორის შეადგენს მთელი ნაციონალური საკითხის სამ მეოთხედს. საკითხის ერთი მეოთხედი უნდა დავტოვოთ ამ ერების შორის ურთიერთობის წილზე. და რომ ასეთ პირობებში საბჭოთა ხელისუფლებას არ შეექმნა ამიერ-კავკასიაში ნაციონალური ზავის ორგანო, რომელიც მოაწესრიგებდა უთანხმოებას და კონფლიქტებს, ჩვენ დავუბრუნდებოდით თვითმპყრობელობის ან მუსავატისტების, დაშნაკების და მენშევიკების ეპოქას, აი რატომ დაადასტურა სამჯერ ცენტრალურმა კომიტეტმა ამიერ-კავკასიის ფედერაციის არსებობის საჭიროება, როგორც ისეთი ორგანოსი, რომელიც უზრუნველყოფს ნაციონალურ ზავს ამიერ-კავკასიაში. აქ იყო და არის ქართველი კომუნისტების ჯგუფი, რომელიც არ არის იმის წინააღმდეგი, რომ საქართველო შევიდეს რესპუბლიკების კავშირში, მაგრამ წინააღმდეგია, რომ ეს გაერთიანება მოხდეს ამიერ-კავკასიის ფედერაციის საშუალებით. ჩვენ გვინდა უფრო ახლო ვიყოთ კავშირთან, არ არის საჭირო ეს კედელი, ჩვენს, ქართველებსა და რესპუბლიკების კავშირს შორისო. ამ მოთხოვნას ვითომდა რევოლიუციონური ხასიათი აქვს, სინამდვილეში კი აქ სხვა მოსაზრებაა. პირველ ყოვლისა, ეს განცხადება, ამტკიცებს იმას, რომ ეროვნული საკითხის სფეროში საქართველოში რუსებთან დამოკიდებულებას მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. ამ ამხანაგებს არ ეშინიათ ველიკორუსული შოვინიზმის, ფიქრობენ, რომ მას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა; მათ უფრო ეშინიათ ამიერ-კავკასიის ფედერაციის. რატომ არის საჭირო ახლა, როცა საბჭოთა ხელისუფლებამ დაამყარა ძმური კავშირი ფედერაციის სახით, როცა ამ ფედერაციამ გამოიღო ურთიერთ ძმობის, ნამდვილი ნაყოფი,—ამ კავშირში დარღვევა? რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ ფედერატიული კავშირის დარღვევით, საქართველო მიიღებს პრივილეგიური მდგომარეობის თავის ნაწილს, რომლის დაკავება მას შეეძლო თავისი გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით. აქ არის კიდევ სხვა მიზეზიც. თბილისი—საქართველოს სატახტო ქალაქია, მაგრამ იქ ქართველობა შეადგენს არა უმეტეს 25-პროც., სომხობა—არა ნაკლებ 35 პროც. და სხ. ასეთია საქართველოს სატახტო ქალაქი. საქართველო რომ ცალკე რესპუბლიკას წარმოადგენდეს, აქ შეიძლებოდა მოსახლეობის ერთგვარი გადაჯგუფების მოხდენა. ამ გეოგრაფიული უპირატესობის შენარჩუნების და თბილისში (სადაც ქართველობა უფრო ნაკლებია ვინემ სომხობა), ქართველების არა ხელსაყრელი მდგომარეობის გამოსწორების სურვილი, არის მიზეზი ქართველი ამხანაგების ჯგუფის წინააღმდეგობისა. მენშევიკები უბრალოთ იქცეოდენ—ასახლებდენ სომხებს. ეხლა კი, საბჭოთა წყობილების დროს, გადასახლება არ შეიძლება, და ამიტომ უნდა გამოიყონ ფედერაციიდან და მაშინ იქნება იურიდიული შესაძლებლობა ქართველებისათვის ამიერ-კავკასიის შემადგენლობაში პრივილეგიური მდგომარეობის შესაქმნელათ. ამაშია მთელი საშიშროება: შეგვიძლია თუ არა ჩვენ, ანგარიში არ გაუწიოთ ნაციონალური ზავის ინტერესებს ამიერ-კავკასიაში, შეგვიძლია თუ არა ჩვენ დავეხმაროთ ისეთი პირობების შექმნაში, რომლის წყალობით ქართველები სომხეთის და აზერბაიჯანის რესპუბლიკებთან შედარებით პრივილეგიურ მდგომარეობაში იქნებოდენ? ერთი ერების დაახლოება, მათთვის პრივილეგიების მინიჭება, სხვების დამცირება და შევიწროება—ეს ბურჟუაზიული მმართველობის სისტემაა.. ასეთი მართვა-გამგეობა იყო მაგალითად ავსტრიაში. ავსტრიელებმა, დაიახლოვეს პოლონელები მიანიჭეს მათ პრივილეგიები, რომ პოლონელები დახმარებოდენ მათ პოლონეთში პოზიციების გამაგრებაში, სამაგიეროთ პოლონელებს სრული შესაძლებლობა მისცეს მოეღრჩოთ გალიციელები. ასეთი სისტემა, აქვს ინგლისს ინდოეთში. ბიუროკრატის თვალსაზრისით—ეს მართვა-გამგეობის მეტად ეკონომიური სისტემაა რადგან საჭიროა მხოლოდ ერთი ეროვნებისათვის ანგარიშის გაწევა, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით—ეს ნამდვილი სიკვდილია, ვინაიდან ერების თანასწორობის პრინციპის დარღვევა და ერთი რომელიმე მათგანისათვის პრივილეგიების მინიჭება—ნიშნავს ნაციონალური პოლიტიკის დაღუპვის საფრთხეში ჩაგდებას.

ამ გზით უნდათ ზოგიერთ ქართველ ამხანაგებს, წაგვიყვანონ რამდენათაც ისინი იბრძვიან ფედერაციის წინააღმდეგ, რამდენათაც ისინი მოითხოვენ მათთვის პრივილეგიების მინიჭებას სომხეთის და აზერბაიჯანის რესპუბლიკების ხარჯზე შემთხვევითი არ არის, რომ ეს საფრთხე იგრძნეს ჩვენმა ამხანაგებმა. ამ ადგილობრივმა შოვინიზმმა, რომელმაც სომხებისა და აზერბაიჯანელების წინააღმდეგ შეტევის ხასიათი მიიღო აახმაურა საქართველოს კომუნისტური პარტია შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს კომპარტიამ, რომელსაც მისი ლეგალური არსებობის ხნიდან ორი ყრილობა ქონდა, თითეულ-ჯერ ერთსულოვნად უარყო ამ ამ ამხანაგების პოზიცია. შემთხვევითი არ არის ისიც რომ ამხანაგი ლენინი ასე ჩქარობდა, ასე დაჟინებით მოითხოვდა, რომ ფედერაცია, დაჩქარებით ყოფილიყო შემოღებული; შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენმა ც. კ. სამჯერ დაადასტურა ფედერაციის აუცილებლობა. შემთხვევითი არ არის, რომ მენშევიკების „Социалист. Вестник“-ში ასე აქებენ ამ ამხანაგებს; ალბათ „გული გულს იცნობს“

ახლა მე გადავდივარ იმ გზების და საშვალებების განხილვაზე, რომელთა დახმარებითაც უნდა აღმოვფხვრათ გაერთიანების ხელის შემშლელი ეს სამი ფაქტორი.

პირველი ფაქტორია—ველიკორუსული შოვინიზმი, მეორე—ფაქტორი უთანასწორობა, მესამე—ადგილობრივი ნაციონალიზმი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ის შოვინიზმათ იქცევა.

ნაციონალური საკითხის გადაჭრის გზები და საშუალებები

იმ საშვალებიდან, რომელთა მეოხებით შევძლებთ უმტკივნეულოდ აღმოვფხვრათ წარსულის ეს მემკვიდრეობა, დავასახელებ შემდეგს:

საბჭოთა ხელისუფლება უნდა შეიქნეს საერთო ნაციონალური.

პირველი საშვალება. უნდა მივიღოთ ყველა ზომები იმისათვის, რომ საბჭოთა ხელისუფლება რესპუბლიკებში შეიქნეს მშობლიური, რომ საბჭოთა ხელისუფლება ჩვენში იყოს არა მარტო რუსული, არამედ ინტერნაციონალურიც. ამისათვის საჭიროა, რომ არა მარტო შკოლებში, არამედ ყველა დაწესებულებებში, ყველა ორგანოებში, როგორც პარტიულში ისე საბჭოთა თანდათანობით გატარდეს ნაციონალიზაცია, რომ ისინი მოქმედებდენ მასებისათვის გასაგებ ენაზე, რომ ისინი შეფარდებული იყვნენ ამა თუ იმ ერის ყოფა ცხოვრებასთან. მხოლოდ ასეთ პირობებში მივიღებთ შესაძლებლობას საბჭოთა ხელისუფლება რუსულიდან გადავაქციოთ საერთო ნაციონალურად, გავხადოთ ის ახლობელი, მშობლიური და გასაგები ყველა რესპუბლიკებისათვის და განსაკუთრებით იმათთვის, რომლებიც ჩამორჩენ ეკონომიურათ და კულტურულათ.

კომისარიატების რეკონსტრუქცია.

მეორე საშვალება, რომელიც შეგვიმსუბუქებს თვითმპყრობელობის პერიოდისაგან და ბურჟუაზიისაგან მემკვიდრეობათ მიღებულ ნაშთების აღმოფხვრის საქმეს, ეს არის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში კომისარიატების ისეთი კონსტრუქცია, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა, ყოველ შემთხვევაში ძირითად ეროვნებებს, თავისი წარმომადგენლები ყოლოდათ კოლეგიების შემადგენლობაში და რომელიც შექმნიდა ისეთ პირობებს, როცა ცალკე რესპუბლიკების მოთხოვნილებანი და საჭიროებები უსათუოდ დაკმაყოფილებული იქნებოდა.

უმაღლესი საკავშირო ორგანო უნდა გამოხატავდეს ნაციონალურ საჭიროებებს.

მესამე საშვალება: საჭიროა, რომ ჩვენი უმაღლესი საკავშირო ორგანოს შემადგენლობა გამოხატავდეს ყველა რესპუბლიკების და ერების საჭიროებებს. ამ უკანასკნელზე მე მინდა მივაქციო სპეციალურად თქვენი ყურადღება. ჩვენ რომ შევძლოთ საკავშირო ცენტრ-აღმასკომის შემადგენლობაში ორი პალატის შექმნა, რომელთაგან ერთს აირჩევენ საბჭოების საკავშირო ყრილობაზე, განურჩევლად ეროვნებისა, მეორეს კი რესპუბლიკები და ოლქები (თანასწორად როგორც რესპუბლიკებიდან ისე ოლქებიდან) და მას დაამტკიცებდა იგივე რესპუბლიკების კავშირის საბჭოების ყრილობა, მე ვფიქრობ, რომ მაშინ ჩვენი უმაღლესი დაწესებულების შემადგენლობაში გვექნებოდა ყველა პროლეტარული ჯგუფების, ყველა ეროვნებების ინტერესთა გამოხატულება.

შეუძლებელია, ამხანაგებო, ჩვენს პირობებში, როცა კავშირი თავს უყრის საერთოდ არა ნაკლებ 140 მილიონიან მცხოვრებს, რომელთაგან 65 მილიონი არარუსია,—შეუძლებელია ასეთი სახელმწიფოს მართვა, როცა აქ, მოსკოვში, თვალწინ არ გვყავს იმ ერების წარმომადგენლები, რომლებიც გამოხატავდენ არა მარტო მთელი პროლეტარიატის საერთო ინტერესებს, არამედ განსაკუთრებულ, სპეციალურ, სპეციფიურ ნაციონალურ ინტერესებსაც. უამისოთ, ამხანაგებო, მართვა-გამგეობა შეუძლებელია. თუ ხელთ არ გვაქვს ეს ბარომეტრი, თუ არ გვყავს ხალხი, რომლებიც ფორმულიროვკას გაუკეთებენ კავშირში შემოსულ ცალკე ერების სპეციალურ საჭიროებებს და მოითხოვენ მათ განხორციელებას, შეუძლებელია სახელმწიფოს გაძღოლა. არის მხარის მართვის ორი საშვალება. პირველი მათგანი მდგომარეობს იმაში, რომ აპარატი გამარტივებულია, მის სათავეში დგას, ვთქვათ, ჯგუფი ან ერთი კაცი, რომელიც მართავს გუბერნატორების საშუალებით. ეს არის მართვა-გამგეობის მარტივი ფორმა. მმართველობის მეთაური გუბერნატორებისაგან იღებს ცნობებს ადგილობრივ მდგომარეობის შესახებ და თავს აიმედებს, რომ კარგათ მართავს. შემდეგ იწყება უკმაყოფილება, უკმაყოფილება იქცევა კონფლიქტად, კონფლიქტი გადადის აჯანყებაში და სხვა. მართვა-გამგეობის ასეთი ფორმა ძვირი ჯდება, თუმცა სადაა. ჩვენ საბჭოთა ქვეყანაში უნდა შევითვისოთ მართვა-გამგეობის ისეთი სისტემა, რომელიც საშვალებას მოგვცემს წინდაწინვე გავიგოთ სისწორით ყველა ამბები, როგორც გლეხობაში, ისე ნაციონალურ უმცირესობაში, ე. წ. ინოროდცებში, რუსებ შორისაც, რომ უმაღლეს ორგანოების სისტემაში იყოს ბარომეტრების მთელი რიგი, რომლებიც წინდაწინვე იგრძნობენ ყოველგვარ ცვლილებას, განსჭვრეტენ და აიცილებენ ყოველგვარ ქარიშხალს და გაჭირვებას.

ეს არის მართვა-გამგეობის საბჭოთა სისტემა, და იმიტომ ეწოდება მას საბჭოთა ხელისუფლება, ხალხის ხელისუფლება, რომ ეყრდნობა რა მშრომელთა ფართე მასებს, წინდაწინვე გრძნობს ყოველგვარ ცვლილებას, იღებს შესაფერ ზომებს, დროზე ასწორებს ხაზს, თვითონ აკრიტიკებს თავის თავს, რადგან მის ხელშია ის ძაფები, რომლებიც აკავშირებს პროლეტარიატს და გლეხობას. ამის წინააღმდეგ შეიძლება თქვან, რომ ეს ართულებს მართვა-გამგეობისსისტემას რომ ეს აჯგუფებს ახალ ორგანოებს. ეს მართალია, მაგრამ რას იზამ, აუცილებელია.

ნაციონალურ საკითხს ჩვენ დავსვამთ არა ერთხელ, რადგან პირობები ნაციონალური და საერთაშორისო იცვლებიან. მაგრამ ნათელია, რომ არსებულ პირობებში უკეთესი საშვალება უკეთესი გზა იმ ორგანოს შესაქმნელათ, რომელიც გამოხატავს რესპუბლიკების და ერების შემადგენლობაში ყოველგვარ რყევას, ყოველგვარ ცვლილებებს, ჯერჯერობით არ არსებობს გარდა მეორე პალატისა. თავისთავად ცხადია, რომ მეორე პალატაში წარმოდგენილი უნდა იქნან არა მარტო ეს ოთხი რესპუბლიკა რომლებიც გაერთიანდა, არამედ ყველა ერები, რადგან ლაპარაკია არა მარტო ფორმალურად გაერთიანებულ რესპუბლიკებზე, არამედ ყველა ერებზე და ტომებზე.

ნაციონალური საკითხის საერთაშორისო მნიშვნელობა

ამრიგად, ნაციონალური საკითხის მნიშვნელობა ხასიათდება ახალი სიტუაციით საერთაშორისო მდგომარეობაში, ხასიათდება იმით, რომ ჩვენ აქ, რუსეთში, საბჭოთა ფედერაციაში ნაციონალური საკითხი უნდა გადავჭრათ სწორათ, რომ ამით მაგალითი მივცეთ აღმოსავლეთს, რომელიც ჩვენი რევოლიუციის დიდ რეზერვს შეადგენს. შინაური მდგომარეობის თვალსაზრისით, ახალი ეკონომიური პოლიტიკა, ველიკორუსული და ადგილობრივი შოვინიზმი, რომლებიც ძლიერდებიან, გვავალებენ ჩვენ განსაკუთრებით გაუსვათ ხაზი ნაციონალურ საკითხის მნიშვნელობას.

მე ვთქვი, რომ ნაციონალური საკითხის მთელი შინაარსი მდგომარეობს სწორი ურთიერთობის დამყარებაში წინათ მპყრობელი (რუსი) ერის პროლეტარიატსა და წინათ დაჩაგრული ერების გლეხობას შორის. მე ვილაპარაკე ფაქტორებზე, რომლებიც ხელს უწყობენ ერების დაახლოებას; მე შევეხე ფაქტორებს, რომლებიც ხელს უშლიან გაერთიანებას; მე შევჩერდი სპეციალურად ველიკორუსულ შოვინიზმზე, როგორც ძალაზე, რომელიც მტკიცდება, რადგან ეს ძალა არის ძირითადი საფრთხე, რომელიც ძირს გაუთხრის წინათ დაჩაგრული ერების ყოველგვარ ნდობას რუსეთის პროლეტარიატისა და რესპუბლიკების კავშირისადმი. ეს არის ჩვენი მთავარი მტერი: თუ ჩვენ მას დავამარცხებთ ცხრა მეათედით დამარცხებული იქნება ის ადგილობრივი ნაციონალიზმიც, რომელიც დარჩა და ვითარდება. მე შემდეგ ავღნიშნე, რომ ჩვენ ვდგევართ იმის საფრთხეს წინაშე, რომ ზოგიერთ ამხანაგებს შეუძლია წაგვიყვანოს ერთი ეროვნებისათვის მეორეს წინააღმდეგ პრივილეგიების მინიჭების გზით, რომ ჩვენ ამ გზით წასვლა არ შეგვიძლია, რადგან ეს არის ადგილობრივი ნაციონალიზმის განვითარება ყველაზე მახინჯ, ყველაზე შოვინისტურ ფორმებში. შემდეგ მე ვთქვი, რომ ძირითად საშვალებას, რომლის წყალობითაც ჩვენ შევძლებთ იმ ფაქტორების უმტკივნეულოთ აღმოფხვრას, რომლებიც ხელს უშლიან გაერთიანებას, წარმოადგენს მეორე პალატა. აი, ჩემი დასკვნები. მე უნდა ვთქვა, რომ მხოლოდ ამ გზით მივაღწევთ ჩვენ ნაციონალური საკითხის სრულ გადაჭრას, მივაღწევთ იმას, რომ ფართედ გავშლით პროლეტარული რევოლიუციის დროშას და გარშემო შემოვიკრებთ აღმოსავლეთის თანაგრძნობას, რომელიც, ვიმეორებ, წარმოადგენს ჩვენი რევოლიუციის დიდ რეზერვს და რომელსაც შეუძლია გადამჭრელი როლი ითამაშოს პროლეტარიატსა და იმპერიალიზმს შორის მომავალ ბრძოლებში (ტაში).

პირველი მაისის დღესასწაული წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

მოსკოვი. 3 მაისი. დეპეშები სამარიდან, ცარიცინიდან, ზლატოუსტიდან, ვოლოგდიდან, კრასნოიარსკიდან, სარატოვიდან, პერმიდან, ტვერიდან, გომელიდან, ტამბოვიდან, ირკუტსკიდან, ტფილისიდან, ბაქოდან, იაროსლავლიდან და საბჭოთა რესპუბლიკების ყველა კუთხეებიდან აღნიშნავენ იმ არა ჩვეულებრივ აღტკინებას, რომლითაც იდღესასწაულეს პირველი მაისი. ურალსკში მანიფესტაციაში ღებულობდა მონაწილეობას მთელი მცხოვრებლების 90 პროც.

ტამბოვში რ. კ. პ. ჩაეწერა ამ დღეს 238 მუშა.

გომელში დღესასწაულში ყველა მუშა მცხოვრებლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ოლქების დელეგატებმაც. ყველა ქუჩები დაფარული იყო ხალხით. შესდგა მიტინგები, წარმოდგენები, კონცერტები და სხვა.

აგრომატარებელი

ცარიცინი. 2 მაისს ცარიცინის გუბერნიაში ამ ჟამად დადის კავკასიის ოლქის გზათა მიმოსვლის აგრომატარებელი. მატარებელს ნახულობენ ათასობით გლეხები და წითელ-არმიელები მატარებელში ეწყობა ლექციები სასოფლო-მეურნეობაზე, არიგებენ სათესლე მასალას, ინვენტარს და ლიტერატურას.

ეკლესიები კულტურის ტაძრებათ

იაროსლავლი, 2 მაისს ფაბრიკა „წითელ პერეკოპ“-ს მუშების საერთო კრებამ დაადგინა გადააქციონ ორი ეკლესია კულტურის ტაძრებათ.

რევოლიუციის მებრძოლთათვის დახმარება.

ვოლოგდა. 2 მაისი ვოლოგდის რკინისგზელებმა შეაგროვეს რევოლიუციის მებრძოლთა ფონდის დასახმარებლად 16,862 მანეთი.

საჭიროა საჩქარო დახმარება

სამარა, 2 მაისი სატელეგრაფო კავშირი სამარასა და ბუზულუკის შორის, რომელიც გაფუჭებული იყო წყალდიდობის გამო, აღდგენილია სამარიდან გზის გასაკეთებლათ გაგზავნილია ათასი მუშა, გზის ნაწილი გასწორებული იქნება 2 აპრილის ლამისათვის კოლთუბანის რკინის გზის ხიდის შეკეთება დამთავრებული იქნება თვენახევრის შემდეგ. წყალდიდობამ ბევრი უბედურება მიაყენა. წყლით დაფარულია რამოდენიმე სოფლები და ბევრი საქონელი დაიღუპა საჭიროა საჩქარო დახმარება.

პროტესტი

მინსკი. 2 მაისი მრავალრიცხოვან კრებაზე ბელორუსიის უნივერსიტეტში გამოიტანეს საპროტესტო რეზოლიუცია პოლონეთში ბელორუსების დევნის და შევიწროების გამო.

ამიერ კავკასიის რესპუბლიკები

აზერბეიჯანი

მუღანის სამელიორაციო სამმართველოში.

ბაქო, 3—5. მაისი ნოვოროსისკში მუღანის სამელიორაციო სამმართველოს სახელზე [illegible] მოვიდა და უკვე გადმოტვირთეს, 58 ტრაქტორი ფორდის სისტემის და აგრეთვე თხრილის გასაყვანი აპარატები, ახლო [illegible] ეს იარაღები გაიგზავნება მუღანში.

ბაქო—საჰაერო ნავთსადგური.

ბაქო 3—5. მაისი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ბაქომ განსაკუთრებული როლი უნდა ითამაშოს საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის საქმეში. მთავარი საჰაერო ხაზები, რომლებიც აკავშირებენ ევროპას, ინდოეთს, ჩინეთს, ინდო-ჩინეთს და აგრეთვე ავსტრალიას, გაივლიან ბაქოზე, ბაქოზე გაივლიან აგრეთვე საჰაერო ხაზები, რომლებიც სკანდინავიის და ბალტიის სახელმწიფოებს აკავშირებენ სპარსეთთან. ბაქო შეიქმნება მსოფლიოში უშესანიშნავესი საჰაერო ნავთსადგური. ამას ხელს უწყობს აგრეთვე ფიზიკო-კლიმატიური პირობებიც. ბაქოს ნავთსადგური, ქარიშხლისაგან დაცული ბუნებრივათ—კუნძულებით ნარგენი, ვულფი ქვიშიანით,—წარმოადგენს საუცხოვო გიდროაეროდრომს, რომელსაც შეუძლია განუწყვეტლივ იმუშაოს მთელი წლის განმავლობაში. მთავარი საჰაერო მაგისტრალები, რომლებმაც მომავალში უნდა გადასჭრან აზერბაიჯანი [illegible] გამორკვეულია, ნაწილის [illegible] ჯერ კიდევ ისახება ეს მთავარი მაგისტრალები ჯერ-ჯერობით შემდეგია: 1) თბილისი—ბაქო ენზელი—თეირანი 2) ტფილისი—ბაქო—კრასნოვოდსკი—ტაშკენტი, 3) როსტოვი—პეტროვსკი—ბაქო—ენზელი, 4) როსტოვი—პეტროვსკი—ბაქო—კრასნოვოდსკი, 5) ასტრახანი—ბაქო, 6) ბაქო—ჯულფა. ეს ხაზები, სამოქალაქო ავიაციის განხორციელების შემდეგ უდიდეს როლს ითამაშებენ აზერბაიჯანის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. თანამედროვე საფოსტო და სამგზავრო საჰაერო ხომალდები მანძილს ბაქო—მოსკოვი გაივლიან შეჩერებლივ, ან ერთის შეჩერებით,—როსტოვში, 11—12 საათის განმავლობაში.

ილიჩი—თავისი სარეწავის საპატიო მუშაკი.

ბაქო 4—5. მაისი. 1 მაისს, ილიჩის სახელობის ახალი სარეწავის გახსნის დღეს, მუშებმა წინადადება მისცეს აზერბაიჯანის ნავთის სამმართველოს ჩაიწეროს ილიჩი ახალი სარეწავის საპატიო მუშაკათ.

პარტიული ცხოვრება

განსაკუთრებულ დანიშნულებათა ნაწილების („ჩონ“) იაჩეიკა № 19.

განსაკუთრებულ დანიშნულებათა ნაწილების იაჩეიკა დაარსდა დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა; თითქმის ორი წელიწადია, რაც ის არსებობს და ამ ხნის განმავლობაში მთელ მეოთხე რაიონში წარმოადგენს სამაგალითო იაჩეიკას.

ამ იაჩეიკაში ითვლება 70—75 კაცამდე. მათ შორის 18 კაცი თვით განსაკუთრებულ დანიშნულებათა ნაწილებიდან, 32 კაცი სხვა და სხვა დაწესებულებებიდან და 25 ახალგაზრდათა კომკავშირიდან.

ამათგან 56 მამაკაცია და 19 ქალი. იაჩეიკაზე მიმაგრებული არიან ხელმძღვანელებათ შემდეგი პირნი:

ამხ. გ. გოგიტიშვილი, ნემჩინოვი და ს. თუმანოვი. ეს უკანასკნელი განთავისუფლებულია აღნიშნულ მოვალეობიდან დროის უქონლობის გამო. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ რომ ყველა ხსენებული ამხანაგები წესიერად ესწრებიან იაჩეიკის სხდომებს და აკეთებენ ვრცელ, შინაარსიან მოხსენებებს ყველა იმ საკითხებზე, რომელსაც სვამს დღის წესრიგში თბილისის კომიტეტი და მე-4 რაიკომი. ძალიან ხშირად ეს მოხსენებები ცხარე კამათს იწვევენ და ახალგაზრდებისათვის, კომპარტიის მცირედ შეგნებულ წევრებისა და კანდიდატებისათვის დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვთ.

იაჩეიკა ენერგიულ მუშაობას აწარმოებს განსაკუთრებულ დანიშნულებათა ნაწილების, ცეკას, ტეკას, მე 4 რაიკომისა, ახალგაზრ. კომკავშირის, უპარტიო თანამშრომელთა და ქალთა შორის.

იაჩეიკასთან დაარსებულია დაბალი ტიპის მარქსისტული წრე, რომელსაც ხელმძღვანელობს ამხ. გალკინი; არსებობს აგრეთვე ქალთა წრეც, სადაც იკითხება მთელი რიგი ლექციებისა ქალთა მოძრაობის შესახებ და უპარტიო ქალები იძენენ პოლიტიკურ ცოდნას და შეგნებას.

27 აპრილს იაჩეიკის მორიგ სხდომაზე გააკეთეს მოხსენებანი: ამხ. ნემჩინოვმა მუშათა და გლეხთა სახალხო ინსპექციის გარდაქმნისა და საბჭოთა აპარატის გაუმჯობესების შესახებ (ამხ. ლენინის წერილების გარჩევა), ამხ. ოვსეიკომ—ჯანმრთელობის დაცვის შესახებ და იაჩეიკის მდივანმა ამხ. ზირაკაშვილმა ა. წ. 25 აპრილს შემდგარ სადელეგატო კრების შესახებ.

მოხსენებანი გამოდგა სრული და დამაკმაყოფილებელი, რასაც ამტკიცებდა ის გარემოება, რომ არავისგან შეკითხვა არ შესულა და არც კამათი გამართულა მოხსენება გაკეთებულ საკითხების გარშემო. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ამხ. ოვსეიკოს უბრალო და გულახდილი მოთხრობა იმის შესახებ, თუ როგორი მუშაობა სწარმოებდა რევოლიუციამდე სახალხო ჯანმრთელობის დაცვის სფეროში და როგორ სწარმოებს იგივე მუშაობა ახლა, საბჭოთა ხელისუფლების დროს, მშრომელთა სასარგებლოთ.

ამხ. ოვსეიკო ყოფილი უბრალო ჯარის ექიმი და დღეს საქ. კომპარტიის ცეკას კომენდატურაში მსახურებს, რის გამო მისმა ცოცხალმა მოთხრობამ წარსულის,—რევოლიუციამდე არსებულ დროის და სწორმა დახასიათებამ მსმენელთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო.

იაჩეიკამ დაადგინა: ყოველმა წევრმა იაჩეიკისამ ითავმჯდომარეოს რიგ-რიგობით, გააკეთოს მოხსენებები დღის წესრიგში დასმულ საკითხებზე. ეს დადგენილება უკვე ტარდება ცხოვრებაში. იაჩეიკაში კარგათაა განვითარებული წევრთა თვითმოქმედებები.

ამ დღის სხდომაზე დადგენილ იქმნა: კარგად მოეწყოს იაჩეიკის ინფორმაციის საქმე.

ინფორმატორი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი თბილისში.
(4 მაისი)

ოქროს 10 მან.—14,750 ათასი.
გირ. სტერ. — 7,860 ათასი.
დოლარი — — 1,750 ათასი.
საბჭ. ფულის ნიშ. 17 ათასი.
ოსმ. ქაღ. ლირა— 1,340 ათასი.

საქონლის ბაზრის მიმოხილვა.
(4 მაისი).

გუშინდელთან შედარებით ცვლილება არ ემჩნევა, კავკავიდან და ახლო სოფლებიდან მოაქვთ დიდძალი ხორბალი.

ძვირფასი ლითონების კურსი.
(4 მაისი).

ოქრო 96 სასინჯ. მისხალი—3 მან. 50 კაპ., ოქრო 56 სასინჯის—1 მ. 80 კაპ., ვერცხლი—84 სინჯის მისხალი—7 კაპ., ვერცხლი ხურდა 1 მანეთი 18 კაპ.

ვალიუტის ბაზრის მიმოხილვა
(4 მაისი).

ვალიუტის ნაწილის კურსი მტკიცეა. ოქროზე ფასი თითქმის უცვლელია. მიწოდება სჭარბობს მოთხოვნილებას.

ნაყიდია ვალიუტა.
(ოქროს მანეთებში:)

სახელმწიფო ორგანოების მიერ—64148, კოოპერატივების მიერ—20627, საზ. ორგან.—630 და კერძო პირების მიერ—109328.

გაყიდულია ვალიუტა
(ოქროს მანეთებში:)

სახელმწიფო ორგანოების მიერ—121635, კოოპერატივების მიერ—12477, საზოგ. ორგანიზ—25250 და კერძო პირების მიერ—35421.

ნაყიდია საქონელი
(ოქროს მანეთებში:)

სახელმწ. ორგანოების მიერ—3199, კოოპერ.—2115, საზ. ორგ.—0 და კერძო პირების მიერ—3832.

გაყიდულია საქონელი.
(ოქროს მანეთებში:)

სახ. ორგან.—7444, კოოპერ.—214, საზ. ორგან.—0 და კერძო პირების მიერ—1488.

საქონლის ბაზრის ფასები.
(ბათუმში).

ფქვილი თეთრი—2250, ყუბანის 1-ლი ხარისხის ფქვილი—1900, ფქვილი ადგილობრივი—1100, შაქარი რაფინადი ჰოლანდიის—35 ლირა ყუთი, შაქარი ფხვნილი უცხოეთის—6 მ. 75 კაპ., კარაქი 1 ხარისხის—18.000, ბრინჯი—6500—7000, ჩაი ინგლისური ფუთი—90 ლირა.

ამ.-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატში.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატის შემოსავალი ამა წლის პირველ მეოთხედში (იანვარი-მარტი) უდრის 110,600 მანეთს ოქროთი. ეს ჯამი შედგა შემდეგი გადასახადებიდან:

სალიცენზიო გადასახადი—32000 მ. ოქ.
სახელმ. ვაჭრობის მოგება—35000 „ „
პროცენტები კაპიტალზე—30000 „ „
საკომ. ოპერაციები დ სხ—12000 „ „
შენობის იჯარა — — 1600 „ „

ტფილისის ბირჟის მუშაობა.
(1923 წ. აპრილის განმავლობაში)

თვის განმავლობაში ბირჟას ეწვია 633 კაცი, აქედან 305—ბირჟის წევრი და 328 კერძო პირი. ამ დროს განმავლობაში მოხდა შემდეგი მორიგება: საფონდო—327 და საქონლის—38; პირველი 258910360 (ათას მანეთებში) რაოდენობით ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით. ანუ 194.783 ოქროს მანეთით, მეორე 12481728 (ათ. მანეთ.) ანუ 914 ოქრ. მანეთის რაოდენობით. სულ 20,3929 ოქრ. მან. ანუ 281, 592,328 (ამიერ-კავ. ფულის ნიშნებით) რაოდენობით.

მყიდველები იყვნენ: სახელმწიფო ორგანოები 76, კოოპერატივები 26, საზოგად. ორგანიზაციები 11 და კერძო პირები 252; გამყიდველები: სახელმწიფო ორგანოები—244, კოოპერატივები—35, საზ. ორგან.—33 და კერძო პირები—68.

საზ. „ჩემო“-ს წევრთა საერთო კრება

(მეორე სხდომა).

დღის წესრიგშია საზოგადოების ანგარიში 1922 წლისათვის, რომლის შესახებ მოხსენებას აკეთებს დირექტორი ა. დარახველიძე. სახალხო კომისართა საბჭოს წარმომადგენელი ქ. მოდებაძე ანგარიშის შესახებ აცხადებს, რომ ანგარიშში—„კომისია და ფრახტის დაწესება“—მთავრობას უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა იმდენად, რამდენადაც ამ ანგარიშის სარგებელი დაკავშირებულია თვითღირებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარის მასხულიას განმარტების შემდეგ, საერთო კრებამ დაადგინა დამტკიცებულ იქნეს საბჭოს 30 აპრილის დადგენილება ამ საკითხის შესახებ, რომლითაც საერთო კრება ანდობს საბჭოს თვითვე მოაგვაროს ეს საკითხი. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული საერთო კრების შემდეგაც, მაშინ ეს საკითხი გადაეცემა საარბიტრაჟო სასამართლოს გადასაწყვეტლად.

ამის შემდეგ საერთო კრება ამტკიცებს ანგარიშს. შემდეგ დირექტორი ა. დარახველიძე აკეთებს მოხსენებას 1923 წ. 1 აპრილის ბალანსის შესახებ. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ა. წ. 1 აპრილიდან თვითღირებულების უქონლობის გამო, ციფრები ბალანსში შეტანილია გაუნაწილებლად. ამას გარდა უნდა გვახსოვდეს, რომ ხარჯები გირვანქა სტერლინგებში იზრდება იმის გამო, რომ წილს გირვანქა სტერლინგი ფასდება თითქმის ორჯერ ნაკლებად, ვინემ გასულ წელს.

რაც შეეხება საკითხს სათადარიგო კაპიტალში პროცენტების გადარიცხვის შესახებ, ეს საკითხი, ამბობს დარახველიძე, თავის თავად იხსნება, ვინაიდან 1922 წელი არ იყო სარგებლიანი.

კრება გადადის საკითხზე ჭიათურის სამრეწველო რაიონებისათვის მისადგომი გზების გაყვანის შესახებ. ამ საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა ყრილობის საბჭოს თავმჯდომარე ი. ბაქრაძე. საკითხის უკანასკნელი სტადია მდგომარეობს იმაში, რომ უმრავლესობა იმის მომხრეა, რომ ამ გზების გაყვანა გადაეცეს ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს. ეხლა საერთო კრებამ უნდა გადასჭრას ის საკითხი, თუ ბოლოს და ბოლოს ვინ უნდა გაიყვანოს გზები და საიდან იქნეს გამოძებნილი საშუალება!

დირექტორი ქ. თუმანოვი აცხადებს, რომ ამ საკითხით დაინტერესდა ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი, სადაც იმ აზრს იზიარებენ, რომ გზები გაყვანილი უნდა იქნეს მხოლოდ შავი-ქვის მრეწველობის საშუალებებით, რკინის გზის სამმართველოს წარმომადგენლებთან საუბრის დროს გამოირკვა, რომ ის მიიღებს თავის თავზე გზების გაყვანას, მაგრამ საჭირო საშუალებებისათვის მოგვმართავს ჩვენ.

საბჭოს თავმჯდომარე შ. მასხულია, დირექტორი ა. დარახველიძე და სალოვიევი აცხადებენ, რომ გზების გაყვანა შესაძლებელია მხოლოდ რკინის გზის სამმართველოს საშუალებით რომელმაც თვითვე უნდა გამოსძებნოს საშუალებები,

ი. ვარაზაშვილი ამბობს, რომ შესაძლებელია საკითხის სამგვარად გადაჭრა: პირველი გაყვანა მიენდოს რკინის გზას, მიეცეს მას სესხი ექსპლოატაციიდან მიღებული შემოსავლიდან განსაზღვრულ ვადამდე, მეორე—მოვაყვანოთ ჩვენვე, რისთვისაც საჭირო იქნება შავი-ქვის დაბეგვრა და მესამე—განაწილებული იქნენ სააქციონერო საზოგადოების აქციები გზის გასაყვანად. საკითხის უკეთესი გადაჭრა, ასეთი არის ორატორის აზრით: გადაეცეს გზის გაყვანა სავსებით რკინის გზას, ჩვენი დახმარების გარეშე.

ა. ვიურცბურგერი მიუთითებს იმაზე, რომ არის მთელი რიგი დაბრკოლებების, რომელთა გადალახვა აუცილებელია ამისათვის კი საჭიროა თული თუ მოვითხოვთ თვითდაბეგვრის არ უნდა დავივიწყოთ, რომ თვითდაბეგვრა დამოკიდებულია ექსპორტის მდგომარეობიდან ამისათვის საშუალებების გამოძებნის დროს შეიძლება მივმართოთ კრედიტს, ხოლო ეს თავის მხრივ იწვევს საკითხს კონცესიების შესახებ, რომელიც უნდა გადაიჭრეს დაჩქარებით.

ა. ჯაყელის აზრით საჭიროა არჩეულ იქნეს კომისია, რომელშიაც შევლენ მთავრობის ყრილობის და ფირმების წარმომადგენლები, დაევალოს მას დაამუშავოს საკითხი და შედეგები გააცნოს საზ. „ჩემო“-ს წევრთა კრებას, რომელიც სპეციალურად რიგს გარეშე იქნება მოწვეული.

ა. ანჯაფარიძე იმედს გამოსთქვამს რომ მთავრობა დახმარებას გაუწევს საზოგადოებას ჭიათურის გზების გასაყვან საშუალების გამოძებნაში.

დაგვიანების გამო საკითხის განხილვა გადაიდო მორიგ სხდომისათვის,

ახალი ექიმები

მიმდინარე სესიაში ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე ექიმის ხარისხის მიღებით სახელმწიფო გამოცდები ჩააბარეს შემდეგმა პირებმა:

1) ალექსიძე ნინო დიმიტრის ასული, 2) ანდრიევა სოფიო იოსების ასული, 3) ბერეჟიანი დარია ივანეს ასული, 4) ბეთანელი ელენე დანიელის ასული, 5) ბერიძე მარიამი გიორგის ასული, 6) გერსამია ვლადიმერ სვიმონის ძე 7) გრიგოლაშვილი გრიგოლ გიორგის ძე, 8) გიკინეიშვილი ივანე მირიანის ძე, 9) გიგინეიშვილი დარია მირიანის ასული, 10) ერისთავი ნინო შალვას ასული 11) ვეშაპიძე—გორბაჩევისა ნინო გიორგის ასული, 12) ზანგურაძე სერგო და ოლღა გიორგის ასული, 13) მგალობლიშვილი პაატა ივანეს ძე, 14) მიქელაძე დავით ალექსის ძე, 15) მგელაძე—ალადაშვილი ლიუბა ყარამანის ასული, 16) მეგრელიძე-როსტინა ევგენია მოსეს ასული, 17) მაჩაბელი ვასილ დიმიტრის ძე, 18) პარკაძე მარიამი გიორგის ასული, 19) ლამბაშიძე სარა კირილეს ასული 20) ღლონტი ტიტე ივანეს ძე, 21) შიუკაშვილი თამარა მიხეილის ასული 22) შონია ანდრია დიმიტრის ძე, 23) ჩარექიშვილი გრიგოლ გრიგოლის ძე, 24) პიჩინაძე ნადეჟდა სერგოს ასული, 25) ჩაბარაძე ვლადიმერ ილარიონის ძე, 26) ხუციშვილი გრიგოლ პავლეს ძე, 26) ჯალათოვი კონსტანტინე იოსების ძე, 28) ჯავახიშვილი იოსებ ვასილის ძე, 29) იმნაიშვილი ელისაბედ ბესარიონის ასული, 30) აბდუშელიშვილი ადამი გიორგის ძე, 31) აბულაძე სარა ქრისტეფორეს ასული, 32) ახობაძე სოფიო რომანის ასული, 33) ალექსიძე ალექსანდრე ესტატეს ძე, 34) ახვლედიანი—მაჭავარიანი ქსენია კონსტანტინეს ასული, 35) არგუტინსკაია—დოლგორუკოვა მარიამი, 36) ბარბაქაძე ილია ფილიმონის ძე, 37) ბურჯანაძე პლატონ ლუარსაბის ძე, 38) ბურჯანაძე ივანე ტრიფონის ძე, 39) ბერინიანცი შუშანიკა მელქოვის ასული, 40) ბენაშვილი თამარა ათანასეს ასული, 41) გოგნიაშვილი ბარბარე ივანეს ასული, 42) გოგიტიძე ივანე დავითის ძე, 43) გვაზავა ანტონ ისაიას ძე, 44) გურამიშვილი ქსენია იპოლიტეს ასული, 45) გველესიანი ივანე დავითის ძე, 46) თარხან-მოურავი ალექსანდრე ესტატეს ძე, 47) თევზაძე ანასტასია ალექსის ასული, 48) კვინიხიძე ნინო ვასილის ასული, 49) კოსტავა ვერა ალექსის ასული, 50) კოსტავა სიდონია ალექსის ასული, 51) მჟავია ნინო გაბრიელის ასული, 52) სარაჯიშვილი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე, 53) მაჭავარიანი სიმონ ივანეს ძე, 54) ტაბლიაშვილი თამარ იაკობის ასული, 55) ტატიშვილი თამარ იაკობის ასული, 56) ლამბაშიძე შალვა გიორგის ძე, 57) შიხინაშვილი ნინო იაკობის ასული, 58) ჩხიკვაძე ქეთევან მიხეილის ასული, 59) ჩხეიძე იოსებ არჩილის ძე, 60) ჩაგუნავა ალექსანდრე გიორგის ძე, 61) ჩილინგარიშვილი თამარ პავლეს ასული, 62) ჩერომსკაია—გოგიტიძე ეკატერინე, 63) მესხი თამარ სერგოს ასული, 64) ჭრელაშვილი მიხეილ დიანოსის ძე, 65) ჯაფარიძე ნიკოლოზ ერასტის ძე, 66) ჯაიანი—დავითაშვილი ნინო ივანეს ასული, 67) თუხარელი ვახტანგ დავითის ძე, 68) ჯავრიშვილი ოლღა ალექსანდრეს ასული.

ქრონიკა

საქარ. სახ. სამ. უმ. საბჭოში

— **ღვინის ტრესტი.** ღვინის ტრესტი ივნისის პირველ რიცხვებში ამუშავებს ლუდის, კრახმლის და ყინულის ქარხნებს.

— **ღვინის ტრესტის საბრუნავი თანხა,** მარტის განმავლობაში ღვინის ტრესტის საბრუნავი თანხა უდრიდა 20 მილიარდ მანეთს, 3 მეოთხედი აღნიშნულ თანხიდან ეკუთვნის სპირტის ვაჭრობას, რომელიც ამ ჟამათ ითვლება ტრესტის მოგების მთავარ წყაროთ.

— **ნედლი მასალის შეძენა.** ტრესტის გამგეობამ დაამზადა დიდი მარაგი სხვა და სხვა ნედლი მასალების, სომხეთში შეძენილია 9,000 ვედრო ღვინო კონიაკის საჭირო სპირტის დასამზადებლათ.

— **ავჭალის შუშის ქარხნის მუშაობა** მარტის განმავლობაში ავჭალის შუშის ჩამომსხმელ ქარხანამ დაამზადა; ჭიქები სხვა და სხვა გვარი—13,874 ცალი, ბანკები—10,457, ბოთლები—15,447, პატარა ბოთლები—12,735, სამელნეები—6,137 ცალი.

სასურსათო კომისარიატში.

— **საქსოვი ფაბრიკა.** სასურსათო კომისარიატმა 850 მან. (ოქროთი) გადასცა საქსოვ ქარხნის გამგეობას ქარხნისათვის საჭირო მასალების შესაძენათ.

მიწად მოქმედების კომისარიატში

— **მინდვრის თაგვებთან ბრძოლა.** მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატის ცნობით მინდვრის თაგვებთან ბრძოლა ენერგიულათ სწარმოებს. სოფლებში: ტიმანი, ძველი ანაგა, ბოდბისხევი და ქვემო მაჩხაანი—განთავისუფლებულია მავნე თაგვებისაგან 5,000 დესეტინაზე მეტი სივრცე.

შრომის ბირჟაში.

— **უმუშევრები.** აპრილის განმავლობაში შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა სულ 23,518 უმუშევარი ორივე სქესის. ჩაიწერა ახალი უმუშევრები—3 315. სამუშაოზე აპრილის განმავლობაში გაიგზავნა 1023 უმუშევარი ორივე სქესის.

პატარა ფელეტონი

ძმური ლუკმა.

„ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყო“-ო.

ანდაზა.

ბერლინი. 10 აპრილი. „ობსერვერის“ დიპლომატიური კორესპონდენტი იტყობინება, რომ ლუშერმა ლონდონში ყოფნის დროს ნათლად აღიარა, რომ საფრანგეთ-ინგლისის დაახლოვება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ინგლისი დათანხმდება გერმანიის გაყოფაზე.

(დეპეშებიდგან).

საფრანგეთმა უთხრა ინგლისს:
„ჩემო ძმაო, ანგლიაო,
მე-ფრანკი და შენ-სტერლინგი,
ხომ ხედავ, რომ გვაკლიაო.

აგერ აქვე გერმანია
მდიდარია მარკებითო,
ჩვენი რეპარაციული
დატვირთული ხარკებითო.

გადახდა რომ ვერ ვასწავლე
მასგანაც აღთქმულ ვალისაო,
განვიზრახე მაზე ხმარა
„სამართლიან ძალისაო“!

დავიპყარი უკვე რური,
ბოხუმი და ესსენიო...
განზრახვა მაქვს, დავიტოვო
ჩემთვის ყველა ესენიო!

შენც რომ სხვაფერ არ იფიქრო,
მეც წინ გავყვე ადვილათო,
მოდი და მალად ეს ქვეყანა
გავიყოთ ორ ნაწილათო!

ერთი-შენ და ერთიც-კვლავ მე,
დაუპყრობი რაც დამრჩაო,
ამ ნაირად, შენი—სტვირი,
ჩემიც კიდევ-ქამანჩაო!..

ბელგიას კი, ცოტა მარკა
თუ ვაჩვენო, იკმაროსო,
დაჯდეს და იანგარიშოს,
თუ არა და მიქაროსო!

მუსოლინიც რომ ცხვირს იშვერს,
მოუაროს თავის ტყავსო,
თორემ ზურგი აეწვება,
ექავება, როგორც ჰკავსო!..

და აი, ამ „წმინდა მიზნით“
მეც გაახლე ლუშერიო:
იტკბილმსჯელეთ!.. ან რათ ვკადროთ
ჩვენ ერთმანეთს უშვერიო?!..

რიგიანი ლუკმა არის,
შენც გეყოფა და მეცაო,
ავილებ და გადავყლაპავ,
თუ „გულზე არ დამეცაო“!..*)

ონისიმე.

---

*) „ყელზე დადგომა“.

ხელოვნება

ია კარგარეთელი

(მისი იუბილეს გამო).

სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარი კომიტეტი ა. წ. მაისის 5 ს, პირველ სახელმწიფო კონსერვატორიაში, უმართავს 35 წ. იუბილეს დამსახურებულ მუსიკოსს და საზოგადო მოღვაწეს ია კარგარეთელს.

ვინც დაკვირვებით ადევნებდა თვალ-ყურს ჩვენი საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების მაჯისცემას, დიდი პატივისცემით შეხვდება ამ დღესასწაულს.

მრავალმხრივია ია კარგარეთლის მოღვაწეობა. უპირველეს ყოვლისა, მან როგორც მუსიკოსმა საძირკველი ჩაუმტკიცა ქართულ კულტურის ამ მაღალ დარგს და ხან როგორც შემომქმედი, ხან კი როგორც საუნჯეთა შემკრები, ეძებდა და აგროვებდა მდიდარ სიმღერებს. მან პირველმა დასწერა ქართული მუსიკის ისტორია და სახელმძღვანელო, რითაც დიდი სამსახური გაუწია მოზარდ თაობას. ამავე დროს იგი იყო პირველი მომღერალი არტისტი საქართველოში და პირველი ოპერის მთარგმნელი

ია კარგარეთელი ამ ერთი დარგით არ დაკმაყოფილდა. მასში ღრმად იყო გამჯდარი ეროვნული სამსახურის სიყვარული, რაც გამოიჩინა ხალხურ ზეპირ-სიტყვაობის სფეროში დაუღალავი მუშაობით. მან შეკრიბა აუარებელი ხალხური ლექსები, ზღაპრები, ლეგენდები და სხვა... და იყო ამ მხრივ ერთი პირველთაგანი. და თუ გავითვალისწინებთ, ჩვენი ოლგლორის დიდ მომავალს, და ვიცნობთ ამისთვის აუცილებელ პირობად იმ შავ მუშაობას, რასაც შეკრება ეწოდება, უნდა ვთქვათ, რომ ამ მხრივაც ია კარგარეთელის დამსახურება დიდია.

იგი პედაგოგიურ ასპარეზზედაც შეიჭრა, და სცდილობდა ხალხში შეკრებილ დიდი განძის გადატანას მოზარდ თაობის გულში, და დიდი მზრუნველობით უფრთხილდებოდა მომავლის ამ პატარა ავანგარდს. ია კარგარეთელი დიდ მონაწილეობას ღებულობდა ხალხურ გუნდების შედგენაში და ბევრ უჩინარ მაგრამ დიდ საქმეში იყო იგი ჩაბმული. ხოლო მის მოღვაწეობას საზოგადოდ ახასიათებდა ის, რომ ყველგან ღირსეულად ატარებდა კეთილშობილ პატრიოტის სახელს. და, როგორც ჩვენი წარსული მოღვაწეები, ია კარგარეთელიც ვერ ასცდა მტერთა ჯილდოს, და შავრაზმელებმა დაასახიჩრეს იგი: თითქმის 20 წელია, რაც ია კარგარეთელი ცალ-ხელა განაგრძობს ერის სამსახურს, და მარჯვენა მკვდარი, მარცხენას ატრიალებს ქართულ კულტურის ფარად და ხმალად. ქართველი საზოგადოება ყველაზე მეტად აქ არის მოვალე მზრუნველობა გამოიჩინოს და დამსახურებული პატივისცემა და მადლობა მიუძღვნას იმ ადამიანს, რომელიც დინჯათ, ჩუმად და ენერგიულად ემსახურებოდა და ემსახურება საქართველოს დიდებას.

კრიტიკა

„ესტეტ.“ კ. გამსახურდიას რეაქციონური პესიმიზმი

დასახელებულ პიროვნებას, როგორც მწერალს (იგი ასეთად გამოდის საქართველოში) განსაკუთრებით ერთი რამ ახასიათებს: იგი დიდი წარმოდგენისაა თავის თავზე და საკუთარ აზრებზე, იმდენათ დიდი წარმოდგენისა, რომ როდესაც მას და მის აზრებს, მაგალითად, ქართველი მკითხველი საზოგადოება არ აფასებს, და სათანადო ყურადღებით არ ეპყრობა, იგი უდიდეს სიბრაზეში და გულგატეხილობაშიც ვარდება და ასკვნის: —„ქართველი მკითხველი აბსოლიუტურად გადაგვარებულია“; კიდევ:

— „საქართველოში არამც თუ მკითხველი მოაზროვნე საზოგადოებაც არ არსებობს.

— კიდევ: „საქართველოში ყველას სძულს აზროვნებაც და კითხვაც“ და სხვა.

წარმოიდგინეთ ყველა ამ „მოსაწონ“ აზრების მოთავსებას პატივცემული ავტორი ახერხებს ერთ თავის პატარა წერილის ერთ გვერდზე („ილიონი“ № 4 გვ. 87). რა არის გამსახურდიას ასეთი ულმობელი სიბრაზის და გულგატეხილობის მიზეზი? რამ გამოიწვია მასში ასეთი აღშფოთება და პესიმისტობა?

მხოლოდ იმან, რომ საქართველოში თურმე, ვერ დააფასეს, ვერ „გაიგეს“ მისი „შემოქმედება“ და ამ „შემოქმედების“ მნიშვნელობა; მაშინ როდესაც:

— „მე პოეზიაშიც პირველმა მიუთითე ურბანისტურ გზებზე“, კიდევ:

— „მე თავიდანვე დასავლეთის კულტურის აპოლოგეტი ვიყავი“, კიდევ:

— „მომავალი ისტორიკოსი ქართული ლიტერატურისა აღნიშნავს ალბათ, რომ ეს სწორედ ქართული ლიტერატურის ამ აქილესის ქუსლს (ლაპარაკია „რუსეთიდან ჩამოტანილ პრიმიტიულ იდეების“ შესახებ) მივადექი“, კიდევ:

— „მე ქრისტიანული მისტიციზმის იდეოლოგიას ვადექი დღემდის საქართველოში (ჩემი წერილები: გოეტე, ილია ჭავჭავაძე, დანტე, ნიცშე)“ და სხვა.

— ასეთი „დიდი“ დამსახურება ქონია გამსახურდიას „მე“-ს და როდესაც ამას ვერ „გებულობენ“, არ აფასებენ აბა როგორ არ უნდა გაბრაზდეს კაცი?

— მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ყოველივე ეს არც იმდენათ საინტერესოა, რომ მასზე შევჩერდეთ; რა ფუყით მერმეთ—განა ასეთი სენით მარტო კ. გამსახურდია არის დაავადმყოფებული, განსაკუთრებით იმ წრეში, რომელშიაც იგი „ტრიალებს“? მაინცა და მაინც—ჩვენი დროისათვის „დიდი საინტერესო“ და „მნიშვნელობის მქონე არ არის ის, თუ რას ფიქრობს თავის თავზე—რომელიმე გზა-აბნეული „ინტელიგენტი“.

და თუ კი ჩვენ მაინც საჭიროდ დავინახეთ კ. გამსახურდიაზე მიგვექცია ჩვენი მკითხველის ყურადღება—მხოლოდ შემდეგი მოსაზრების გამო:

— იმ პატარა წერილში—რომლიდანაც ჩვენ ამოვიღეთ ზევით მოყვანილი სიტყვები (როგორც ვთქვით, ეს წერილი მოთავსებულია ჟურნალ „ილიონის“ მე-4 ნომერში) —ქურდულათ გაპარულია ისეთი აზრები, რომლებიც ააშკარავებს ნამდვილ შავ რეაქციონურ.

— შოვინისტურ ზრახვებს მოქ. გამსახურდიასას და რამოდენიმეთ გვიშლის თვალწინ იმ „ტაქტიკას“, რომელსაც ადგია დღეს კონტრ-რევოლიუციონურად განწყობილი ნაწილი ქართველი ინტელიგენციისა—ჩვენი რევოლიუციის და მისი მონაპოვართა წინააღმდეგ საბრძოლველად აგრეთვე იგი ნათლად ააშკარავებს იმასაც, თუ როგორ ხშირად—„ესტეტიკა“ პატარა ადამიანისა საკმაოდ დიდ კონტრ-რევოლიუციის ფარავს თავის ფრთებს ქვეშ.

აი რას სწერს მოქ. გამსახურდია დასახელებულ წერილში:

— „ჩვენ ვიცით მაგალითებიდან, რომ, როცა ერი **პოლიტიკურ ფრონტზე მარცხდება, იგი კულტურულ ფრონტზე მიაბჯენს ყველა თავის სასიცოცხლო ძალებს**“. „დღის ჩვენში გააფთრებული მუშაობა უნდა იყოს“. „საქართველოში კულტურული „საალყო წესები“ უნდა იყოს გამოცხადებული და კულტურული დიქტატურა“.

— მოყვანილ წინადადებებში კულტურის ლამაზ ფარდის ქვეშ დამარხულია ნამდვილი, კბილებ-დალესილი კონტრ-რევოლიუცია: ერთის მხრივ მოცემულია აშკარა, ცხადი მენშევიკურ-შოვინისტური დაფასება პოლიტიკური მდგომარეობისა („ერის პოლიტიკურ ფრონტზე დამარცხება“ — ე. ი. მენშევიკების მარცხი ორი წლის წინეთ ყოფილა „ერის პოლიტიკური დამარცხება“), რაიც ამავე დროს განსაზღვრავს დამოკიდებულებასაც. საქართველოში 25 თებერვალს 1921 წ. მომხდარ გადატრიალებასთან—და მეორეს მხრივ მოცემულია, აგრეთვე ნათლად და სხარტად სამოქმედო „ტაქტიკა“, სამუშაო ხაზი, უმთავრესი დასაყრდენობი წერტილი—„კულტურული“ ფრონტზე მუშაობა „კულტურული საალყო წესები, კულტურული დიქტატურა—25 თებერვალს მომხდარ „პოლიტიკურ დამარცხების“ გამოსასწორებლათ—მოკლეთ მენშევიზმის, გაბატონებულ ნაციონალიზმის დასაბრუნებლად. „კულტურა“ და „კულტურული“ ფრონტი—**როგორც პოლიტიკური საშუალება პოლიტიკური ბრძოლის წარმოებისა არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობის წინააღმდეგ, ე. ი. კომუნისტური პარტიის ქვეყნის ხელმძღვანელობას წინააღმდეგ, ე. ი. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ე. ი. რევოლიუციის წინააღმდეგ.**—ცხადია თუ რა შინაარსი ეძლევა ამ გაგებით, ამ მნიშვნელობით კულტურას, როგორც საშუალებას მენშევიზმის და შოვინიზმის დაბრუნებისათვის.

— მოქ. გამსახურდია „ხიტრობს“: კულტურის და კულტურულ მუშაობის მნიშვნელობაზე ჩვენი საერთო ძახილთან უნისონში—იგი აპარებს მენშევიზმს და შოვინიზმს.

— „ჩვენთვის (ფასი ჩვენთვის ე. ი.) დღეს პირდაპირ არსებობის საკითხია ქართული კულტურის ფრონტის გაძლიერება“ (დასახელებული წერილი). დიახ ეს ასეა: მაგრამ არა იმ „კულტურის“, რომელიც—უკანასკნელ პოლიტიკურ, მორალურ და კულტურულ სიკოტრეში ჩავარდნილ—„გულღვარძლიან მამულიშვილების“ დასატკბობ და დასაყრდენობ ტახტს ამზადებს—არამედ იმ ნამდვილ კულტურის, იმ განათლების, რომელიც—საუკუნოებით და ათას-წლობით სიბნელეში, სიღატაკეში, დამცირებაში, მონობაში—ჩაფლულ ხალხს—ამ შემთხვევაში ქართველ ხალხს—საშუალებას მისცემს და აძლევს კიდეც—ადამიანათ გახდეს და ადამიანის გონების და გრძნობების მოთხოვნილებათა მინიმუმი მაინც დაიკმაყოფილოს.

— მაგრამ გამსახურდიას „კულტურა“ სულ სხვა „ქიმიისაა“: ეს არის „კულტურა“ ალვირ-ახსნილ შოვინიზმისა, რეაქციონურ მენშევიზმისა, გაბატონებულ ტარიელ მკლავაძეებისა—შელამაზებული და შეპუდრული „მისტიციზმის“ და „ესტეტიზმის“ ყალბ ფერებით.

— „ქართველმა ინტელიგენციამ ამ ორ უკანასკნელ წელს (ე. ი. საბჭოთა ხელის-უფლების დამყარების შემდეგ—გ. ბ.), თავისი სრული უსუსურობა და აბსოლიუტური სულიერი სიკოტრე გამოააშკარავა“.—ასე აფასებს მოქ. გამსახურდია ქართველ ინტელიგენციის როლს—ამ ორ უკანასკნელ წლების განმავლობაში; ჩვენ ვეთანხმებით მას (ინტელიგენციის უდიდეს ნაწილის მიმართ მაინ(!) ამ შეფასებაში, მხოლოდ დასაწყისი დროის რაოდენიმე წლებით უკან დაწევით და, რასაკვირველია, რევოლიუციის სარგებლიანობის თვალთახედვით. მაგრამ—„ძაღლის თავიც“ სწორედ აქ არის დამარხული.—მოქ. გამსახურდია ასეთ შეფასებას აძლევს ინტელიგენციას რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლის თვალთახედვით.

„ინტელიგენციამ გამოიჩინა უსუსურობა და სულიერი სიკოტრე“—რაში? რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლაში. მან—ინტელიგენციამ ვერ გაუწია სათანადო წინააღმდეგობა იმ აქტს, რომელიც ორი წლის წინეთ მოხდა, ე. ი. საქართველოს სოციალისტური რევოლიუციაში ჩაბმას და მისგან რეაქციის მოშორებას. აი, ეს ატირებს მოქ. გამსახურდიას და ეს არის მთავარი მიზეზი მისი ასეთი გულის-წყრომისა ქართველ ინტელიგენციაზე. ეს უკანასკნელი ვერ გამოდგა—გამსახურდიას აზრით და შეფასებით საკმაოდ, დამცველი ქართველი შოვინიზმისა და მენშევიზმისა

— „რითი გავს ეს ხალხი იმ ქართველებს, რომლებიც ათასეული წლების განმავლობაში **ჯვრიბა და მახვილის** მპყრობელი ჰკაფავდა ჩვენზე მოერიშე ბარბაროსების (დააკვირდით შედარებას—გ. ბ.) ურდოებს“ (კიდევ გ. ბ.).

— აი ხედავთ, რაში ყოფილა საქმე! ძველად—ალბათ „ევროპიული (გამსახურდია ხომ „პიონერია“ ამ კულტურის) კულტურის იდეებით გამსჭვალული ქართველი მეფენი და ბრწყინვალე წოდების პირნი „ჯვრით“ და „მახვილით“ იცავდნენ საქართველოს ბარბაროსების ურდოებისაგან—ეხლა კი?.. „რითი გვანან ეს უდღეური ეპიგონები თავისი წინაპრებს, რომელნიც ციცაბო კლდეებს გულბოყვს შეუმტვრევდნენ და აგებდნენ—ქართულ კათედრალებს“.

— „ბარბაროსების ურდოები“—ეს ნეტარ-ხსენებულ ერთობის „პუბლიცისტების“ ლექსიკონიდან ამოღებული სიტყვები — ააშკარავებენ, ნათელს ფენენ იმას, თუ როგორი თეთრი ძაფებით არის ნაკერი გამსახურდიას ფარული აზრები და ფიქრები.

ქართველი მკითხველი საზოგადოების დაწუნება მხოლოდ იმიტომ, რომ ეს საზოგადოება ვერ აღმოჩნდა იმდენათ გამსჭვალული შოვინისტური სულით, იმდენათ გამსჭვალული რევოლიუციისადმი სიძულვილით, რომ დამზგავსებოდა ძველ საქართველოს „ბრწყინვალე“ მეომართ მეფის და თავად-აზნაურთა ტახტისა—შემოსეულ „ურდოების“ წინააღმდეგ.

— გულგამტყდარია „უპარტიო ესტეტი“ გამსახურდია ამით, გულგამტყდარია სრულ უნუგეშო პესიმიზმამდის, გულგამტყდარი თითქმის გონების დაკარგვამდის, რომ ქართველმა ინტელიგენციამ ვერ დააფასა საკმაოდ კონტრ-რევოლიუციონური „მისტიციზმით“ გაჟღენთილი მუშაობა მოქ. გამსახურდიას, რომელსაც არ გაყვა მას „ჯვრით“, და „მახვილით“ 25 თებერვალს 1921 წელში საქართველოში გამარჯვებულთა წინააღმდეგ.

— წმინდა „ესტეტები“, „ხელოვნების პატენტიანი“ ქურუმები, ცისკენ შემყურე „მეოცნებენი,—რომელთა ცა ხშირად რომელიმე სარდაფის ჭერს არ სცილდება და „ოცნებას“ კი თვით ამ სარდაფის სუნი უდის—სახით და „ამპარტავნობით“ ამტკიცებენ თავიანთ ინდიფერენტობას და „სულ-ერთიანობას“ (სულ ერთია: ნიკოლოზი, ჟორდანია, თუ ლენინი) პოლიტიკისადმი და პოლიტიკური საკითხისადმი. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით და ახლაც ვამბობთ, რომ თვით ამ ინდიფერენტობაში და „სულ-ერთიანობაში“ იმარხება ყველაზედ უფრო საზიზღარი, ყველაზედ უფრო ძირ-დამპალი და დრო-მოჭმული პოლიტიკა რეაქციისა; რომ რეაქცია საუკეთესო ბუდეს ნახულობს თავის ბატონობის გასამაგრებლათ, ან დასაბრუნებლად სწორედ ასეთ ფარდის ქვეშ. ხანდისხან ეს ფარდა გადაიწევა—შეიძლება შემთხვევით, შეიძლება მეტის გამბედაობის გამოჩენის სურვილითაც, შეიძლება იმ ფიქრითაც, რომ ამას ვერ შეამჩნევენ ისინი, რომელთა წინააღმდეგაც მიმართულია ფარდის იქით დაფარული მუშაობა—დიახ, ხანდისხან ეს ფარდა გადაიწევა და მაშინ: „მხატვრულ“, „ესტეტიურ“ ფერებით შეღებილ და „მისტიურ“ ძაფებით ნაქსოვ ფარდას იქით—გამოჩნდება ნამდვილი შავი, კბილებ-დალესილი კონტრ-რევოლიუცია თავისი დამახასიათებელი ნიშნებით: შოვინიზმით, წარსულის აპოლოგიით, დღევანდელის წყევლით და ძველის მზგავსი მომავლისათვის ნიადაგის მზადებით.

— ასეთია საერთოდ სამუშაო ლაბორატორია რეაქციის რაინდთა—რა სახელწოდებაც არ უნდა ქონდეს, რა ფერის ფარდაც არ უნდა ფარავდეს მას (ლაბორატორიას): „წმინდა“ მეცნიერების, „წმინდა“ ხელოვნების. მხოლოდ „რჩეულთა“ ესტეტიზმის, თუ გამოუცნობ მისტიციზმისა. ასეთია კერძოთ გამსახურდიას „მუშაობაც“ საქართველოს კულტურულ ფრონტზე.

— და დღეს, როდესაც ეს კულტურის ფრონტი რევოლიუციის მეთაურ პარტიას და მისი ხელისუფლების მიერ გამოცხადებულია დამკვრელ ფრონტათ, როდესაც ამ ფრონტზე გამარჯვება თითქმის სამი მეოთხედით სწყვეტს—განსაკუთრებით შექმნილ პირობების გამო—საერთაშორისო რევოლიუციის დაგვიანებისა—სოციალისტური რევოლიუციის გამარჯვების საკითხს კულტურულად ჩამორჩენილ საბჭოთა ქვეყნებში, როდესაც ჩვენი ისედაც ღარიბ რესურსებიდან უდიდეს ნაწილს (შედარებით) ვახმართ ამ ფრონტის გამაგრებას—როდესაც ეს ყოველივე ასე არის—ჩვენ ამ დროს არ შეგვიძლია, უფლება არა გვაქვს, ყურადღება არ მივაქციოთ ყოველგვარ, თუ გინდ ერთი შეხედვით უმნიშვნელო „ვილაზკასაც“ კონტრ-რევოლიუციისა ამ ფრონტზე ჩვენი გამარჯვების ხელის შესაშლელად

— გამსახურდია ტიპია—ჯერ კიდევ თუ არ „მოჭკვიანებულ“ შოვინისტ-რეაქციონერ ქართველ ინტელიგენტისა, რომელიც ფიქრობს „კულტურის“ საშუალებით ებრძოლოს რევოლიუციას. ალბათ მას მომხრენიც ეყოლება. სხვა რომ არა იყოს რა ის რედაქტორია საკმაოდ მოზრდილ ჟურნალისა („ილიონი“), რომლის ოთხი ნომერი უკვე გამოვიდა ამ წელს.

— ეს სხვათა შორის იმასაც მოწმობს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ განვიხორციელებია ოდნავათაც ის, რასაც მოქ. გამსახურდია ეძახის „კულტურულ საალყო წესებს“ და „კულტურულ დიქტატურას“.

ეს კი აუცილებელია.

რევოლიუციის სასარგებლოთ ნამდვილ კულტურის და მისი ფრონტის დასაცავათ ჩვენ უნდა შემოვიღოთ ურყევი და მტკიცე „კულტურული დიქტატურა“ და გამოვაცხადოთ ნამდვილი კულტურული „საალყო წესები“, რათა გამსახურდიას ტიპის „ნე-პის“ ცოცხალ გრიმასებს ამ ფრონტზე საზრდო ნიადაგი არ მიეცეს.

ჩვენ კარგად ვიცით—რომ ეს ძალიან ძნელია—რომ პროლეტარულ რევოლიუციის—ჩვენი რესპუბლიკაში განსაკუთრებით — ყველაზედ უფრო სუსტი მხარე კულტურული ფრონტი არის. ამიტომაც გვილის რეაქცია აქედან.

და იმდენათ, რამდენათაც ეს ასეა, ჩვენ მით უფრო მეტი ყურადღებით, მეტი ენერგიის დახარჯვით და ჩვენთვის ჩვეული გამარჯვების მეტი სურვილით—ვეკვეთოთ ამ ფრონტს.

ამას მოითხოვს ჩვენგან მშრომელი ხალხის და რევოლიუციის ინტერესები ყველგან და კერძოთ საქართველოშიც.

გ. ბახტაძე

მუშათა ცხოვრება

დასაგმობი რამ!..

ნამდვილად შემჩნეულია, რომ ზოგიერთი წარმოების მუშები ძალიან ბევრ დროს თავის თავისუფალ საათებიდან ატარებენ შეუფერებელ გასართობებში, როგორიცაა მაგალითად: ლოტო-ბილიარდები და სხვა.

და ყოველივე ეს ხდება მაშინ, როდესაც ცხოვრების პირობები მოითხოვენ ჩვენგან მეტს შრომას და ენერგიას ჩვენი მეურნეობის აღსადგენად, მშრომელ ხალხის საკეთილდღეოდ. თავისუფალი დრო მუშამ უნდა მოახმაროს თვითგანვითარებას, წმინდა ჰაერზე ტანის ვარჯიშობას და სხვა,

აქედან თავის თავად ცხადია, რომ მუშას ესაჭიროება მომზადება ყოველმხრივ. ის ყოველ მისთვის ძვირფას თავისუფალ საათებში უნდა მიილტვოდეს „ცოდნათა სალაროს" გაფართოვებისაკენ და არ ატარებდეს დროს ლოტოს ან ბილიარდის შეხუთულ დარბაზში თავის კაცისებური ჯანმრთელობის და შრომის უნარის დასახშობად. ეს სენი მუშებში უნდა აღმოიფხვრას ძირიან-ფესვიანად იმათ უნდა დაისახონ თავის გულში ერთი უდიდესი ლოზუნგი: „სამუშაო დრო დაუღალებლად ჩვენს მეურნეობას!, თავისუფალი დრო კი ჩვენს გონებრივ მომზადებას და განვითარებას!" და ყოველივე ეს არის უტყუარი საწინდარი მუშათა მასის სამუდამო გამარჯვებისა.

ინფ. კორ. ძველთაგანი.

რკინის გზების მტვირთველ მუშათა მდგომარეობა.

საქართველოს რკინის გზებზე ყოველგვარ ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვას და მის დაცვას ერთი წლით განაგებდა არტელი „მშრომელთა კომუნა".

მის უმრავლესობას შეადგენდა ყოფილი კურტნის მუშები. ამ საქმის აღების მეთაურად გამოდიოდენ მუშების სახელით ყოფილი „რიადჩიკები" და მათი უფროსი მუშები, რომლებმაც ამით ისარგებლეს და რამოდენიმე ათეული მილიონები იჯიბეს სხვა და სხვა „კომბინაციების" სახით. არტელს ჯგუფური ხასიათი ჰქონდა. მისს წევრებად ეწერებოდენ ერთი ოჯახიდან სამი-ოთხი სული, ნაცნობ-ნათესავები, მეზობლები და სხ.

ა. წ. 1 მარტიდან ზემოხსენებული სამუშაო ერთის წლით რკინის გზების სამმართველოდან აიღო „ცენტროტრამოტამ" და მუშებად მან მიიღო ზემოხსენებული ყოფილი არტელის წევრები.

„ტრამოტის" მიერ ამ საქმის აღებამ მტვირთველ მუშათა ეკონომიურ და უფლებრივ პირობებზე გამანადგურებლად იმოქმედა, რადგან იგი რკინის გზას არა ხელსაყრელი პირობით შეეკვრა. ეს გამოიწვია „ტრამოტის" საქმისადმი არა სწორი მიდგომამ.

დღეს აშკარაა, რომ რკინის გზასთან დადებული ხელშეკრულება ან უნდა გაუქმდეს, ან გადაისინჯოს მაინც.

უნდა გამოინახოს სწორი და მოკლე გზა, რომელიც მუშების მდგომარეობას ჩააყენებს ერთხელ და სამუდამოდ სასურველ პირობებში და აგრეთვე მუდამ თავსამტვრევი საკითხი—რკინის გზებით გაგზავნილ ტვირთის დატვირთვის და დატაცებიდან დაცვას უზრუნველყოფს.

რკინის გზების სამმართველოს 1912—14 წ. გამოცდილ პირებმა ურჩიეს მუშა-მოსამსახურეთა ეკონომიური პირობების გაუმჯობესების და ტვირთის უკეთ დაცვის მიზნით შემოიღო მას მუშაობა სამეურნეო წესით, რომლის დროს მტვირთველი მუშები ირიცხებოდენ და სარგებლობდენ რკინის გზებზე არსებული მუშა - მოსამსახურეთა უფლებებით, ამით სამუდამოდ იყო განდევნილი რკინის გზის ფარგლებიდან „კომბინატორი" და მუშათა მყვლეფელი „რიადჩიკები".

რევოლიუციის დროს ეს საქმე აირია. ამით და რკინის გზის სამმართველოს დაუდევრობითაც ისარგებლეს ძველმა „რიადჩიკებმა" და მათ უფროს მუშებმა, რომლებმაც შეხანხლეს სხვა და სხვა ჯურის არტელები, იგივე კურტნის მუშების ამაში ჩათრევით და ამით მიაღწიეს მათ სანატრელ „რიადჩიკულ" მიზანს. (ნიკოლოზის დროს ეს საქმე, როგორც რიადჩიკებისთვის, აგრეთვე რკინის გზის მაღალ და წვრილ-ფეხა ადმინისტრატორებისთვის ხელსაყრელი და საკომბინაციო რამ იყო) ამით სარგებლობდენ სათავეში მდგომნი და კურტნის მუშების მდგომარეობა უნუგეშო იყო.

დღეს პირობები შეიცვალა, პოლიტიკურად გაბატონდა მუშათა კლასი და ეკონომიურადაც უნდა გაბატონდეს. მას „რიადჩიკების" და არტელების სახით მყვლეფელები უნდა ჩამოეცალონ.

რკინის გზის სამმართველომ „რიადჩიკებს" და არტელებს ზურგი უნდა შეაქციოს და ეს საქმე თვით უნდა მოაწყოს სამეურნეო თვალსაზრისით.

მტვირთველი მუშები უნდა იქნენ ჩარიცხული რკინის გზების მუშებათ მათზე ყველა უფლებების გავრცელებით.

დატვირთვა-გადმოტვირთვის და საქონლის დაცვის პრემია უნდა იქნას შემოღებული მუშებზედაც გავრცელებით.

მუშებს და მოსამსახურეებს, ვისაც კი ექნება რაიმე პირდაპირი დამოკიდებულება რკინის გზაზე ტვირთის მოძრაობასთან, უნდა დაევალოს — დაცულ იქნეს ტვირთი ჩვეულებრივი სხვა და სხვა სახის ქურდობა-გატაცებიდან.

რკინიგზელი მელია.

უმაღ. სამ. საბჭოთა ხეტყის და გრეხილის ავეჯეულობის სახელოსნო

ამ სახელოსნოს აქვს დაახლოებით 15 წლის არსებობის ისტორია. ამ ჟამად ეს სახელოსნო ეკუთვნის საქ. უმაღლეს სამეურნეო საბჭოს. აქ მზადდება გრეხილი (ვენის) ავეჯეულობა—დაკვეთით, როგორც სახელმწიფო დაწესებულებათათვის, აგრეთვე კერძო პირთათვის. სახელოსნოს აქვს 6 სხვა და სხვა განყოფილება. მომუშავეთა რაოდენობა ქარხანაში უდრის 59 მუშა მოსამსახურეს. ამ რიცხვში 5 ქალია. ქარხანაში დაწესებულია რვა საათის სამუშაო დრო, შეგირდთათვის კი 6-საათისა.

მუშა-მოსამსახურეთა ეკონომიური მდგომარეობა დაახლოებით ასეთია: ისინი ღებულობენ ჯამაგირებს საშუალოდ 7—8 ხარისხის განაკვეთით. 10 თვეა რაც მუშებს და ადმინისტრაციას შორის არსებობს კოლექტიური ხელშეკრულება სხვა და სხვა ვადით,—პირველი ხელშეკრულება განისაზღვრებოდა ოთხი თვით, რომლის პირობები სავსებით ასრულებულ იქნა ორივე მხრით. მეორე ხელშეკრულება დაიდვა სამი თვით და მისი პირობების ასრულების საქმეს არ ჰქონია მუშებისათვის სავსებით დამაკმაყოფილებელი ხასიათი, როგორც პირველ ხელშეკრულებას; მუშებს ამ ხელშეკრულების თანახმად—სამი თვის ვადაში უნდა მიეღოთ „სპეცტანსაცმელი", მაგრამ ეს, ზედ-მიწევნით საჭირო რამ, არ აქვთ მათ მიღებული დღესაც. აგრეთვე ამავე ხელშეკრულების მოქმედების ვადაში არა თავის დროზე სწარმოებდა ჯამაგირების მიღებაც.

ინფ.-კორ. ჩხმელი.

მუშათა ქრონიკა

შრომის ექსპლოატატორების გასამართლება.

მესამე რაიონის შრომის ინსპექტორმა ამხ. სუხორუკოვმა შრომის კანონების დარღვევისათვის ოქმი შეუყენა და პასუხისგებაში მისცა შემდეგი ვაჭარ-ექსპლოატატორები:

1) **ონიკ მურადოვი** (ფეხსაცმლის სამკერვალოს პატრონი, **ხოლოდნაკის ქ. № 7**), რომელიც ამუშავებდა 13 მცირეწლოვან ხელოსანს: ლეონ ოსიპოვს,—17 წლის, მაცაკ კატალიკიანს—15 წლის, არტემ თოიჩიანცს. ახალგაზრდა ხელოსნები მუშაობდნენ დაწესებულ დროზე მეტს, დაზღვეულნი არ იყვნენ და მათ არც საანგარიშო წიგნაკები აღმოაჩნდათ.

2) **ჯანდაგაშვილები დავით და სოლომონი** (ხილის საწყობის პატრონები, მუხრანის ბაზარი დარაბა № 18—67) ამუშავებდენ 17 წლის ყმაწვილს, რომელიც ყოველდღიურად 9 საათს მუშაობდა; ყმაწვილი მათთან მსახურობდა 6 წელიწადს, მაგრამ კუთვნილი შვებულება მას ვერ მიუღია და არც საკომპენსაციო ფული. ყმაწვილი არ იყო დაზღვეული.

— **ქართული კინო.** ახლო მომავალში განათლების კომისარიატთან არსებული კინო-სექცია შეუდგა მუშაობას ილია ჭავჭავაძის პოემა „კაკო ყაჩაღი"-ს და შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანის" ლენტზე გადასაღებათ.

— **ია კარგარეთელის იუბილე.** დღეს სახელმწიფო პირველ კონსერვატორიაში გაიმართება დამსახურებულ მუსიკოსის და საზოგადო მოღვაწის ია კარგარეთელის იუბილე. იუბილიარის შესახებ კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი და ი. გრიშაშვილი წაიკითხავენ მოხსენებას. შემდეგ გაიმართება საკონცერტო განყოფილება ოპერის მსახიობების მონაწილეობით, რომლებიც უმთავრესად შეასრულებენ იუბილარის რომანსებს. დასასრულ მილოცვები.

— **ახალი პიესა „ზღვის სიმღერა".** ქართლელ იმერელმა დაწერა ახალი პიესა მეზღვაურების ცხოვრებიდან „ზღვის სიმღერა". პიესა გადაეცა სარეპერტუარო კომისიას.

— **რუსთაველის თეატრი.** დღეს რუსთაველის თეატრში პროფკავშირის წევრებისათვის გაიმართება უფასო წარმოდგენა.

— **დამსახურებულ მსახიობის მარიამ საფაროვ-აბაშიძის საღამო.** სამშაბათს, 8 მაისს რუსთაველის თეატრში გაიმართება დამსახურებულ მსახიობ ქალის მარიამ საფაროვ აბაშიძის საღამო მისივე მონაწილეობით.

— **სახალხო სახლის ქართული დრამის 30 წ. იუბილე.** სახალხო სახლის ქართულ დრამის გამგეობამ გადასწყვიტა მ. წ. 10 ივნისს იდღესასწაულოს აღნიშნული დრამის 30 წლის არსებობის იუბილე. ამ მიზნით უკვე არჩეულ იქნა საიუბილეო კომიტეტი, რომლის პირველი სხდომა დანიშნულია რუსთაველის თეატრში კვირას 6 მაისს დილის 12 საათზედ.

პროფკავშირებში

პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმში.

შუამდგომლობა კრედიტის გახსნის შესახებ.

პროფკავშირთა ს. ბ. ჰ-ს პრეზიდიუმმა დაადგინა სთხოვოს სრულიად რუს. პროფკავშირთა საბჭოს, რათა მან მხარი დაუჭიროს შუამდგომლობას „ცენტროსოიუზის" მუშათა სექციის წინაშე. საქ. მუშათა კოოპერაციისათვის კრედიტის გახსნის შესახებ მუშებისათვის საქონლის გასაცემად.

მუშათა ფაკულტეტების მსმენელთა ულუფებისათვის.

საქ. პ. კ. ს. პრეზიდიუმმა დაადგინა სთხოვოს სასურსათო კომისარიატს, რათა მან არ შესწყვიტოს მუშათა ფაკულტეტების მსმენელებზე პურის გაცემა, ვიდრე საქ. კომისართა საბჭოში არ გადაწყდება საკითხი მათი სტიპენდიის გადიდების შესახებ.

შუამდგომლობა სტიპენდიის გადიდების შესახებ.

პრეზიდიუმმა შუამდგომლობა აღძრა საქ. სახ. კომისართა საბჭოს წინაშე მუშათა ფაკულტ. მსმენელთა სტიპენდიის გადიდების შესახებ.

მუშებისათვის კრედიტის გაცემა.

ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმმა დაადგინა პირველ რიგში, როგორც ცდა, მისცეს კრედიტი საქონლით ქ. ტფილისის 5.000 მუშას და 6.000 ტფილისის რაიონის რკინის გზელთ, ამასთან ერთად ამ რიცხვის 75 პროც. ნამდვილი მუშა უნდა იყოს, და 25 პროც. დაბალი მოსამსახურე.

კრედიტის რაოდენობა.

კრედიტი უნდა უდრიდეს მუშის 1 ნახ. თვიურ ხელფასს, მაგრამ იგი არ უნდა აღემატებოდეს 20 საქ. მანეთს. კრედიტი 4 ვადით მიეცემათ. კრედიტის მიცემა ინდივიდუალურად უნდა სწარმოებდეს, რათა ყოველ მუშას მიეცეს საქონლის თავისუფლად არჩევის საშუალება.

კრედიტის მიცემის ტექნიკური მხარე.

მუშებისათვის კრედიტის მიცემის ტექნიკურად ჩატარებისათვის და ხელმძღვანელობისათვის მუშათა მთლიან კოოპერატივისაგან და ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოებისაგან გამოყოფილ იქნა სპეციალური კომისია, რომელიც დააწესებს ფასების კალკულიაციას.

სკოლებისადმი დავალიანების საკითხი.

სამდივნომ წინადადება მისცა რკინის გზელთა კავშირს დაუყოვნებლივ დაფაროს რკინის გზის სკოლის მიმართ თავისი დავალიანება.

ლეჩხუმის განყოფილების რწმუნებულის შუამდგომლობა.

ლეჩხუმის განყოფილების რწმუნებულმა შუამდგომლობა აღძრა ს. პ. კ. ს. წინაშე, რათა ლეჩხუმის პროფსაბჭოს განყოფილება დაექვემდებაროს ქუთაისის პროფბიუროს.

საქ. სახ. კომის. საბჭოს საბიუჯეტო კომისიაში.

საქ. პრ. კ. ს. სამდივნომ შუამდგომლობა აღძრა საქ. სახ. კომისართა საბჭოს წინაშე, რათა საბიუჯეტო კომისიაში პროფსაბჭოს წარმომადგენლად დანიშნოს ამხ. ყურულაშვილის მაგიერ ამხ. ჯულელი, ხოლო შრომის კომისარიატის რწმუნებულის წარმომადგენლად კი ამხ. მიქაძე.

ხელოვნების მუშაკთა კავშირის შესახებ.

სამდივნომ წინადადება მისცა საორგანიზაციო განყოფილებას დაუყოვნებლივ გამოიკვლიოს ხელოვნების კავშირში შტატების შემოკლების დადგენილება შესრულებულია თუ არა.

წარმომადგენლის დანიშვნა.

საქ. კომ. პარტიასთან არსებულ საკოოპერაციო კომისიაში პროფსაბჭოს წარმომადგენლად დაინიშნა ამხ. ჯულელი.

დასასვენებელ სახლების სამმართველო

ვინაიდან რესპუბლიკაში ბევრ ალაგას უკვე დაარსდა მუშათა დასასვენებელი სახლები, პროფსაბჭომ გადასწყვიტა დაარსოს განსაკუთრებული სამმართველო ამ სახლების მოსაწესრიგებლად.

დასასვენებელი სახლები.

პროფსაბჭომ წინადადება მისცა საგარაკო მართველობას, რათა ბორჯომში სასტუმრო „ფირუზა" და წაღვერში ალექსიძის, ტარტაროვის, მაზაევის, ხუნდაძის, გიგინეიშვილის, ჩხეიძის, სულაქველიძის, მერკვილაძის აგარაკები გადაეცეს პროფკავშირთა საბჭოს განკარგულებაში დასასვენებელ სახლების მოსაწყობად.

5 მილიარდი დასასვენებელ სახლებისათვის.

პროფკავშირთა საბჭომ მიმართა დამზღვევ კასას, რათა მან დასასვენებელ სახლების სასარგებლოდ გადასდოს 5 მილიარდი მანეთი.

პროვინციაში

ფოთის ნავთსადგური

კიდევ ერთი ფრიად საჭირო და მტკიცე ნაბიჯი საბჭოთა ხელისუფლებისა ფოთის ნავთსადგურის საკეთილდღეოთ.

28 აპრილს ნავთსადგურის მუშა-მოსამსახურეთა, ნავთსადგურის ადმინისტრაციის, ქალაქის აღმასკომის წარმომადგენელთა და სხვა მრავალრიცხოვან გარეშე საზოგადოების დასწრებით ჩაშვებულ იქნა ნავთსადგურის წყლებზე. ახლათ აშენებული მიწამლები (землечерпалка) „საბჭოთა საქართველო".

დღემდე საქართველოს ნავთსადგურს არ გააჩნდა საკუთარი მიწამლები და ყოველივე საჭიროების დროს იგი იყო სხვისი ხელების შემყურე ნავთსადგურის ადმინისტრაციას მთელი წლობით უხდებოდა სხვა და სხვა შორეულ ნავთსადგურებში ხეტიალი მიწამლების საშოვნელად. ხშირად ფრიად საჭირო შემთხვევებში ნავთსადგური რჩებოდა უმწეო მდგომარეობაში, დღეს კი საკუთარი მიწამლები ჩაუშვეს წყალში და სულ ახლო დროისთვის იგი მზათ იქნება სამოქმედოთ.

მიწამლების მნიშვნელობა საქართველოს ნავთსადგურისათვის დიდია. მისი საშუალებით შესაძლებელი ხდება გაღრმავება ნავთსადგურისა 35 ფუტამდე, ასე რომ დიდ წყალწყვის საოკეანო ორთქლგემებს თავისუფლათ შეეძლებათ ნავთსადგურში შემოსვლა და მისი სანაპიროსთან დასადგურება. ამ გარემოებასთან კი დაკავშირებულია საქართველოში ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება.

მეზღვაურთა კავშირის სახელით ამხ. სპრინკელმა მოკლე და შინაარსიანი სიტყვით მიმართა მიწამლების ამშენებლებს, აღნიშნა, თუ რა თავგანწირვით მუშაობდენ ისინი შეუწყვეტლივ მთელი ზამთრის სუსხიან დღეებში ცის ამარა სპეც-ტანისამოსს მოკლებულნი. ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ისინი უმეტეს შემთხვევაში ხვედრი ჯამაგირით კმაყოფასაც იყვნენ მოკლებულნი, მაგრამ მიუხედავათ ამისა ისინი სახელმწიფოებრივ თვალსაზრისით მიუდგნენ საქმეს, გადალახეს ყოველგვარი დაბრკოლებები და მიაღწიეს მიზანს.

ბოლოს მადლობა გამოუცხადა კავშირის სახელით როგორც მომუშავეთ, ისე მათს ხელმძღვანელს და ამ საქმის ინიციატორს ინჟ. ფედოროვს იმ ერთსულოვნებისათვის, რომელიც იმათ გამოიჩინეს ამ ფრიად მნიშვნელოვანი საქმის განხორციელებაში.

დასასრულ გადაღებულ იქნა სურათი.

იგივე.

მილიციის მუშაობა თიანეთის მაზრაში.

ალბად ბევრმა არ იცის, თუ რა კეთდება თიანეთის მაზრაში და ან რას აკეთებს კერძოდ თიანეთის მაზრის მილიცია, ვინაიდან აქედან კორესპონდენცია იშვიათათ მიდის, მაგრამ ეს იმით არ აიხსნება, რომ თიანეთის მაზრაში არაფერი კეთდებოდეს. ბევრს გაუგონია, რომ თიანეთის მაზრაში ბანდიტიზმი მძვინვარებდა, მაგრამ მილიციის მედგარი ბრძოლით მათ წინააღმდეგ მაზრა თანდათანობით იწმინდება. მაგალითათ, ერწოს რაიონში 8 ცნობილი ბანდიტი რამოდენიმე ხნის განმავლობაში დათარეშობდენ და აწიოკებდენ გლეხობას, მაგრამ ერთ ღამეს, წარსული თვის რიცხვებში, მაზრ. მილიც. უფროს ამხ. გვათუას ამავე რაიონში ყოფნის დროს, მილიციის მიერ იქნა ალყა შემოკრული ის სოფელი სადაც ბანდიტები ბუდობდენ და სწორეთ გათენებისას, როცა ისინი აპირობდენ გამგზავრებას თავიანთ გზაზე, მოკლული იქნა ორი და ერთიც ცოცხლათ ჩაუვარდა ხელში მილიციას. ამ რიგათ ერწოს რაიონი იქნა გაწმენდილი და მცხოვრებთ მიეცათ მყუდრო ცხოვრების საშუალება.

ამ ჟამათ დარჩენილია პანკისის ხეობა, სადაც ბუდობენ რამოდენიმე ბანდიტი. მაგრამ იმედი გვაქვს, რომ თიანეთის მაზრის მილიცია და მისი ხელმძღვანელი, მილიც. უფროსი ამხ. ა. გვათუა თავიანთი ენერგიული მუშაობით მალე საბოლოოდ აღმოფხვრიან ბანდიტიზმს თიანეთის მაზრაში.

ა. წერეთელი.

როგორ ჩატარდა პირველი მაისი თელავში.

მშვენიერი დღე დაგვიდგა.

დილის 9 საათიდან „ნადიკვრის" მოედანზე აჟარებელი ხალხი იყრის თავს. ყველგან წითელი დროშები, პლაკატები, ყვავილები მოსჩანს. დამსწრეთ სიმხიარულე ეტყობათ სახეზე.

მოედანზე იმწკრივებიან პროფესიონალურ კავშირის წევრები, სკოლები, „ჩონი", ფეხოსანი და ცხენოსანი მილიცია და სხვები.

— სად იყო ამდენი ხალხი?—გაკვირვებული ეკითხება მეზობელს მოხუცი გლეხი, რომელიც ჩამოსულა დღესასწაულის დასათვალიერებლად.

უცბათ, მთელი ხალხის ყურადღებას იპყრობს მაღლა ჰაერში მოჰრიალე ორი აპარატი.

„დახე, დახე: ჰაეროპლანები"! ლაღადებენ განცვიფრებული და მხიარული ხმები. ჰაეროპლანები ტრიალდებიან ქალაქს.

„ამა ნახე ეს ბოლშევიკები რაღას არ მოიგონებენ: გინახავს ოდესმე აქ ეს ფრინველები?—„აი, შემოწირულებას რომ აგროვებენ, ეტყობა რომ ხმარდება საქმეს.

ერთი ჰაეროპლანი გადმოაგდებს ქაღალდებს. „ნადიკვარი" აღტაცებაშია მოსული:

„ეს ალბათ თბილისის პროლეტარიატის სალამი იქნება—ბალღები გარბიან ქალაქისაკენ გადმოგდებულ მოწოდებების მოსაკრეფად. ერთი პილოტი ბრუნდება ცივ-გომბორისაკენ, ალბათ თიანეთში მიდის, მეორე გადაუფრენია ალაზნის გაღმა სოფლებს და გასწია სიღნაღისაკენ. ამ სურათის შთაბეჭდილების ქვეშ მყოფი ხალხი კიდევ დიდ ხანს ბაასობს ავიაციაზე და გამოსთქვამს სხვა და სხვა აზრებს.

დაუკრავს მუსიკა. მთელი ხალხი ნადიკვარზე მოქუჩებული მწყობრად, რიგ-რიგობით გაეშურება შიგ ქალაქში თავისუფლების მოედანზე, სადაც დანიშნულია აღლუმი, მიტინგი და სახალხო სახლისათვის საძირკვლის ჩაყრა. გზაში ამ პროცესიას უერთდება მეორე, შემდგარი ცხენოსან ფშავ-ხევსურების, მახლობელ კურდღელაურის თემის და რკინის გზელ მუშებისაგან სადგ. თელავიდან. ხევსურებს შორის, რომელნიც ჩაცმულნი არიან თავისებურად, ყურადღებას იპყრობს მხედარი ქალი.

აღლუმი მიიღო პარტიულ კომიტეტის მდივანმა ამხ. ლაშხო ლაბჟანიძემ, რის შემდეგ, სწორედ 12 საათზე, მანვე გახსნა მიტინგი.

პირველად ილაპარაკა ქალთა განყოფილების გამგემ ამხ. თ. ცინცაძემ, მოკლეთ და მკაფიოთ დაასურათა დღესასწაულის მნიშვნელობა და ის მონაწილეობა, რომელსაც მუდმივ იღებდა მშრომელი ქალი მსოფლიო პროლეტარიატის რევოლიუციონურ მოძრაობაში.

შინაარსიანი და დიდი მოხსენებით გამოვიდა ამხ. ლაშხი, რომელიც ეხება ისტორიას ამ დღესასწაულისას, ერთმანეთს ადარებს საბჭოთა რესპუბლიკებს და ბურჟუაზიულ ქვეყნების მუშათა კლასის მდგომარეობას. აშუქებს თანამედროვე პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას საბჭოთა ფედერაციაში და კაპიტალიზმის სამყაროში, მიუთითებს იმ შეტევაზე რომელსაც აწარმოებს ბურჟუაზია მუშათა კლასის წინააღმდეგ ფაშიზმის საშუალებით და 2 ნახ. ინტერნაციონალის ლოცვა-კურთხევით. ბოლოს მოუწოდებს ყველა მშრომელთ მედგრად იდგნენ რევოლიუციის სადარაჯოზე.

შემდეგ ილაპარაკა ახალგაზრდობის კომკავშირის წარმომადგენელმა ამხ. ორაგველიძემ, რომელმაც, სხვათა შორის, მიმართა მრავალ რიცხოვან შეგირდებს და „სპარტაკი"-ს წევრებს შესაფერი სიტყვით.

ილაპარაკეს აგრეთვე რკინის გზის და სხვა დაწესებულებების წარმომადგენლებმა.

მიტინგმა ერთხმად გამოიტანა რეზოლიუცია მისასალმებელი დეპეშების გაგზავნის შესახებ საერთაშორისო პროლეტარიატის სახელზე, მის წითელ შტაბში, მესამე ინტერნაციონალში.

ამის შემდეგ მოხდა ოფიციალური საძირკვლის ჩაყრა თელავის სახალხო სახლისათვის, მერე პროცესიამ მუსიკით და ინტერნაციონალის სიმღერით მოიარა ქალაქის მთავარი ქუჩები.

საღამოს 5 საათზე „ნადიკვრის" მოედანზე გაიმართა სპარტაკის ვარჯიშობა. საღამოს ყველა თეატრებში, სათანადო მოხსენებების შემდეგ, მოეწყო უფასო წარმოდგენები.

ბაღში უშვებდნენ მუშხუნებს. ხალხი არ დაშლილა ღამის 2 საათამდე. ასე ჩინებულად ჩაატარა კახეთის მშრომელმა ხალხმა თავისი ნამდვილი, პროლეტარული დღესასწაული.

ალაზნელი.

ბიბლიოგრაფია

პროფ.-დოქტორი ნ. თ. ადაროვი.

„ქრისტიანობის წარმოშობა"

(ა. მალვერის, ლ. ლოლანის, ქს. კონტინუას, პ ლორაინის და სხვათა მიხედვით).

საქ. ახალგ. კომკავშირის ცეკას გამოცემა № 5.

საქართველოში ფართო ბრძოლა სწარმოებს რელიგიასა და მის მსახურთ წინააღმდეგ. ბრძოლის გამარჯვებით დათავებისთვის აუცილებლათ საჭიროა მეცნიერების დახმარება, რომელიც ძირიან ფესვიანათ ანგრევს რელიგიურ ცრუმორწმუნოების საფუძვლებს.

ეკლესია და სამღვდელოება უძველეს დროიდან გრძნობდენ იმ საფრთხეს, რომელსაც მათ უმზადებდა ძლევამოსილი წინსვლა მეცნიერებისა და გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდენ მის წინააღმდეგ. „კეთილმორწმუნე სულიერი მამები"-საგან მეცნიერება სასტიკ დევნას, წამებას და ინკვიზიციის განიცდიდა, რადგანაც ის ფარდას ხდიდა „ღვთისმეტყველთა" აბდაუბდას. მიუხედავათ ამისა სუბიექტიურ და ობიექტიური მიზეზების გამო, მეცნიერება დღემდე ვერ მიდიოდა თავის კვლევა-ძიების ლოღიკურ დასასრულამდე, ხშირათ ვერ ბედავდა აშკარა გმობას, სრულებით უარყოფას სარწმუნოებისას.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ კი თავისი ბუნებრივი მისია რელიგიის სამუდამო დასამარებაში მეცნიერებამ აუცილებლათ უნდა შეასრულოს. კომუნისტური ახალგაზრდობაც გრძნობს და იცის მეცნიერების დანიშნულება და წარსული ღვაწლი, სწორედ ამიტომ ის მხურვალედ ეწაფება მეცნიერების წმიდა წყაროს, რომ მისგან ძალმოკრეფილმა და ცოდნა განათლებით შეიარაღებულმა სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს რელიგიურ ცრუმორწმუნოებას.

ფართო მასაში საეკლესიო ცრუმორწმუნეობის გავლენის აღმოსაფხვრელად საჭიროა პოპულიარ-მეცნიერულ ხასიათის წიგნების გავრცელება რელიგიის შინარსის და მისი წარმოშობის შესახებ. ნ. ადაროვის წიგნი „ქრისტიანობის წარმოშობა", რომელიც გამოსცა საქ. ახალგაზრდობის კომკავშირის ცეკამ, ემსახურება ამ მიზანს და მნიშვნელოვან ფაქტორათ ჩაითვლება ანტისარწმუნოებრივ კამპანიის მსვლელობაში. „ქრისტიანობის წარმოშობა" ნ. ადაროვისა პირველად ქართულ ენაზე იცემა და როგორც წინასიტყვაობაში გვამცნობს ამხ. დ. გვაზავა „წიგნი წარმოადგენს ლექციათა კრებულს, რომელიც იქნა წაკითხული პროფ. ადაროვის მიერ საბჭოთა ფედერაციის სხვადასხვა ადგილას და რომელმაც განცვიფრებაში მოიყვანა ყველგან დამსწრე საზოგადოება".

წიგნი შესდგება სამ ნაწილისაგან; პირველი ნაწილი იწყება საიქიოს ცხოვრების რწმენის წარმოშობის განხილვით. აქ გასაგები, სადა ენით დახასიათებულია ის გონებრივი სიბეჩავე პირვანდელი ადამიანების, როდესაც „ბუნების ყველა მოვლენები მათთვის გაუგებარი და მიუღწეველნი იყვნენ და ამიტომაც ძალიან საშიშ ძალასაც წარმოადგენდენ".

შემდეგ ავტორი გადადის ქრისტიანობის წარმოშობის განხილვაზე.

„ადამიანთა პირველი კულტი მზის კულტი იყო". (2 გვ.) იარაღი, რომლითაც შემდეგში ადამიანი აჩენდა ცეცხლს „სვასტიკა" წარმოადგენს ქრისტიანულ ჯვარის წინამორბედს.

„მოძღვრება შესახებ მესსიისა, ღვთის ძის, რომელიც მოვა ქვეყნის სახსნელად, თავის დასაწყისს პოულობს ვედიელთა ჰიმნებში, აქედან იგი გადადის ალექსანდრიის და პალესტინის აპოკრიფებში და ებრაელთა სექტებში" (9 გვ.).

ბუდდიზმის მრავალი ელემენტი გადადის ქრისტეს მოძღვრებაში; „ქრისტეს მთელ თავის სიცოცხლეში არ გაუკეთებია რაიმე ისეთი, რაიც კი მითოლოგიას რამდენიმე ხნის წინად რა მიეწეროს რომელიმე თავის ღმერთისათვის" (10 გვ.)

ამ ქვეყნის უახლოესი აღსასრულის რწმენა საშინელი განსჯით მოციქულებმა გადმოიღეს სპარსელებიდან და ამტკიცებდენ რომ „ჯერ კიდევ არ გადავა ეხლანდელი თაობა და ყოველივე ეს აღსრულდება"-ო. შემდეგში ისინი იძულებული იყვნენ გადაედვათ ეს დრო 1000 წლამდე" (15 გვ.) რითაც სამღვდელოებამ სპეკულიატიური მიზნით ისარგებლა და მორწმუნეთა საშინელ ექსპლოატაციას ეწოდა. საინტერესო ცნობებს იძლევა ლოლანი რელიგიების შესახებ, რომლის მიხედვით: „წმ. ელიას ქონდა ერთი ტანი და 5 თავი, წმ. ელიგიას—2 ტანი და 3 თავი", „წმ. ბარბალეს—3 ტანი და 2 თავი" (32 გვ.) და სხვა. ასეთი დასკვნას მიიღებთ, თუ იანგარიშებთ ყველა ნაწილებს „წმინდანებისას", რომლებიც ვითომ და ინახება ევროპის სხვადასხვა ეკლესიებში და რომელითაც გახრწნილი სამღვდელოება საზიზღარ სპეკულიაციას ეწევა.

წიგნის მეორე ნაწილი შეიცავს „ძველი აღთქმის თქმულებათა კრიტიკას" და მეტად საინტერესო მასალას იძლევა.

ავტორი სიტყვა-სიტყვით ანადგურებს „ძველი აღთქმის" უაზრო დებულებებს და ნათლად ხდის, რომ „ძველი აღთქმა" თავიდან ბოლომდე შეიცავს ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობებს, რომლებიც სრულებით მიუღებელია თანამედროვე კაცობრიობისთვის.

მეორე ნაწილის პირველ თავში ავტორი მუხლობრივათ განიხილავს მოსე წინასწარმეტყველის 1-ლ წიგნს: ქვეყნის და ადამიანის გაჩენა, სამოთხიდან გარეკის ისტორია, კაენი და აბელი, წარღვნა, ბაბილონის გოდოლის შენება, პატრიარქები და მეექვსე თავში ეხება მოსეს მეორე წიგნს „წიგნი მეორე გამოსვლათა".

წიგნის მესამე ნაწილში ავტორი იწყებს „ახალი აღთქმის" თქმულებათა კრიტიკას ავტორი ამტკიცებს, სხვათა შორის, რომ თქმულება ქრისტეს „უხრწნელი ჩასახვისა" სრულებით არ ეთანხმება სინამდვილეს, თვით მოციქულ პავლეს სიტყვით „ძისა მისისათვის, რომელი იგი იშვა თესლისაგან დავითისა ხორციელად" (122 გვ.) რაც შეეხება ქრისტეს სასწაულებს, თუ მათ მართლა ქონდათ ადგილი ავტორის აზრით სრულებით არ ამტკიცებს მის ღვთაებრიობას, ვინაიდან „ჩვენ ვიცნობთ მრავალ ისეთ პიროვნებას, რომელთაც არავითარი პრეტენზია არ ჰქონებიათ „წმინდანობაზე", მაგრამ ახდენდენ არა ნაკლებ სასწაულებს" (155 გვ.) 2 სახარების ავტორები მრავალ ცნობებში არ ეთანხმებიან ერთმანეთს და ადაროვი ნათლად აშუქებს იმ წინააღმდეგობებს და უაზრობას, რომლითაც სავსეა ოთხივე მოციქულთა სახარება.

წიგნი შეიცავს 192 გვერდს, ღირს 30 კაპ. და იგი სიამოვნებით წაიკითხება მათ მიერ, ვისაც სურს სარწმუნოებრივ ბურუსისაგან განთავისუფლება, საეკლესიო „უდავო ჭეშმარიტებათა" კრიტიკული გარჩევით განხილვა. წიგნში შეპარულია ზოგიერთი უმნიშვნელო შეცდომები. მიუხედავად ამისა მეტად სასურველია მისი ფართოდ გავრცელება.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 91.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

ლიკვიდაციაქმნილი ბანკების მიერ ძველი ვექსილებითა და სხვა ვალდებულებით გაცემული სესხის გადახდევინების შესახებ.

1922 წლის თებერვლის 18-ს თარიღით და 143 №-ით გამოცემული დადგენილების დასამატებლად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. იმ სესხს, რომელიც ლიკვიდაციაქმნილი ბანკების მიერ ვექსილებისა და სხვა ვალდებულების სახით გაცემულია ადგილობრივი ფულის ნიშნებით,—სახალხო ბანკის გამგეობა გადაახდევინებს ოქროს მანეთის იმ კურსის ანგარიშით, რაც იყო ვადის გასვლის დღეს და წლიური 12 პროც.-ს დამატებით დღიდან ვადის გასვლისა ვალის გადახდის დღემდე.
2. გადახდევინებულ უნდა იქნეს ამა დადგენილების 1 მუხ. წესით გამოანგარიშებული თანხის ოცდა-ათი პროცენტი.
3. დადგენილება ესე ვრცელდება იმ ვექსილებსა და სხვა ვალდებულებაზე, რაც არის ბანკის პორტფელში, მისი კორესპონდენტების ხელში და აგრეთვე რაც გატანილია საზღვარგარეთ.
4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. გეგეჭკორი.
სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი: ალ. სალარიძე.

1923 წ. მაისის „2".
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 14.

ა/კ. შრ. სახ. კომ. საქ. რწმუნ. სამმართველოსი

შრომის ინვალიდთა და დაზღვეულ მარჩენალის გარდაცვალებთან უგზო უკვლო დაკარგვის შემთხვევებში, მისი ოჯახის წევრთა უზრუნველსაყოფ პენსიის, უმუშევართა და დაზღვევის დამატებითი სახეების დახმარებათა ნორმის გამოსაანგარიშებლათ სახელმწიფო სატარიფო მინიმუმის დაწესების შესახებ.

შრომის ინვალიდთა და დაზღვეული მარჩენალის გარდაცვალების ან უგზო-უკვლოთ დაკარგვის შემთხვევებში მისი ოჯახის წევრთა უზრუნველსაყოფ პენსიის, უმუშევართა და დაზღვევის დამატებითი სახეების დახმარებათა ნორმის—სამუშაო ხელფასის ე. ი. სახელმწიფო მინიმუმის საფუძვლათ მდებარე გამოსაანგარიშებელ ერთეულზე გადატანისა და ზემოაღნიშნულ დახმარებათა მიზანშეწონილ და პროგრესიულათ გადიდების მიზნით ა/კ. შრ. სახ. კომ. საქ. რწმუნ. სამმართველო ადგენს:

1. შრომის ინვალიდთა და დაზღვეული მარჩენალის გარდაცვალების ან უგზო-უკვლოთ დაკარგვის შემთხვევებში მისი ოჯახის წევრთა უზრუნველსაყოფ პენსიის, უმუშევართა და დაზღვევის დამატებითი სახეების დახმარებათა ნორმის გამოსაანგარიშებლათ ა. წ. მაისისათვის საქართველოს ს. ს. რ. მთელ ტერიტორიაზე საფუძვლად დაედვას რვა საქონლის ფასის გამომხატველი მანეთი და ოცდა ერთი კაპეიკი (8 მან. 21 კაპ.), რაც შეადგენს ა/კ. ბონებით—ცხრა მილიონ რვაას ორმოცდა თორმეტ ათას მან. (9.852.000 მან.)
2. ადგილობრივ დამზღვევ კასათ ევალებათ ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ კატეგორიის პირთა დახმარებისა და პენსიის გამოსაანგარიშებლათ იხელმძღვანელონ ზემოაღნიშნულ შრომის ხელფასით.
3. როგორც კასის მონაწილეთ, ისე მათი ოჯახის წევრთა მშობიარობისა და დასაფლავებისათვის, რომელთაც ქონდათ ადგილი 1-ლ მაისამდე უნდა მიეცეთ დახმარება ძველი ნორმით, ხოლო ბავშვთა საკვებათ უნდა მიეცეთ დახმარება ძველი ნორმით. 1-ლ მაისიდან კი ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული ნორმით.

ა/კ. შრ. სახ. კომ. რწმუნებული საქართველოში: ა. იაშვილი.
სოც. დაზღვევის მმართველ. მდივანი: ს. თელია.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— 10 მაისს—ამხ. ლემშენის მოხსენება: „ბელეტრისტული ნაწარმოებნი ბუნების-მეტყველებაში.

სახლის გამგე: შიუკაშვილი.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ამხ. ზურაბ ჯიოევს გამოცხადდეს სააღრიცხველო სტატისტიკურ განყოფილებაში არა უგვიანეს 5 მაისისა.

ტფილისის კომიტეტის საალრ.-სტატისტ. განყ. გამგე ვულფოვიჩი.

— შაბათს, 5 მაისს, საღამოს 7 საათზე „განათლების მუშაკთა სახლში" შესდგება ტეხნიკუმების მასწავლებელთა კრება. კრების საგანი: „საშუალო" სკოლის ავადმყოფი საკითხები.

სახლის გამგე შიუკაშვილი.

პროფესიული.

„განათლების მუშაკთა" სახლში.

პარასკევს 4 მაისს საღამოს 7 საათზე რუსული ენის ქვესექციაში შესდგება ამხ. კოზლოვსკის, ბაგაევის, კორნეევსკის, პოტკოვას და კოჩუბეევის მოხსენებები: „მოწაფეებ"-ს კოლლექტიურ მუშაობების საკითხის შესახებ".

საღამოს 7 ნახ. საათზე ბუნებისმეტყველების ქვესექციაში პროფ. თვალჭრელიძის მოხსენება: „თბილისის მიდამოების მინერალები", კვირისათვის განზრახულ ექსკურსიისათვის მომზადება.

6 მაისი. ექსკურსიის დაწვრილებითი ცნობების გაგება შეიძლება „განათლების მუშაკთა" სახლში.

ორშაბათს 7 მაისს საღამოს 7 საათზე ფიზიკურ-სამათემატიკო ქვესექციაში ნიკოლაძე—პოლიექტოვის მოხსენება: „მათემატიკა პატარებისათვის". მოპატიჟებულნი არიან სკოლის-წინასწარ, საბავშვო სახლების და პედაგოგიურ ქვესექციების წევრები.

ოთხშაბათს 9 მაისს საღამოს 5 საათზე ჩურსინის მორიგი ლექცია.

საღამოს 7 საათზე ისტორიულ ქვესექციაში ამხ. ამხ. კოზლოვსკის, ურიმანცევის მოხსენებები: „აფრიკანულ ზღაპრების შესახებ".

სახლის გამგე შიუკაშვილი.

განცხადებები

დღეს, 4 მაისს.

სახელმწიფო
ოპერა
კრ. 359—1—1

ბორის
გოდუნოვი

დასაწყისი სრულ 8 საათზე.

ამ.-კავკასიის რკინის გზათა
სამმართველო

ამით აცხადებს ტვირთის გადამგზავნთა საყურადღებოთ, რომ ტფილისის სადგურთან დარსდა ავტო-ტრანსპორტის განყოფილება, რომელიც აწარმოებს ტვირთისა და საქონლის გადატანას ზომიერ ფასებში გამგზავნელის სახლზე ტფილისის სადგურიდან ბინამდე, მაღაზიამდე და საწყობამდე.

ყველა კლიენტებმა, რომელთაც სურთ საქონლისა და ტვირთის გადატანა ავტო-ტრანსპორტით, უნდა აღნიშნონ საბარგო საბუთებში და ქვითარებში შემდეგი: „გადატანილი იქნეს სახლში ნაჩვენებ მისამართით"—სახელი, გვარი და სწორი მისამართი. საქონლის და ტვირთის გადაგზავნის ოპერაციები ხდება ქალაქის ტფილისის სადგურის განკარგულებით.

კრ. 347—5—5.

საჯარო ვაჭრობა

ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტი ამით აცხადებს, რომ შაბათს ა. წ. 5 მაისს, დილის 12 საათზე აღმასრულებელ კომიტეტის შენობაში დანიშნულია მეორეჯერ საჯარო ვაჭრობა ქალაქის ხუთი სასწორების (თათრის მოედ., დესიმონოვის მოედ., მალაკნის მოედ., ნუნუფაროვის და მუხრანის რინოკზე) იჯარით გასაცემათ ცალკე პირზედ ან იურიდიულ უფლებით აღჭურვილ ამხანაგობაზედ.

ვაჭრობა დაიწყება 15.000 მანეთიდან ოქროთი ხუთივე სასწორზე წელიწადში.

დაწვრილებით კონდიციის გაცნობა ყოველდღე აღმასკომში ოთახი № 50.

362 3—3

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით [illegible]
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიული და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
სამკურნალოს სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (501—26—17)

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი, მიცემული გორის მაზრის [illegible] გაბრიელ ახალკაციშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (1—1)